1. ვთქვათ, თხევად ჰელიუმ II-ში მერხევი ზედაპირის სიჩქარე იცვლება  
კანონით  $v = v_0 (2 \pi t / \theta)$  და  $v_c$  არის კრიტიკული სიჩქარე. თუ  $v_0 > v_c$ , მაშინ  
რაიმე  $t_1$  მომენტში სიჩქარე მიაღწევს კრიტიკულ მნიშვნელობას და შეინარ-  
ჩუნებს მასზე მეტ სიდიდეს  $t_2$  მომენტამდე. ყოველ ნახევარპერიოდში ზეკრი-  
ტიკული რეჟიმის განხორციელება შესაძლებელია დროის  $t_2 - t_1$  შუალედის  
განმავლობაში, რომელიც განისაზღვრება ტოლობით:

$$\frac{2\pi}{\theta} (t_2 - t_1) = \pi - 2 \frac{\pi t_1}{\theta} = 2 \arccos \frac{v_c}{v_0}. \quad (1)$$

მაგრამ ცხადია, რომ კრიტიკული ურთიერთქმედების დაწყება შეიძლება  
დაგვიანდეს რაიმე  $\tau_1$  დროით, მისი შეწყვეტა  $\pi - \tau_1$  დროით, როს გამოც  
ზეკრიტიკული რეჟიმის ფაქტობრივი არსებობის დრო შეიძლება განსხვავდე-  
ბოდეს შუალედისაგან  $t_2 - t_1$ . ამას გარდა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ  
ექსპერიმენტის მიზნობიარობა არ იძლევა ნებისმიერად ხანმოკლე ურთიერთ-  
ქმედების აღმოჩენის საშუალებას. ეს გარემოებანი ამაზინჯებენ გაზომვების  
შედეგებს და კრიტიკული სიჩქარის სახით ფიქსირდება არა  $v_c$ , არამედ  
ისეთი მინიმალური  $v_m$  მნიშვნელობა სიჩქარისა  $v_0$ , რამელსაც შეესაბამება  
საკმაოდ ხანგრძლივი ურთიერთქმედება.

აღნიშნოთ  $\Delta t$ -თი ზეკრიტიკული ურთიერთქმედების მინიმალური ხან-  
გრძლივობა (ნახევარპერიოდში), აუცილებელი მისი ექსპერიმენტული აღმო-  
ჩენისათვის. ადვილი დასადგენია, რომ, თუ  $\Delta t \leq \tau_2$ , კრიტიკული სიჩქარის  
ეფექტური მნიშვნელობა  $v_m$  იქნება  $v_0$ -ის ის მნიშვნელობა, რომელსაც შეესა-  
ბაძება ტოლობა

$$t_2 - t_1 = \tau_1, \quad (2)$$

რადგანაც ასეთ ( $\tau_2 > \Delta t$ ) შემთხვევაში ზეკრიტიკული ურთიერთქმედება ნამ-  
დვილად აღმოჩენილი იქნება, თუ მოესწრო მისი დაწყება, სანამ  $v > v_c$ . თუ  
 $\Delta t > \tau_2$ , ანალოგიური ტოლობა იქნება

$$t_2 - t_1 - \tau_1 + \tau_2 = \Delta t. \quad (3)$$

ამ ტოლობაში  $t_2 - t_1 - \tau_1 + \tau_2$  არის ზეკრიტიკული რეჟიმის არსე-  
ბობის დრო.

თუ გავითვალისწინებთ (1) გამოსახულებას  $t_2 - t_1$  შუალედისათვის და  $v_m$ -ის განმსაზღვრელ ტოლობებს (2) და (3), ადგილად მივიღებთ

$$v_m = \frac{v_c}{\cos \frac{\pi \tau}{\theta}},$$

სადაც

$$\tau = \begin{cases} \tau_1, & \text{თუ } \Delta t \leq \tau_2; \\ \tau_1 - \tau_2 + \Delta t, & \text{თუ } \Delta t > \tau_2. \end{cases} \quad (4)$$

ამიტომ ჩევითი ექსპერიმენტი იძლევა კრიტიკული სიჩქარის სჭორ მნიშვნელობას  $v_c$  მხოლოდ  $\tau \leq \theta$  შემთხვევაში. ხოლო, თუ პერიოდი იცვლება ისეთ ფარგლებში, რომ სიდიდის  $\cos(\pi\tau/\theta)$  ფარდობითი ცვლილება აღმარტება ექსპერიმენტის ცოდნილებას, მაშინ თავს იჩენს  $v_m$  კრიტიკული სიჩქარის დამოკიდებულება პერიოდისაგან, რომელიც ამახინჯებს  $v_c = f(\theta)$  დამოკიდებულებების ჭრაში სურათს.

2. ბენსონისა და ჰოლის-პალეტის თანახმად [1], კრიტიკული სიჩქარე დამოკიდებულია პერიოდზე შემდეგი კანონით:

$$v_c = \frac{\alpha}{\sqrt{\theta}}, \quad (5)$$

სადაც  $\alpha$  მუდმივია (მოცემული ტემპერატურისათვის).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ  $v_m = 2\pi R \varphi_m / \theta$ , სადაც  $\varphi_m$  კრიტიკული ამპლიტუდის ექსპერიმენტული სიდიდეა, ხოლო  $R$  — მერჩევი სხეულის რადიუსი, და გავაერთიანებთ (4) და (5) ფორმულებს, მივიღებთ

$$\frac{\varphi_m}{\sqrt{\theta}} \cos \frac{\pi \tau}{\theta} = \frac{\alpha}{2\pi R} = \text{const.} \quad (6)$$

ხოლო, თუ კრიტიკული სიჩქარე არ არის პერიოდზე დამოკიდებული, მაშინ მუდმივი (მოცემული ტემპერატურისათვის) უნდა იყოს სიდიდე:

$$v_m \cos \frac{\pi \tau}{\theta} = v_c = \text{const.} \quad (7)$$

ამ ორი შესაძლებლობიდან ჭრაში არსებულის არჩევა უნდა მოხდეს შრომების [1] და [2] ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების საფუძველზე. ამ დამუშავების შემდეგ მივიღებთ კრიტიკული სიჩქარეების გასწორებულ მნიშვნელობებს და შევძლებთ კრიტიკული რეჟიმის რელაქსაციის დროის ზეფასებას.

აუცილებელია ალინიშნოს შესაძლებლობა  $\tau$ -ს უშუალო განსაზღვრისა კრიტიკული სიჩქარის გაზომვით ნაკლები პერიოდისას, ვიდრე ეს აქამდე კეთდებოდა. მართლაც, თუ  $\theta \rightarrow 2\tau$ , მაშინ  $v_m \rightarrow \infty$ . ამიტომ პერიოდის შეცირებისას მოსალოდნელია ეფექტური კრიტიკული სიჩქარის მკვეთრი ზრდა  $\theta$ -ს გარკვეულ მნიშვნელობასთან შიახლებისას, რომლის ნახევარიც მოგვცემს  $\tau$ -ს.

3. შრომაში [1] ნაჩვენებია, რომ სიდიდეები  $\varphi_m / \sqrt{\theta}$ , გაზომილი თხევად ჰელიუმ II-ში ცარიელი თხელკედლიანი სფეროს რევისას, არ არის დამკიდებული პერიოდზე. მაგრამ, (6) ფორმულის თანახმად,  $\varphi_m / \sqrt{\theta} \approx \frac{1}{\theta}$ - პროპორციული უნდა იყოს სიდიდისა  $\cos(\pi\tau/\theta)$ . ეს წინააღმდეგობა შეიძლება მხოლოდ მოჩვენებითი აღმოჩნდეს, თუ  $\varphi_m$ -ის გაზომვა წარმოებდა იმდენად დიდი ცონილებით  $\Delta\varphi_m$ , რომ ვერ გამომეუბნდა  $\cos(\pi\tau/\theta)$ -ს ცვლილება მინიმალური პერიოდიდან მაქსიმალურზე გადასვლისას, ესე იგი:

$$\left( \cos \frac{\pi\tau}{\theta_{max}} - \cos \frac{\pi\tau}{\theta_{min}} \right) / \cos \frac{\pi\tau}{\theta_{min}} \leq \frac{\Delta\varphi_m}{\varphi_m}.$$

ამ უტოლობის რიცხვითი ამოხსნა, სადაც  $\theta_{max} = 25$  სეკ,  $\theta_{min} = 6,5$  სეკ და საშუალო ცონილება  $\Delta\varphi_m / \varphi_m \approx 6\%$ , იძლევა შეფასებას  $\tau \equiv 0,75$  სეკ.


4. ქარსის თხელი დისკების წყობილით ჩატარებული ანალოგიური გაზომვები [2] იძლევა მკვეთრად განსხვავებულ მნიშვნელობებს სიდიდეებისათვის  $\varphi_m / \sqrt{\theta}$ , რომლებიც გაზომილია სხვადასხვა პერიოდის შემთხვევაში (იხ. ნახ 1). ამ მონაცემების დამუშავება სათანადო განტოლებების ამოხსნის გრაფიკული მეთოდით<sup>1</sup> ადასტურებს (6) ფორმულის სამართლიანობას (იხ. ცხრილი 1). დისკოთა წყობილისათვის მიღებული  $\tau$ -ს მნიშვნელობები ეთანადება შეფასებას, რომელიც მიღებული გვქონდა სფეროთი ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე (3.3.). ამგვარად, (5) დამოკიდებულების არსებობა წყობილის შემთხვევაში მეღავნდება მხოლოდ დაგვიანების ეფექტის გათვალისწინების შემდეგ.

5. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ (5) ფორმულა შეიძლება აიხსნას ნორმალურ კომპონენტში რხევების შელწევის სიღრმის  $\lambda$ -ს დამოკიდებულებით პერიოდისაგან, თუ  $\lambda$ -ს მივიმჩნევთ მახასიათებელ ზომად ( $x_c \sim 1/\lambda \sim 1/\sqrt{\theta}$ ). ასეთი ახსნა შეიძლება სავსებით ბუნებრივად მოგვეჩვნოს, რადგან, როგორც ჩანს, ის სამართლიანია  $n_t$  კრიტიკული სიჩქარისათვის. როდესაც იწყება ორივე კომპონენტის ტუბულენტური მოძრაობა (იხ. [1]). მაგრამ დისკოთა წყო-

<sup>1</sup> ამისათვის აიგება მრუდები

$$\frac{\varphi_m}{\sqrt{\theta}} \cos \frac{\pi\tau}{\theta} = f(\tau).$$

თუ მოხდა სამი განსხვავებული პერიოდის შესაბამისი ისეთი მრუდის გადაკვეთა ერთ შერ-



ნახ. 1. სიდიდის  $\varphi_m / \sqrt{\theta}$  დამოკიდებულება ტემპერატურისაგან. დისკოთა წყობილის შემთხვევაში.  $\varphi_m$ -ის მნიშვნელობები აღებულია შრომილან [2]. მასში მოყვანილი პერიოდები 0<sub>0</sub> გადაანგარიშებულია რხევაში ნორმალური კომპონენტის მონაწილეობის გათვალისწინებით. 1 მრუდ შეესაბამება  $\theta_0 = 2,6$  სეკ, 2–12 სეკ, 3–18,7 სეკ. ცონილება  $\varphi_m$  ამპლიტუდების გაზომვისა არის 10%<sub>0</sub>-ის რიგისა.

ბილის შემთხვევა, როდესაც შეღწევის სიღრმე აღემატება დისკონტა შორის მანძილს, გვიჩვენებს, რომ სინამდვილეში λ არ წარმოადგენს მახასიათებელ ცხრილი 1

$T$ $^{\circ}K$	$\theta_0$ სეკ	$\theta$ სეკ	$\frac{\varphi_m}{V\theta}$ რად. სეკ $^{-1/2}$	$v_m$ სმ. სეკ $^{-1}$	$\tau$ სეკ	$\alpha' = \frac{\varphi_m}{V\theta} \cos \frac{\pi\tau}{\theta}$ რად. სეკ $^{1/2}$	$v_c = \frac{2\pi R\alpha'}{V\theta}$ სმ. სეკ $^{-1}$
I, 1	2,60	2,61	0,025	0,17	0,76	0,015	0,10
	18,7	18,7	0,015	0,038	$\pm 0,14$	$\pm 0,0015$	0,038
I, 3	2,60	2,61	0,026	0,17	0,69	0,017	0,11
	18,7	18,8	0,017	0,042	$\pm 0,16$	$\pm 0,0018$	0,042
I, 5	2,60	2,63	0,028	0,19	0,61	0,020	0,13
	18,7	18,9	0,020	0,050	$\pm 0,19$	$\pm 0,0021$	0,050
I, 6	2,60	2,65	0,029	0,19	$0,52$ $\pm 0,19$	0,023	0,15
	12,0	12,2	0,024	0,074		$\pm 0,0015$	0,066
	18,7	19,0	0,022	0,055			0,057
I, 7	2,60	2,67	0,030	0,20	$0,41$ $\pm 0,23$	0,025	0,17
	12,0	12,3	0,027	0,083		$\pm 0,0012$	0,077
	18,7	19,2	0,024	0,059			0,062
I, 8	2,60	2,69	0,034	0,22	$0,43$ $\pm 0,23$	0,0235	0,19
	12,0	12,4	0,031	0,095		$\pm 0,0012$	0,088
	18,7	19,4	0,027	0,066			0,070
I, 9	2,60	2,71	0,041	0,27	$0,47$ $\pm 0,20$	0,034	0,22
	12,0	12,6	0,036	0,11		$\pm 0,0016$	0,10
	18,7	19,6	0,032	0,078			0,083
2,0	2,60	2,75	0,051	0,33	$0,35$ $\pm 0,35$	0,044	0,29
	12,0	12,7	0,0445	0,14		$\pm 0,0045$	0,13
	18,7	19,8	0,044	0,11			0,11


ზომის. ნორმალური კომპონენტი პრაქტიკულად სრულად მონაშილეობს რხე-ვებში და შეღწევის სიღრმის ცვლილება პერიოდის შეცვლისას არსებითად არ ცვლის მოძრაობის რეჟიმს.

ტილში (ცთონილების ფარგლებში), ეს ადასტურებს (6) ფორმულის სამართლიანობას, ხოლო გადაკვეთის წერტილის კოორდინატები იძლევა სიღრმე  $\alpha / 2 \pi R$  და  $\tau$ . ვიცით  $\tau$   $\alpha$ , გა-მოვითვლით  $v_c$ -ს.

6. ბოლოს განვიხილოთ ერთეულოვანი მასიური დისკით ჩატარებული გაზომვების შედეგები [2]. ნახ. 2-ზე და [1]-ში მოცემული გრაფიკი შევსებულია პოლის-ჰალეტის მიერ  $\theta = 3,15$  სეკ-ის შემთხვევაში მიღებული შედეგებით [2]. წყობილის შემთხვევისაგან განსხვავებით, აქ ადგილი აქვს  $\frac{v_m}{\sqrt{\theta}}$  შეფარდების ზრდას პერიოდის ზრდისას, რაც გამორიცხავს (6) ფორმულის სამართლიანობას. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ ამ შემთხვევაში კრიტიკული სიჩქარე არ არის დამოკიდებული პერიოდზე, ესე იგი სამართლიანია (7) ფორმულა.

7. (7) ფორმულა მოითხოვს, რომ  $v_m$  მცირდებოდეს პერიოდის ზრდისას, რაც სრულდება, თუ შევადარებთ ამ სიდიდეებს  $\theta = 11$  სეკუნდისას მის მნიშვნელობებთან  $\theta = 3,78$  სეკ და  $\theta = 3,15$  სეკ. შემთხვევაში (იხ. ცარილი 2). მაგრამ, თუ შევადარებთ უკანასკნელი ორი პერიოდისათვის მიღებულ შედეგებს,  $v_m$ -ის დამოკიდებულება  $\theta$ -გან საჭინააღმდეგო ხსიათის აღმოჩნდება. მაგრამ სათანადო  $v_m$ -ებს შორის განსხვავება არ გადის  $\approx 10\%$ -ის ტოლი ცოდნილების ფარგლებს გარეთ. ამიტომ, აღნიშნული წინააღმდეგობის მიუხედავად, (7) ფორმულა სამართლიანი აღმოჩნდა მოცემული ექსპერიმენტის ცოდნილების ფარგლებში  $T \leq 2^{\circ}\text{K}$  შემთხვევაში, რაშიაც შეიძლება დავრწმუნდეთ ექსპერიმენტის მონაცემების გრაფიკული დამუშავებით (1). ამ შემთხვევისათვის მიღებული  $\tau$ -ს მნიშვნელობები უახლოვდება წყობილის მონაცემებიდან მიღებულს.

8. ამგვარად, პოლის-ჰალეტის ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავებაში აჩვენა დაგვიანების ეფექტის გათვალისწინების ნაყოფიერება. ამასთან ბაზ აჩვენა დაგვიანების ეფექტის გათვალისწინების ნაყოფიერება. ამასთან აღმოჩნდა, რომ ექსპერიმენტულ მონაცემებს არ ეწინააღმდეგება  $\tau$  ს განხილვა როგორც პერიოდისაგან დამოუკიდებელი მუდმივისა. გამონაკლისს შეადგენა λ წერტილის მახლობელი ტემპერატურების ინტერვალი, სადაც (6) და (7) ფორმულების სამართლიანობა ირღვევა, თუ  $\tau$ -ს მუდმივად მივიჩნევთ. ამიტომ სასურველია ამ თვალსაზრისის განვითარება  $\tau_1$  და  $\tau_2$  რელაქციების დროის სიჩქარისა და ტემპერატურისაგან დამოკიდებულების გათვალისწინების დამუშავებაში.



ნახ. 2. სიდიდის  $\frac{v_m}{\sqrt{\theta}}$  დამოკიდებულება ტემპერატურისაგან ერთეული დისკის შემთხვევაში. მრულები 2 და 3 აგებულია [1] შრომაში [2]-ის საფუძველზე მოცემული გრაფიკიდან აღებული წერტილების მიხედვით. მრუდი -1 აგებულია [2]-ში მოცემული ფოტოების მიხედვით. პერიოდების მნიშვნელობები ყველი მრუდისათვის: 1—3,15 სეკ, 2—3,78 სეკ, 3—11 სეკ. ამპლიტუდები გაზომილია 10%-ის რიგის ცოდნილებით

(1) დამუშავება მდგრადია  $v_m \cos(\pi\tau/\theta) = f(\tau)$  მრულების აგებაში. თუ სამი განსხვავებული პერიოდის შესაბამისი სამი ასეთი მრუდი გადაიკვეთა ერთ წერტილში (ცოდნილების ფარგლებში), ეს ადასტურებს (7) ფორმულის სამართლიანობას და, ერთდროულად, იძლევა სიდიდეებს  $\tau_1$  და  $\tau_2$ .

## ცხრილი 2

$T$ $^{\circ}K$	$\theta$ სეკ	$\varphi_m$ რად.	$v_m$ სმ. სეკ $^{-1}$	$\tau$ სეკ	$v_c$ სმ. სეკ $^{-1}$
I,4	3,78	0,082	0,21	0,92	0,145
	11,0	0,17	0,15	$\pm 0,28$	$\pm 0,017$
I,5	3,78	0,082	0,21	0,92	0,145
	11,0	0,175	0,15	$\pm 0,28$	$\pm 0,017$
I,6	3,15	0,060	0,18	0,49 $\pm 0,1$	0,17 $\pm 0,001$
	3,78	0,082	0,21		
	11,0	0,18	0,16		
I,7	3,15	0,065	0,20	0,68 $\pm 0,18$	0,16 $\pm 0,016$
	3,78	0,085	0,21		
	11,0	0,185	0,16		
I,8	3,15	0,067	0,20	0,59 $\pm 0,16$	0,17 $\pm 0,012$
	3,78	0,088	0,22		
	11,0	0,195	0,17		
I,9	3,15	0,072	0,22	0,64 $\pm 0,22$	0,18 $\pm 0,019$
	3,78	0,090	0,25		
	11,0	0,205	0,18		
2,0	3,15	0,080	0,24	0,67 $\pm 0,03$	0,195 $\pm 0,011$
	3,78	0,105	0,26		
	11,0	0,22	0,19		

ლისწინებით. სასურველია აგრეთვე უფრო ვრცელი ექსპერიმენტული მასალის დაგროვება, რადგანაც მონაცემების არსებული რაოდენობა ზოგჯერ არ არის საკმარისი მათგან მიღებული დასკვნების დამაჯერებული დასაბუთებისათვის.

ავტორი მაღლობას უძღვნის პროფ. ე. ანდრონიკაშვილს შრომი-სადმი განსაკუთრებული ყურადღებისათვის და ლ. რცხილაძეს, რომელმაც შეასრულა გამოთვლების ნაწილი.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(რედაქციას მოუვიდა 10.6.1958)

დამოუხმული ლიტერატურა

1. C. B. Benson and A. C. Hollis-Hallett. The Oscillating Sphere at Large Amplitudes in Liquid Helium. Canadian Journ. Phys., 34, № 7, 1956, 668.
2. A. C. Hollis-Hallett. Experiments with Oscillating Disk Systems in Liquid Helium II. Proc. Roy. Soc. A. 210, № 1102, 1952, 404.

გეოზიზიკა

გ. ბერიძეილი

გეოგაზნიტური გელის ვარიაციათა შესწავლის  
 საკითხების საზოგადოებრივი საკითხების

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ე. ხარაძემ 12.10.1958)

მზე-დოლელამჭრი გეომაგნიტური ვარიაციების ( $S_q$ ,  $S_d$ ,  $S_D$ ) შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ცნობილია [10], რომ სათანადო გზმოვლევების საფუძველზე შეიძლება მსჯელობა როგორც ხსნებული ვარიაციების, ისე აგრეთვე სხვა, მათთან წარმოშობით დაკავშირებული მოვლენების ბუნების შესახებ.

წინამდებარე სტატია მიძღვნილია დოლელამურ გეომაგნიტურ ვარიაციათა, სახელმძღვანელო —  $S_q$  და  $S_D$  ვარიაციათა ზოგიერთი თავისებურების გამოკვლევისადმი.

$S_q$  და  $S_D$  ვარიაციების ჰელიოაქტივობის დონის მიხედვით ცვლილების ხასიათის გამოკვლევის მიზნით გამოყენებულ იქნა მასალა ამ აქტივობის ციკლის სრული ჰერიონისათვის (1933—1945 წწ.), რომელიც მოპოვებულია კარსანის (1933—1934 წწ.) [7] და დუშეთის (1936—1945 წწ.) მაგნიტური ობსერვატორიების მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქ არა განხილული 1935 წ. შესაბამისი მასალა, რადგან ამ დროისათვის კარსანის ობსერვატორიის ნორმალური მუშაობა დაირღვა მოხეტიალე ელექტრული დენების გავლენით, რაც გამოიწვია ობსერვატორიის მახლობელი რკინიგზების ხაზის ელექტროფიცირებამ [2].

აღნიშნავთ აგრეთვე, რომ შესაბამისი მასალის ასეთი გაერთიანებული განხილვა სავსებით დასაშვებია, რადგან დასახელებული პუნქტების გეომაგნიტური კოორდინატები მცირდაა განსხავებული. დასმული ამოცანა რომ გადასვეტრა, სახელმძღვანელო გამოვლენილია  $S_q$  და  $S_D$  ვარიაციათა ცვალებადობის გვეჭრა, სახელმძღვანელო გამოვლენილია  $S_q$  და  $S_D$  ვარიაციათა ცვალებადობის თავისებურებანი მზიური აქტივობის დონის მიხედვით, პირველ რიგში ჩატარებულ იქნა ხსნებულ ვარიაციათა მართვულოვანი მდგრელების ( $\delta X$ ,  $\delta Y$ ,  $\delta Z$ ) საშუალოწლიური დოლელამური სვლების პარმონიული ანალიზი<sup>1</sup>.

1 ცხრილი იძლევა ფურიეს პირველი და მეორე რიგის კოეფიციენტთა მნიშვნელობებს ( $C_1$ ,  $C_2$ ); გარდა ამისა, უკანასკნელ სვეტში მოცემულია მზის ლაქათა ფარდობით (ვოლფის) რიცხვთა სიდიდეები ( $W$ ).

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირველ პარმონიკა ამპლიტუდები საერთოდ დიდად აღემატებიან მეორე პარმონიკა ამპლიტუდებს; ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს  $\delta X_q$ -ს შესაბამისი ამპლიტუდები.

1 ცხადია, რომ მდგრელების ვარიაციათა გამოთვლის შემდეგ და სათანადოდ პარმონიული ანალიზის წინ შესაბამისი დოლელამური სვლები შესწორდა არაციკლურ ვარიაციებზე.

აღნიშნული ფაქტი კარგად ეთანხმება სხვა ავტორთა მიერ აღრე მიღებულ შედეგებს [3, 4, 10].

კორელაციის კოეფიციენტთა გამოთვლა, ერთი მხრივ, ფურიეს ხსენებულ  $C_1$  და  $C_2$  კოეფიციენტებსა და, მეორე მხრივ, ვოლფის რიცხვთა საშუალო-წლიურ მნიშვნელობათა შორის გვაძლევს (იხ. ცხრილი 2):

1. როგორც  $\delta X_q$ -ს, ისე  $\delta X_D$ -ს ფურიეს  $C_1$  და  $C_2$  კოეფიციენტები არაა კორელაციურ კავშირში ვოლფის  $W$  რიცხვთა ციკლურ ცვლასთან;

2.  $\delta Y_q$ -ს შემთხვევაში კორელაციის შესაბამისი კოეფიციენტები მეტად დიდია, მაშინ როცა  $\delta Y_D$ -სათვის სათანადო კოეფიციენტებს მცირე მნიშვნელობები აქვს;

3.  $\delta Z$ -სათვის ( $\delta Z_q$ ,  $\delta Z_D$ ) აღინიშნება ისეთივე კორელაციური კავშირი, როგორც  $\delta Y$ -სათვის ( $\delta Y_q$ ,  $\delta Y_D$ ).

ყველივე აღნიშნულის რეზუმირებისას აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მივაჭციოთ იმ ფაქტს, რომ  $S_q$  ვარიაციათა სხვადასხვა კომპონენტზე ( $\delta X_q$ ,  $\delta Y_q$ ,  $\delta Z_q$ ) ჰელიოაქტივობის ქმედების ხასიათი არაა ერთნაირი. მართლაც, მაშინ როცა  $\delta Y_q$ -სა და  $\delta Z_q$ -სათვის პირველი ჰარმონიკების ამპლიტუდები დიდია მეორე ჰარმონიკების ამპლიტუდებზე,  $\delta X_q$ -ს შემთხვევაში ადგილი აქვს შებრუნებულ მოვლენას. უფრო მეტიც, თავისებურია აგრეთვე ხასიათიც მისი პირველი ორი ჰარმონიკის ამპლიტუდის ცვალებადობისა ჰელიოაქტივობის ციკლის გასწვრივ, სახელდობრ—ამ ცვალებადობას არა აქვს არავითარი კორელაციური კავშირი ჰელიოაქტივობის ციკლურ ცვალებადობასთან.

უკანასკნელი ფაქტი, როგორც ჩანს, შეიძლება დაუკავშირდეს იმ გარემოებას, რომ გამოსავალი მასალა შეესაბამება პუნქტს. რომელიც, როგორც ცნობილია [10], მდებარეობს  $\delta X_q$  ვარიაციათა ფორმის ცვლის გარდამავალზონაში.

ქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვარიაციათა თავისებური ხასიათის შესახებ ხსენებულ ზონაში მითითებული იყო არაერთხელ [3, 4, 10]. შემოთ აღნიშნულს უნდა დაემატოს შემდეგიც.

ერგენსონის მონაცემებით [9], საშუალო სიზისტე ჰელიორადიაციისა, რომელიც შედგება სხვადასხვა ენერგიის მქონე ორი კომპონენტისაგან მაინც, იცვლება ჰელიოაქტივობის ცვლილების შესაბამისად; ამასთან ამ რადიაციის რბილი კომპონენტის ფარდობითი წილი განიცდის შებრუნებულ ცვალებადობას, მცირდება რა ციკლის მაქსიმუმისაკენ.

მეორე მხრივ, როგორც ცნობილია [5, 6], გეომაგნიტური ველის დღეღამური ვარიაციები განპირობებულია, გარდა ტალღურისა, კორპუსკულური ჰელიოგამოსხივებითაც. ამასთან შემადგენლობაში უწყვეტი კორპუსკულური გამოსხივებისა, რომელიც ქმნის ერთგვარ ფონს დღეღამური ვარიაციებისას დღეღამური ტალღის სახით, წყნარ დღეებში უნდა მატულობდეს რბილი კომპონენტის როლი, რითაც ისახება ტენდენცია ჰარმონიკების ციკლური სვლის ზემო-ცლიშნული დარღვევისა. ეს მოვლენა, ბუნებრივია, უფრო ცხადად თავს უნდა ჩენდეს განსახილავ  $\delta X_q$  ვარიაციების შემთხვევაში, რადგან ისინი, თანახმად ზემოთქმულისა, შეესაბამებიან პუნქტს, რომელიც მდებარეობს მათი ფორმის ცვლის გარდამავალ ზონაში.

გადავიდეთ აქლა  $S_D$  ვარიაციების თავისებურებათა განხილვაზე.

თუ მხედველობაში მივიღებდით, რომ  $S_D$  ვარიაციების განმსაზღვრელი ფაქტორი კორპუსულური ჰელიოგამოსხივებაა, შეიძლებოდა კორელაციის კოეფიციენტების სიმცირე შემდეგნაირად აგვეხსნა.

საერთოდ ცნობილია [10], რომ გეომაგნიტური შეშფოთებები დაიკვირვებიან ჰელიოაქტივობის როგორც მაქსიმუმის, ისე მინიმუმის ეპოქაში, და თუმცა მათი გამოჩენის სიხშირე (და ინტენსივობაც) ნაკლებია მინიმუმის წლებში, კორპუსულურ გამოსხივებათა გეომაგნიტურ ველზე ქმედების ხასიათი ღელვაზე დღეებში დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს თვით მინიმუმისა და მაქსიმუმის წლებშიც კი, რასაც შეეძლო თავის მხრივ გამოეწვია სათანადო ვარიაციების ციკლური სვლების ზემოსხენებული დარღვევა.

### ცხრილი 1

ფურიეს კოეფიციენტები

წლები	ფურიეს კოეფიციენტები												$W^*$
	$\delta X_q$		$\delta Y_q$		$\delta Z_q$		$\delta X_D$		$\delta Y_D$		$\delta Z_D$		
	$C_1$	$C_2$	$C_1$	$C_2$	$C_1$	$C_2$	$C_1$	$C_2$	$C_1$	$C_2$	$C_1$	$C_2$	
1933	2,0	3,5	9,3	8,5	3,6	2,7	9,1	3,0	5,2	2,6	2,8	0,2	6
1934	2,5	3,3	10,1	8,5	3,7	3,0	8,7	1,4	5,2	2,7	2,4	0,4	9
1936	2,0	2,0	12,2	10,2	3,4	3,2	11,0	0,4	5,4	1,7	2,4	0,2	80
1937	3,1	3,2	14,0	11,7	7,4	5,4	5,0	1,3	6,0	1,3	4,6	0,4	114
1938	1,1	2,5	13,9	10,4	6,3	4,6	10,6	1,2	7,5	4,0	5,7	1,0	110
1939	1,5	2,2	10,4	7,8	5,5	3,8	12,3	0,8	8,5	2,6	3,2	1,3	89
1940	3,0	3,4	12,2	9,5	4,9	3,4	13,1	1,5	10,6	3,4	4,9	0,9	68
1941	2,0	3,0	11,9	8,0	4,4	3,3	17,9	0,4	12,0	2,8	7,3	1,7	48
1942	0,4	2,3	11,0	8,1	4,1	3,2	10,2	0,9	9,7	1,0	3,7	0,3	27
1943	0,6	2,2	10,1	7,6	3,1	3,0	15,1	2,6	10,3	1,5	4,5	0,4	15
1944	2,1	2,9	10,0	6,4	3,6	2,5	10,7	1,2	6,9	1,5	2,8	0,8	11
1945	2,2	3,4	10,3	8,1	4,2	3,6	11,8	2,5	6,8	2,6	2,7	0,4	36

### ცხრილი 2

$R_{WV} C_1 \delta X_q$	$R_{WV} C_2 \delta X_q$	$R_{WV} C_1 \delta Y_q$	$R_{WV} C_2 \delta Y_q$	$R_{WV} C_1 \delta Z_q$	$R_{WV} C_2 \delta Z_q$	$R_{WV} C_1 \delta Z_D$	$R_{WV} C_2 \delta Z_D$	$R_{WV} C_1 \delta X_D$	$R_{WV} C_2 \delta X_D$	$R_{WV} C_1 \delta Y_D$	$R_{WV} C_2 \delta Y_D$	$R_{WV} C_1 \delta Z_D$	$R_{WV} C_2 \delta Z_D$
0,26	-0,22	0,85	0,88	0,89	0,85	-0,20	-0,57	0,00	0,27	0,38	0,30		

ბოლოს, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ კიდევ ერთი გარემოება.

ეიგენსინის თანახმად [8], ჰელიოაქტივობის დონის ამაღლებასთან ერთად დიგილი აქვს როგორც ცალკეული მძლავრი ჰელიომოვლენების რიცხვისა და როლის ზრდას, ისე ამ მოვლენების თვით ხასიათის ცვლილებასაც. თუკი მიმინარე საუკუნის პირველი 11-წლიანი ციკლების მანძილზე ინდიკიდუალური ჰელიომოვლენების, ერთი მხრივ, საერთო და, მეორე მხრივ, საშუალო სიძ-



ძლავრეთა მრუდები ურთიერთბარალელური იყო („ნორმალური“ ციკლები)<sup>1</sup>, შემდეგ მომდევნო ციკლებისათვის, ეს პარალელობა თანდათან ირღვევილა, სანამ ბოლოს, განსახილავ ციკლში (1933—1945 წწ.), ხსენებული მრუდები არ გახდა თითქმის საშინაომდეგო ფაზების შემნე („ანორმალური“ ციკლები)<sup>2</sup>.

ყოველივე ნათქვამიდან ცხადია, რომ მზიურ ლაქათა ფარდობითი რიცხვები საუკუნეობრივი ციკლის ჩვენი ეპოქისათვის არ დარჩება მთლიანად რეარენენტალური რიგი გეოფიზიკური მოვლენების, მათ შორის საკვლევის, ანალიზისათვის.

რამდენადაც აქ მოყვანილი მოსაზრებანი ერთ-ერთი პირველია იმ ცდებიან, რომელთა მიზანია ინტერპრეტაცია გაუკეთოს თბილისის (კარსანი, დუშეთი) ობესრვატორის მონაცემების მიხედვით გეომაგნიტური ელემენტების პარმონიული ანალიზის ზოგიერთ შედეგს, რაც ამასთან მეტად თუ ნაკელბად შეზღუდულ მასალას ეყრდნობა, ამდენად ისინი მოითხოვს შემდგომ შემოწმებას ახალი გამოკვლევებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

გეოფიზიკის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 12.10.1958)

### დამოწმებული ლიტერატურა

1. Л. А. Вительс. Метеорология и Гидрология. 6, 1946.
2. А. И. Диебулидзе и М. З. Нодиа. ЗАГЭС и Геомагнитная Обсерватория в Карсани. Изд. Геофиз. Обсерват. Грузии, 1928.
3. Н. А. Кацашвили. Некоторые особенности  $S_q$  вариации Н в Тбилиси. Труды Инст. Геофизики АН Грузинской ССР, т. XVI, 1957.
4. Н. А. Кацашвили. Труды ТНИГИ, т. II, 1954.
5. В. И. Михалков. Труды Ташкентской Геофизической Обсерватории, вып. 4 (5), 1950.
6. В. И. Михалков. Труды Ташкентской Геофизической Обсерватории, вып. 9 (10), 1954.
7. М. З. Нодиа. Магнитные наблюдения в Карсани (близ Тбилиси) в 1932 г. Изд. АН ГССР, 1955.
8. М. С. Эйгенсон. Природа, 5, 1950.
9. М. С. Эйгенсон, М. Н. Гневышев, А. И. Оль и Б. М. Рубашев. Солнечная активность и её земные проявления. ОГИЗ, 1948.
10. S. Chapman and J. Bartels. Geomagnetism, I, II, 1951.

(<sup>1</sup> ვიტელსის ტერმინოლოგიით [1].



გვ. 60

ქ. არაშიძე

ციკლოავტონის ჰომოლოგების იზომერის რეაქციის  
მეთანიზმი

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ციციშვილმა 19.1.1959)

ციკლოპენტანის ჰომოლოგების იზომერების რეაქცია რგოლის გაფართოებით ოლმააჩნა ნ. ზე ლ. ი ნ ს კ ი მ [1]. მის მიერ ნაჩვენებია, რომ ეთილციკლოპენტუ ბრომისა და ბრომიანი ალუმინის მოქმედებით მიიღება პენტაბრომო-ტოლუოლი. ამ უკანასკნელი ნაერთის წარმოქმნა ნ. ზელინსკის შემდეგნაირად ახსნა: ეთილიციკლოპენტანი იზომერის რეაქციით მეთილციკლოპენტანის იძლევა, ამ უკანასკნელის ბრომირებით პენტაბრომტოლუოლი მიიღება. ნ. ზელინსკის [1] ამ ალმონენმ დასაბამი მისცა კვლევა-ძიების ახალი მიმართულებით გაშლას ციკლოპენტანის ჰომოლოგების კონტაქტურ-კატალიზური გარდაქმნების შესახებ. შემდგომ ციკლოპენტანური ნახშირწყალბადების იზომერირების რეაქცია რგოლის გაფართოებით ნაყოფიერად განაგრძეს მ. ტუროვა-ბოლიო კ-მ ა და მისმა თანამშრომელებმა [2]. ერთ-და ორჩანაცვლებული ციკლოპენტანის ჰომოლოგების მაგალითზე ნაჩვენებია, რომ ისინი იზომერირების რეაქციას განიცდიან რგოლის გაფართოებით, რის შედეგადც ციკლოპენტანური ნახშირწყალბადები მიიღება.

ნ. ზელინსკიმ და მ. ტუროვა-ბოლიოემის [3] ციკლოალკანების იზომერირების რეაქციის მექანიზმის ასახსელად სამქლორიანი ალუმინის მონაწილეობით გამოთქვეს მოსაზრება, რომ სარეაქციოდ აღებული ნახშირწყალბადი განიცდის რგოლის გაპობას, რის შედეგად წარმოიქმნება რადიკალი ორი თავისუფალი ვალენტობით. ავტორების [3] აზრით, რეაქციის ეს შუალედი პროდუქტები ციკლოპენტანის ჰომოლოგების იზომერირების რეაქციის პირობებში წარმოქმნიან ახალს, უფრო მდგრადს — ექსპრესიან რგოლს. თავისუფალი რადიკალების წარმოქმნა ორი თავისუფალი ვალენტობით და ნახშირბადის ატომთა საკმარისი რიცხვით ექსპრესიან რგოლის წარმოსაქმნელად ექსპრომენტულად არ იყო დადასტურებული. ექვს-და ხუთწევრიანი რგოლების წარმოქმნა ლიაგვიანი ნახშირწყალბადებიდან ამჟამად არავითამ ცემს არ იწვევს. ბ. კაზანსკისა და ა. პლატეს [4], ბ. კაზანსკისა და ა. ლიბერ მათის [5] დამტკიცებულია ლიაგვიანი ნახშირწყალბადებიდან დახურული ექვს-და ხუთწევრიანი რგოლების წარმოქმნის პირიცოლული შესაძლებლობა.


ციკლონების იზომერირების რეაქციის მექანიზმს, არა რგოლის შეცვლით, არამედ რადიკალების გადანაწილებით, მიუძღვნეს გამოკვლევები გრ ი ნ ი ა რ მ ა და ს ტ რ ა ტ ფ თ რ დ მ ა [6], აგრეთვე პ ა ი ნ ს მ ა დ ა ი პ ა ტ ი ე ვ მ ა [7]. ცვტორების აზრით [6, 7], ციკლონების ამ სახის იზომერირება რადიკალების მოწყვეტით და შემდგომი ალკილირებით მიმდინარეობს. ასეთი დასკვნის არა-დამაჯერებლობა დამტკიცდა ს. მ ე ხ ტ ი ე ვ ი ს მიერ 181 ჩატარებული გამოკვლევებით. ბენზოლისა და იზოპროპილციკლოპენტანის ნარევის მაგალითზე ს. მ ე ხ ტ ი ე ვ მ ა [8] ექსპრომენტით დადასტურა, რომ თავისუფალი რადიკალების წარმოქმნისა და ალკილირების შემთხვევაში ბენზოლის ჰომოლოგები უნდა წარმოქმნილიყო, რადგან ბენზოლი უფრო იოლად ალკილირდება, ვიდრე ნაფტენური ბირთვი. რეაქციის პროდუქტებში ბენზოლის ჰომოლოგები არ აღმოჩნდა, რაც იმას მტკიცებს, რომ ნაფტენების იზომერირების რეაქციის მექანიზმი, მოწოდებული გრინატორდის [6], პ ა ი ნ ს ი ს ა და

იპატ ი ე ვ ი ს მიერ [7], სწორი არ არის. მართლადაც, თუ ნაფტენების იზომერიების რეაქცია ჩადიკალების მოწყვეტით მიმდინარეობს, მაშინ მეთილ-და ეთილჩინაცვლებული ციკლინების იზომერების შემთხვევაში აღვილი უნდა ჰქონდეს აიროვანი ნახშირწყალბადების — ეთანისა და ბუთანის წარმოქმნას. ეს ნახშირწყალბადები უნდა წარმოიქმნას თავისუფალი რადიკალების, შეჯახების გამო. მეთილ-და ეთილციკლოპენტანის იზომერიების დროს, სამჭლორიანი ან ალფა-მინინის მონწილეობით, მ. ტუროვა-პოლიაკის მიერ თანამშრომლებთან ერთად [2] ნახვენებია, რომ აიროვანი ნახშირწყალბადების წარმოქმნას აღვალი არა აქვს. ამგვარად, ნაფტენების იზომერიების რეაქციის მექანიზმი დეალკილირებისა და ალკილირების რეაქციის შეხამებით ექსპერიმენტულად არ დასტურდება.


ნახვენებია, რომ [9] ციკლოპენტანის ჰომოლოგების იზომერიების რეაქციის მექანიზმი შეიძლება აიხსნას კარბონიონის წარმოქმნით.

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნდა, რომ ციკლოპენტანის ჰომოლოგების იზომერიების რეაქციის შეიძლება მიმინარეობდეს სამწევრიანი რგოლის წარმოქმნით, რომლის შემდგომი გაპობით იზომერული ნახშირწყალბადი მიიღება. ასეთი შეხედულება ექსპერიმენტულად იმ შემთხვევაში დადასტურდება, თუ მოხერხდებოდა იზომერიების რეაქციისათვის ისეთი აგებულების ალკიციკლოპენტანის შერჩევა, რომელიც სამწევრიანი რგოლის წარმოქმნითა და შემდგომი გაპობით მოვცემდა ნახშირწყალბადს, რომელიც თავისი აგებულებით უპასუხებდა ჩვენ მიერ მოწოდებულ მექანიზმს ციკლოპენტანის ჰომოლოგების იზომერიების რეაქციის შესახებ. ასეთ ნახშირწყალბადი ჩვენ მივიჩნიეთ იზოპროპილციკლოპენტანი, რომელიც შერჩეულ იქნა ამ მიზნისათვის.

მართლადაც, თუ ციკლოპენტანის ჰომოლოგების იზომერიების ღროს წარმოიქმნება სამწევრიანი რგოლი, ამ შემთხვევაში იზოპროპილციკლოპენტანის უნდა მოგვცეს ასეთი აგებულების ნახშირწყალბადი:



შემდგომა გაპობამ კავშირისა  $\text{CH}-\text{CH}$  შორის წყალბადის მიერთებით, უნდა წარმოქმნას ჰემჩანაცვლებული დამეთილციკლოპენტანი:



ჩვენ მიერ მოწოდებული მაქანიზმის ექსპერიმენტული დადასტურება-ექნებოდა რეაქციის პროდუქტებში 1,1 დამეთილციკლოპენტანის აღმოჩენა-

იზოპროპილციკლოპენტანის იზომერირებით მიღებულ პროცესში 1,1-დიმეთილციკლოპენტანის არსებობა მართლაც დატეტიცდა. ამგვარად, ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა მუშაობამ ჩვენი მოსაზრება ვფიქრობთ გაამართლა.

იზოპროპილციკლოპენტანის იზომერირება ჩვენ მიერ განხორციელებულია სამეცნიერო ალუმინის მონაზილეობით ისეთ პირობებში, როგორც ეს აღწერილია მ. ტუროვა-პოლიაკისა და ტ. სლოვოხოტოვას შრომაში [10], მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რეაქცია გრძელდებოდა არა ოცი, არამედ თექსტეტი საათის გამოავლობაში, რასაც თავისი გარკვეული მიზანდასახულება ჰქონდა, კერძოდ ის, რომ ჰემჩანაცვლებული დიმეთილციკლოპენტანი უემდგომი გარდაქმნისაგან გადაგვერჩინა.

მ. ტუროვა-პოლიაკია და ტ. სლოვოხოტოვამ [10] იზოპროპილციკლოპენტანის იზომერირებისთვის გამოიყენეს 6. ზელინსკის [11] შერჩევითი დეპიდროგენული კატალიზის მეთოდი.

ჩვენი მიზნებსათვის ამ მეთოდის გამოყენება არ იქნებოდა გონივრული, ვინაიდან ის ნივთიერება, რომლითაც ჩვენი მოლოდინი უნდა გამართლებულიყო, დეპიდროგენული კატალიზის პირობებში სხვა ნივთიერებად გარდაიქნება. ბ. კაზანსკიმ და ა. ლიგერმანმა [12] აჩვენეს, რომ დეპიდროგენული კატალიზის პირობებში ჰემჩანაცვლებული დამეთილციკლოპენტანი იცვლება. ეს ნახშირწყალბადი იმ პირობებში იძლევა ძირითადად 1,3-დიმეთილციკლოპენტანს, გარდა ამისა, აგრეთვე 1,2-დიმეთილციკლოპენტანსა და მეთილციკლოპენტანს, რომელთა დეპიდრირება მათ შესაბამის არომატულ ნაწარმირწყალბადებს იძლევა.


უნდა ვივარაუდოთ, რომ მ-ქსილოლი, აღმოჩენილი მ. ტუროვა-პოლიაკისა და ტ. სლოვოხოტოვას მიერ [10] იზოპროპილციკლოპენტანის იზომერირების რეაქციის პროცესში, ასევე იყო წარმოქმნილი, ე. ი. იზოპროპილციკლოპენტანის იზომერირების დროს მოგვცა 1,1-დიმეთილციკლოპენტანი მეთოდის მეთოდი, მოწოდებული არანის, მანდელშტამისა და ლანდსბერგის მიერ. კარდა 1,1-დიმეთილციკლოპენტანისა (20%), იზომერიზატში აღმოჩენილა ტრანს-1,4-დიმეთილციკლოპენტანი (15%), ცის-1,3-დიმეთილციკლოპენტანი (55%) და ტრანს-1,3-დიმეთილციკლოპენტანი (10%)<sup>(1)</sup>.

ჩვენ არც ველოდით, რომ იზოპროპილციკლოპენტანის იზომერირების რეაქციის პროცესში იდენტიფიცირებისათვის, ჩვენ გამოვრიცხეთ დეპიდროგენული კატალიზის მეთოდი და გამოვიყენეთ კომბინაციური გაფარტვის მეთოდი, მოწოდებული არანის, მანდელშტამისა და ლანდსბერგის მიერ. კარდა 1,1-დიმეთილციკლოპენტანისა (20%), იზომერიზატში აღმოჩენილა ტრანს-1,4-დიმეთილციკლოპენტანი (15%), ცის-1,3-დიმეთილციკლოპენტანი (55%) და ტრანს-1,3-დიმეთილციკლოპენტანი (10%)<sup>(1)</sup>.

ჩვენ არც ველოდით, რომ იზოპროპილციკლოპენტანის იზომერირების რეაქცია მთლიანად შეჩერდებოდა 1,1-დიმეთილციკლოპენტანის საფეხურზე. ეს ნახშირწყალბადი, როგორც ცნობილია ზელინსკის და მ. ტუროვა-პოლიაკის შრომიდან [3], იზოპროპილციკლოპენტანის იზომერირების პირობებში, ე. ი. იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ ცდა ჩატარეთ, ძირითადად 1,3-და 1,4-დიმეთილციკლოპენტანად გარდაიქმნება. ჩვენ მიერ აღმოჩენილი 1,3-და 1,4-დიმეთილციკლოპენტანი აღმატეთ მეორადი წარმონაქმნის პროცესს წარმოადგენენ. 1,1-დიმეთილციკლოპენტანი, ჩვენ კვლის პირობებში წარმოქმნილი, გარდაიქმნება 1,3-და 1,4-დიმეთილციკლოპენტანად. ეს გარდაქმნა, ჩვენი გაგებით, მიმღინარეობს იმავე მექანიზმით, როგორც ალკილციკლოპენ-

<sup>(1)</sup> სპექტროსკოპული გამოკვლევა შესრულებულია ი. ეგოროვის მიერ, რისთვისაც მას მაღლობას ვუძღვნით.

ტანების იზომერიზების დროს. თუ ალკილციკლოპენტანი წარმოქმნის სამწევ-  
რიან რგოლს, ალკილციკლოპენტანის უშეუძლია წარმოქმნას სამწევრიან რგო-  
ლი, რომლის შემდგომ გაპობას უშეუძლია მოგვცეს იზომერული (ჩვენ შემთხვე-  
ვაში) დიმეთილციკლოპენტანები.




1,1-დიმეთილციკლოპენტანის იზომერიზება სამქლორიანი ალფა-მინის მონაწილე-  
ობით შესწავლილი აქვთ ნ. ზელანსკისა და მ. ტუროვა-პოლიას [13].  
მათ მიერ ნაჩვენებია, რომ ცდის იმ პირობებში, რომლებიც ახლოსაა ჩვენი  
ცდის პირობებთან, 1,1-დიმეთილციკლოპენტანი გარდაიქმნება, როგორც ზემო-  
თაა ნაჩვენები. 1,3-და 1,4-დიმეთილციკლოპენტანი გარდაიქმნება, როგორც ზემო-  
თაა ნაჩვენები. 1,3-და 1,4-დიმეთილციკლოპენტანი აღბათ ამ რეაქ-  
ციის მეშვეობითაა მიღებული. იზოპროპილციკლოპენტანის იზომერიზების  
რეაქციით მიღებული 1,1-დიმეთილციკლოპენტანი განიცდის რაღიკალების  
გადანაცვლებას ზემოთ აღნიშნული სქემის მიხედვით.


### ექსპერიმენტული ნაწილი

კვლევა-ძეგლისათვის საჭირო იზოპროპილციკლოპენტანი მიღებულია  
დიმეთილფულვენის ავტოკლავში კატალიზური ჰიდრირებით. ჰიდრირებისათვის  
საჭირო კატალიზატორი-ნიკელი მომზადებულია იმ წესით, როგორც ეს რენეს  
აქვს აღწერილი.

დიმეთილფულვენი დასინთეზებულია იმ მეთოდის მიხედვით, როგორც ეს  
თილეს [13] შრომაშია მოცემული. თილეს მეთოდის არსი იმაში მდგომარე-  
ობს, რომ ციკლოპენტალენი აცეტონთან კონდენსაციის რეაქციაში შედის  
ნატრიუმის ალკოჰოლატის მონაწილეობით სპირტში არეში შემდეგი სქე-  
მის მიხედვით:



რეაქციისათვის საჭირო ციკლოპენტადიენი მიღებულია ჩვენ მიერ დიციკლოპენტადიენის დეპოლიმერიზაციით. ამ მიზნით დიციკლოპენტადიენი



პოთავსდა ფავორსკის კულაში, რომელიც შეერთებული იყო დახრილ მაცივართან. კულის ნელი გათბობით მოხდა დიციკლოპენტადიენის დეპოლიმერიზაცია და რეაქციის შედეგად წარმოქმნილი ციკლოპენტადიენის მიმღებულობრივი მოგროვდა.

ეთილატის სპირტებსნარი, რომელიც მომზადდა 250 მლ აბსოლუტური გრილის სპირტისა და 19.5 გ ნატრიუმისაგან, მოთავსდა სამყელიან კულაში; კული შეერთებული იყო უკუმაცივართან, საწვევ ძაბრთან და მექანიკურ მომრევთან. ახლად გამოხდილი ციკლოპენტადიენისა და აცეტონის ნარევი ფრთხოლად დაემატა ალკოჰოლატის სპირტებსნარის მდებარეობის მუდმივი მოქმედების პირობებში. რეაქციის დამთავრების შემდეგ დაუმატეთ ყინულიანი წყალი. წყლიანი ფენა დაგვიღუშავეთ ქლოროფორმით და გაშრობის შემდეგ გამოვხადეთ.

ახლად გამოხდილ დიმეთილფულვენს ვათავსებდით მოქანვე ავტოკლავში ვუმატებდით რენეს კატალიზატორს და ვაპილირიებდით ოთახის ტემპერატურაზე 50 ატმოსფერული წნევით. დიმეთილფულვენის პილირიებას ვახდებდით ისე, როგორც ეს ალწერილი ქეთ ბ. კაზანსკისა და ე. ტერენტიევას [14], მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გამორიცხული იყო გამხსნელის გამოყენება და მბრუნვა ავტოკლავის მაგივრალ მოქანვე ავტოკლავი გამოვიყენეთ.

პილირიების დამთავრების შემდეგ კატალიზატორი მოვაცილეთ ნახშირწყალბადს, ეს უკანასკნელი გავრეცხეთ ჯერ გოგირდის მუავათი, შემდეგ წყლით, სოდის 10%-იანი ხსნარით და ბოლოს წყლით, გავაშრეთ ქლორკალიუმით და გამოხვადეთ ლითონ ნატრიუმის თანდასწრებით. იზოპროპილციკლოპენტანი უარყოფით რეაქციას იძლევთ უჯერ ნახშირწყალბადზე და ხასიათდებოდა შემდეგი ფიზიკური მაჩვენებლებით: დუღ. ტემპ. 126—126,5° 760 მმ წნევის პირობებში  $d_4^{20}$  0.7770,  $n_D^{20}$  1.4300. ლიტერატურული მონაცემებით [15], ამავე სილიცია მნიშვნელობა ასეთია: დუღ. ტემპ. 126,8° 760 მმ წნევის პირობებში  $d_4^{20}$  0.7770,  $n_D^{20}$  1.4300

გამოსავალი ნახშირწყალბადის სინთეზი შესრულებულია მ. ლომონოსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნავთობის ქიმიის ლაბორატორიაში ზ. ელაშვილის მონაწილეობით.

იზოპროპილციკლოპენტანის იზომერიება შემდეგ პირობებშია შესრულებული: სამყელიან კულაში, რომელიც შეერთებული იყო მექანიკურ მომრევთან, უკუმაცივართან და თერმომეტრთან, მოვათავსეთ იზოპროპილციკლოპენტანი და სამქლორიანი ალუმინი თანაფარდობით 3 მოლი: 1 მოლთან. კულა თბებოდა ზეთის აბაზანაზე. ზეთის აბაზანის ტემპერატურის რეგულირებას ვახდებით ლაბორატორიული ავტოტრანსფორმატორით. სარეაქცია ნარევში ჩაშვებული თერმომეტრი უჩვენებდა 117—119°, ხოლო ზეთის აბაზანში — 135—137°.

ուղարկեցին հյայլուա ցագրելով 16 սատ., նաեւորթյալծածու Շեմլու մոզաբուլութ հյայլուա էրուութիւն սատանալու ցարեցեցին առ ցամրութիւն ցամոցեալութ լուուն նաւրութիւն տանձավրութիւն էր. նաեւորթյալծածու հյայլուա ցամունքալութ 115—120,5° 720 մմ վնեցու զորութեածու. մատու եցելութիւն վոնիս և սինատլու սեպութալութեածու մեջությալծածու ասետա:  $d_{20}^{20}$  0,7734;  $n_{D}^{20}$  1,4270.

հյայլուա էրուութիւն ցամուկալութ ույու ցոմծունացութիւն ցայցանթիւն մշցութակութ ալմոհենուա 1,1-դիմետուլույլության, սինեուրութիւն սե- $\theta^{-1}$  704(2); 728(0); 1028(1). Ծրանս-1,3-դիմետուլույլության — 409(1); 419(4); 546(5); 771(6). Ծրանս-1,3-դիմետուլույլության — 752(2); 1056(1); 1439(2); 1460(2). Ծրանս-1,4-դիմետուլույլության — 376(2); 454(1); 760(5). Տայքի-էցին ցամունքալութ հյայլուա էրուութիւն սեպության [16] ցամունքալութ:

Այսարտցելու սեր մյունոյիրեածու աշացեմուա

3. Մյունոյիրեածու և սեպության

յումուս օնստություն

տծունուս

(հյայլուա մոռացուա 26.2.1959)

### ԶԱԹԵՑՑՈՑՈՒՅՆՈ ՀԱՅԱՀԱՅԱՏՇԱ

1. Н. Д. Зелинский и И. Папе. ЖРХО, 37, 625, 1905.
2. М. Б. Турова-Поляк с сотрудниками. ЖОХ, 9, 233, 429, 1279, 2179, 1939; 10, 152, 1435, 1940; 11, 824, (1941); 17, 137, 1947; Вестник МГУ, № 6, 55, 1950.
3. Н. Д. Зелинский и М. Б. Турова-Поляк. Уч. зап. МГУ, 151, 47, 1951.
4. Б. А. Казанский и А. Ф. Платэ. ЖОХ, 7, 328, 1937.
5. Б. А. Казанский, А. Л. Либерман и др. ДАН СССР, 95, 77, 1954; 95, 281, 1954; 105, 727, 1955.
6. V. Grignard, R. Stratford. C. R. 178, 1924, Chem. Abstr. 18, 3110, 1924.
7. H. Pines, V. Ipatieff. J. Am. Chem. Soc., 61, 1076, 1939.
8. С. Д. Мехтиев. ДАН СССР, 91, 849, 1953.
9. К. Д. Неницеску. Усп. хим., 26, 399, 1957.
10. М. Б. Турова-Поляк и Т. А. Словохотова. ЖОХ, 10, 1435, 1940.
11. Н. Д. Зелинский. ЖРХО, 43, 1220 1911; 44, 275 1912; 45, 52, 1913.
12. Б. А. Казанский и А. Л. Либерман. Изв. АН СССР, ОХН, 265, 1947.
13. J. Thiele. Ber., 33, 666, 1900.
14. Б. А. Казанский и Е. М. Терентьевая. Синтез орг. соед. Изд. АН СССР, М.—Л., Сб. I. 1950, стр. 97.
15. G. Egloff. Physical constants of hydrocarbons, New York, vol II, 1940, 63.
16. Г. С. Ландсберг, П. А. Бажулин, М. М. Сущинский. Основные параметры спектров комбинационного рассеяния углеводородов. Изд. АН СССР, М., 1956, стр. 177.



გეოგრაფია

დ. ჭირითიალი

შინვარების ცვალებადობა კავკასიონის სამხრეთ კალთაზე  
უკანასკნელი 20—25 წლის განმავლობაში

(წარმოადგინა აკადემიკოს ა. ჯავახიშვილმა 15.12.1957)

თანამედროვე თოვლ-ყინვარების საფარის დროსა და სივრცეში ცვალება-დობის პროცესების შესწავლა არა ინტერესმოქლებული იმ მიზეზით, რომ გავითვალისწინოთ თანამედროვე კლიმატური და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების საერთო ცვალებადობის მსგალლება, ერთი მხრივ, და შესაძლებლობა მოვცეცეს აღვალგინოთ მეოთხეული პერიოდის ყინვარული საფარის ცვალებადობის პალეოგეოგრაფიული პირობები. ამასთანავე, კავკასიონის სამხრეთი კალთის ყინვარების ცვალებადობის ჩეუმის შესწავლა და მისი შედარება საბჭოთა კავშირის მთიანი რაიონების ყინვარების ცვალებადობასთან საინტერესო ხდება ყანვრების ცვალებადობის საერთო მიზეზების დასაღვენავაც.

კავკასიონის ქედზე არსებული ყინვარებიდან მდ. მდ. ენგურისა და რიონის აუზების წილად მოდის საკმაოდ დიდი რაოდენობა. მდ. ენგურის აუზში არსებობს 178 ყინვარი და მოიცავს 406 კმ<sup>2</sup> ფართობს. რიონის აუზში 58 ყინვარია და უკავია 52,7 კმ<sup>2</sup>.

გერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ზოგიერთი მცვლევარი აღნიშნავდა ყინვარების შემცირების საერთო ტენდენციას კავკასიონზე [1, 2, 3]. უფრო დაწერილებითი ცნობები ზემო საგანეთოს (ენგურის აუზი) თანამედროვე ყინვარების შემცირების შესახებ, იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც მათ 1882—1896 წ.წ. ჰქონდათ, სამხედრო ტოპოგრაფიული რუკების გადაღების მომენტში, მოცუმულ იქნა 1932—1933 წ.წ. [5], ხოლო რიონის ზემო წილისათვის 1937 წ. [6].

ცნობებს, დამყარებულს ვიზუალურ დაკვირვებებზე კავკასიონის ყინვარების ცვალებადობის შესახებ, პირველად ვხვდებით პ. ა ბ ი ხ ი ს [1] გამოკვლევებში, ხოლო მის შემდეგ ამ საკითხების შესახებ მასალები მოიპოვება რევოლუციისწინა პერიოდის მკვლევართა შრომებში.

საქონა კავშირის მთიანი რაიონების ყინვარების ცვალებადობის რეუიშე ხანგრძლივი დაკვირვებები განხორციელებულ იქნა მხოლოდ 1932—1933 წლებში მეორე საერთაშორისო პოლარული წლის ჩატარებასთან დაკავშირებით. ამავე წლებში კავკასიონის სამხრეთ კალთაზე გამოკვლეულ იქნა ყინვარები მდ. ენგურის აუზში [5]. ყინვარების კომპლექსურ შესწავლასთან ერთად მსხვილ მასშტაბში გადაღებულ იქნა აღნიშნული აუზის ყინვარების ენები და დაგვინილია მათი შემცირების სიდიდე 1888—1896 წ.წ სამხედრო ტოპოგრაფების შედგინის შემდეგ.

ანალოგიური დაკვირვებები ჩატარდა რიონის აუზში 1937 წ. [6]<sup>1</sup> და გადალებულია ზოგჯერთი ყინვარის ენების ტოპოგრაფიული რუკები 1:2000 და 1:5000 მასშტაბით.

1957 წ. მდ. მდ. ენგურისა და რიონის აუზებში ჩატარებულმა დაკვირვებებმა გვაჩვენა, რომ ყინვარებს საგრძნობი შემცირება განუცდიათ უკანასკნელი 20—25 წ. მანძილზე.

უკანასკნელი ორნახევარი ათეული წლების განმავლობაში ყინვართა ცვალებადობის საერთო სურათის გარკვევისათვის მოვიყვანთ მონაცემებს ზოგიერთი ყინვარის შემცირების შესახებ კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე.

მდ. ენგურის აუზში კინ ვარ ე. განმეორებითა დაკვირვებანი ჩატარდა მდ. ენგურის ზოგიერთ პირველი რიგის ყინვარზე, რომელთა შესახებ არსებობდა 1932—1933 წ. წარმოებული დაკვირვების მასალები [5].

ყინვარი ჭალა ათი ერთეულთა უდიდესი ყანვარია კავკასიონის სამხრეთ კალთაზე (მდ. მულხის აუზში). ენგურის აუზის თანამეტროვე ყინვართა შორის ყინვარ ჭალათის ენა ყველაზე დაბლა ჩამოიდას. ყინვარს სათავე აქვს მწ. ბერედუხის (4037 მ) სამხრეთ კალთაზე, გრძელდება 7, 5 კმ და ბოლოვდება 1820 მ ას. სიმაღლეზე. ყინვარის ენის ჭვერი ნაწილი შევიწროებულია და დაფარული ზედაპირული მორნებით. ყინვარის ენის დაბოლოება შეუნაწილში ქარათადა ჩამოკვეთილი, ხოლო გეორდებზე არსებობს ქიმები. მარცხენა ქიმი 50 მ წამოწეულია კენტრალურ ნაწილთან შედარებით.

ყინვ. ჭალათის ენის ეხლანდელი მდებარეობის შედარება გასული საუკუნის 90-იან წლებში არსებულ მდგრმარეობასთან და 1932—1933 წლის დაკვირვებების მასალებთან [5] გვიჩვენებს, რომ ყინვარს საგრძნობი ცვლილები განუცდია.

1888—1896 წ. სამხედრო ტოპორუკების მიხედვით ყინ. ჭალათის ენა იშვებოდა 1619 მ ას. სიმაღლემდე<sup>2</sup>. 1933 წ. ვ. რუტკოვსკაიას ცნობით, ყინვარი ბოლოვდებოდა 1738 მ. სიმაღლეზე. ყინვარის ენის დაბოლოების შეფარდებით სიმაღლეთა სხვაობა 1888—1896 და 1933 წწ. შუალედს შორის 120 მ აღწევს, ხოლო 1933 წ. 1957 წლებს შორის ყინვარმა 80—82 მ მაღლა გადაინაცვლა.

მე-2 საერთაშორისო პოლარულ წელთან დაკავშირებული გამოკვლევას მასალების მიხედვით [5], XIX საუკ. 90-იანი წლებიდან 1933 წლამდე ყინვარი დახეული იყო უკან 750 მ, ხოლო 1933 წლიდან 1957 წლამდე მისი შემცირება 200—250 მ აღწევს. საერთოდ, 60—70 წ. მანძილზე ყინვარის შემცირება 1 კმ აღემატება.

საინტერესო აღინიშნოს, რომ 1770—1780 მ სიმაღლეზე, იმ აღვილზე, სადაც ყინვარი ბოლოვდებოდა 1933 წ., ასებობს ბოლო მორენის მტლავრი ზეინული. ამ მორენის ზემოთ არსებობს კიდევ 4 ბოლო მორენის მცკრივი, დამორებული ერთიმეორისაგან 50 მ მანძილით. ყინვარის ენისწინა ბოლო მორენები გამოსახულია პატარპატარა ბორცვკავების სახით და ფსკერის მორენებით.

ასეთ გარემობას მიეცავართ იმ დასკვნამდე, რომ 1933 წ. შემდეგ იწყება მომენტი ყინვარს შემცირების დროებით შეჩერების, რომლის შემდეგ ყინვარი ისევ იწყებს ინტენსიურ შემოკლებას.

<sup>1</sup> რუკები გადაღებულ ენა ექსპედიციის წევრ ა. ასლანიკაშვილის მიერ.

<sup>2</sup> ბოლო მორენების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ყინვარის ენა XIX საუკ. 90-იან წლებში უფრო მაღლა ბოლოვდებოდა, 1640—1650 მ. სიმაღლეზე, ვიდრე არის აღნიშვნული იმ პერიოდის რუკებზე.

მიუხედავად მცირე დროით შეჩერებისა, ყინვარის ცხოვრებაში აღინიშნება შემცირების საერთო ტენდენცია და 60—70 წ. მანძილზე საშუალო წლიური უკანდახევის რაოდენობა 16—17 მ აღწევს, ხოლო უკანასკნელი 25 წლის შანდილზე—10—11 მ.

ყინვარი ლეხე ხ ზ ი რ ი წარმოადგენს ყველაზე უგრძეს ყინვარს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე (11,8 კმ).

ყინვარის ენა ბოლოვდება 1870 მ აბს. სიმაღლეზე. ენის ბოლო ნაწილი მთლიანად დაფარულია მორენებით და არათანაბარი მოდნობის გამო ასიმეტრიული მოხაზულობისაა.

ვ. რუტკოვსკაიას (5) 1933 წ. მონაცემებით, ლეხიჩირის ყინვარის ენა 1857 მ სიმაღლეზე მდებარეობდა და რამდენიმე თეთული მეტრით დასცილდებოდა კლდოვან ვიწროებს. იმავე წელს ა. ბელაშვილის მიერ 1:2000 მასშტაბით გადაღებულ რუკაზე ყინვარის დაბოლოება აღნიშნულია 1881 მ სიმაღლეზე.

თუ დავემყარებთ ა. ბელაშვილის რუკას, მაშინ ყინვარის ვერტიკალური გადანაცვლება 25 წლის მანძილზე 50—52 მ აღწევს. ყინვარის ქვემოთ, 150—200 მ დაშორებით, გამოჩენილია კლდოვანი შვერილი (ვერდის შუბლი), რომელიც 1933 წ. ტოპოგრადალების დროს არ იყო გაშიშვლებული.

თუ ყინვარის ენის 1933 წ. მდებარეობას შევადარებთ იმ მდგომარეობასთან, რომელიც ჰქონდა მას XIX საუკ. 90 წლებში, ყინვარის შემცირება 40—45 წ. მანძილზე 1250 მ აღწევდა [19], ხოლო 1933 წლიდან 1957 წლამდე მას 400—450 მ-ით დაუხევია უკან.

ამრიგად, XIX საუკ. დამლევს სამხედრო ტოპორუკების შედგენილანდებულები, 60—70 წლის მანძილზე ყინვარი შემცირებულია 1700 მ. მიუხედავად მცირე ხნით შეჩერებისა (რასაც მოწმობს ბოლო მორენების განლაგება), ყინვარის საშუალო წლიური დახევა 1896 წლიდან 1933 წლამდე 16 მ აღწევს, ხოლო 1933 წლიდან 1957 წ. შორის — 20 მ.

ყინ. წანე რი წარმოადგენს მეორე უდიდეს ყინვარს ენგურის აუზშა. ამჟამად (1957 წ.) ყინვარი ბოლოვდება ბრჭყალისმაგრარი მოყვანილობათ კლდოვან ვიწროებში, პარკშისა და ნაშეკოდარის ქედებს შორის, 2220 მ სიმაღლეზე. ყინვარის წინ არსებობს 30—50 მ სიმძლავრის ბოლო მორენის ზეინული.

ცნობები წანერის ყინვარის ენის მდებარეობის შესახებ მოგვეპოვება XIX საუკ. მეორე ნახევრიდან კავკასიონის მკვლევრების შრომებში. ჰეიმის (1876 წ.) და ვ. აბიხის (1877 წ.) მონაცემებით, წანერის ყინვარი ბოლოვდებოდა 1894 მ სიმაღლეზე. ღეშის მიხედვით — 1887 მ, ყინვარის ენა ჩიმოიდობა 2000 მ, ხოლო გასული საუკუნის 90-იანი წლების სამხედრო ტოპორუკების მიხედვით, ყინვარის ენა მდებარეობდა 2084 მ სიმაღლეზე, ყინვარ ნაღების შეერთების შევმოთ. ამავე ადასტურებდა ნ. უკოვი, რომელმაც ყინვარი ინახულა 1890 წ. ვ. რუტკოვსკაიას დაკირვებით [5], 1890 წლიდან 1933 წლამდე წანერის ყინვარმა უკან დაიხა 900—1000 მ, ხოლო ნაღების ყინვარმა — 600 მ. 1933 წლიდან 1957 წლამდე ყინვარს დაუხევია 100—150 მ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში ყინვარს მცირე მანძილით დაუხევია უკან, იგი ძალზე შემცირებულია მოკულობაში. 1931 წ. კატინ-ტაუგისტოლას მწვერვალების ტრავერსიდან დაშვებისას ამ სტრიქნოების ავტორითავისუფლად გადაიდა ყინვარის ენის დაბოლოებიდან მის მარჯვნივ არსებულ გრანიტულ კლდეებზე, სადაც არსებობდა სამთო ტურისტული ბილაკი. 1957 წ. ყინვარის ხელახლა ნახვისას აღმოჩნდა, რომ იგი დაშორებულია კლდოვან რეგის, რომელსაც ებჯინებოდა, თა კლდესა და ყინვარს შორის არის 40—50 მ

სემალლის ღრმული, რის გამოც კლდიდან ყინვარზე გადასვლა ძნელია. ხლად დატოვებული, ბოლო და გვერდითი მორქენები მიუთითებს ყინვარის სისქის შემცირებაზე 15—20 მ საოდენობით.

რაც შემცირება ნალების ყინვარის, იგი ამ 25 წლის მანძილზე შემცირებულია უფრო მეტი მანძილით, 200—250 მ, ვიდრე წანერი.

ყინვარი ვარი ჰადიში ზ. ზემო სვანეთის ყინვართა შორის ჰადიშის ყინვარი გამოიჩინა არა მარტო თავისი სილამაზით, რაც გამოშვეულია თვით ყინვარის მორფოლოგიური ბუნებით, არამედ მის გარშემო არსებული ლანდშაფტთ და მიმითაც, რომ მრავალი მკვლევრის აზრით მისთვის დამახსიათებელია სუსტი რეერები და უმნიშვნელო თახევა უკანასკნელი 6—7 ათეული წლის მანძილზე.

1870 წ. ქავრის მიერ ყინ. ჰადიშის ნახვისას მისი ენა ბოლოვდებოდა 2186 მ, 1890 წ. სამხედრო ტოპორუკების შედეგის მომენტში — 2266 მ, ხოლო დეშის ცნობით ყინვარი ეშვებოდა 2284 მ. კ. რუტკოვსკაია იზიარებს დეშის აზრს იმის შესახებ, რომ 1885—1887 წ. ჰადიში წინ მოიწევდა.

იმავე ავტორის მონაცემებით, ყინ. ჰადიში 1933 წ. ბოლოვდებოდა 2296 მ სიმაღლეზე. 1957 წ. ყინვარის ენის მდებარეობა განსაზღვრული იქნა 2350 მ აბს-სიმაღლეზე.

ამრიგად, 1890 წლიდან 1933 წ. ყინვარი შემცირდა 200—250 მ, ხოლო 1933 წლიდან 1957 წლამდე მისი უკან დახევა 52 მ არ აღმატებოდა, ასე რომ საშუალო წლიური დახევის მაქსიმუმი 2 მ აღწევს. გარდა ამისა, ბოლო მორქენების სამი მწკრივის არსებობა 1933 წ. „მარჯის“ და ყინვარის დაბოლოებას შორის მიუთითებს ყინვარის მცირე ხნით შეჩერების შესახებ ამ დროის მანძილზე.

ესოდენ უმნიშვნელო შემცირების (სულ 250—300 მ 60—70 წლის მანძილზე) მიზეზი, შესაძლებელია, დაკავშირებულია ყინვარის კვების არის ხელსაყრელ პარობებთან და თვით ყინვარის მორფოლოგიურ თავისებურებასთან.

ჰადიშის ყინვარს კვებავს ვრცელი ფირინის „რეზერვუარი“, ომელიც მოთავსებულია თეთნულობის, გისტოლისა და კატინ-ტაუს (ჰადიში) მწვერვალებს შორის.

ეშვება რა 450 მ სიმაღლიდან ერთ-ერთი უმაღლესი და ძნელად გადასალახავი ყინვარდნილის სახით მწ. მწ. თეთნულდის და კატინ-ტაუს შორის, ხელის გაფართოებულ ნწილში გამოსვლისთანავე ყინვარი სწრაფად იწყებს გავაკებას და სუსტად დანაპრალიანებული ენის სახით მოედინება.

დაკავშირებული ყინვარდნილის არა კვეულებრივი დაწოლა ხელს უწყობს ენის წინსვლით მოძრობას, რომელსაც აბათილებს ან მცირედ აჭარბებს ინტენსიური მოდნობის პროცესების. თუ ყინვარის უკან დახევის სიმძლავრე შედარებით სხვა ყინვარებთან უმნიშვნელოა, სამაგიროდ მეტად შესამჩნევი ხდება მისი შემცირება სისქეში.

1931 წ. ყინვარის ენის სისქე, ღბოლოებიდან 100 მ დაშორებით, 40—50 მ აღწევდა. 1957 წ. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ყინვარის ენის კონფიგურაცია ძლიერდება შეცვლილია 1931 წელთან შედარებით.

ყინვარის ენის დაბოლოების სიმძლავრე 15—20 მ არ აღმატება, ხოლო სიგანეში შემცირებულია 100—150 მ.

ყინვარი შესახებ მდებარეობს მდ. ენგურის სათავეში, იკვებება ფირნის ველიდან წამოსული ზეგვებით, რომელიც სისტემატურად ჩამოდგას მწ. შხარის სამხრეთ ქარაფი კალთებიდან. ყინვარის ზემო ნაწილი ორი ნაკადა-

1933 წლის შემდეგ ყინვარის ენის კონფიგურაცია უმნიშვნელოდ შეცვლილია. ენის ფრონტი ალური ნაწილი ქარაფად ეშვება, მარცხენა კიდე ძალზე გამლია. ენის ფრონტი ალური მორენები მოწმობს ამ 25 წლის მანძილზე ყინვარის დნარია. ახალი გვერდითი მორენები მოწმობს ამ 25 წლის მანძილზე ყინვარის სისქის შემცირებას 12—15 მ-ით, ხოლო ყინვარის ენას უკან დაუხევია 200—250 მ.

თუ 1933 წლიდე ყინ. შხარა სტაციონალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე სისტემატურ შემცირებას განიცდის, და, შეჩერიბებით უმნიშვნელო დროით.

მდ. რიონის ზემო წელის ყინვარები. რობის ყინვა-  
რებზე დაკვირვებები ჩატარდა 1937 წ. და გადაღებულია ყინ. კირტიშოსა და  
ტოპეიტოს ენების ტოპორუები 1:2000 და 1:5000 მასშტაბთ [26].

1957 წ. განმეორებითმა დაკვირვებამ გვიჩვენა მღ. რონის ზემო წელის ყინვარების საგრძნობი შემცირება გასული 20 წლის მანძილზე.

ყინვარი კორტეშო რიონის სათავეში ყველაზე უდიდეს ყინვარს წარმოადგენს. (6, 5 კმ). ყინვარს კვებას ვრცელი ფრინის ველი, მოთავსებული მწ. კინვარგასა და ლების გადასვლას შორის. 1957 წ. სექტემბერში ყინვარის ენა ბოლოვთებოდა 2515 მ აბს. სიმაღლეზე.

1937 წ. ყინვარის ენა ვრცელდებოდა პირველ ყინვარდნილის ბეჭობს ჩვე-  
მოთ 700—800 მ. მანძილზე და ბოლოვდებოდა ენისმაგვარი იდეალური მოხა-  
ზულობით 2380 მ სიმაღლეზე, ყინვარის დაბოლოებიდან 600 მ დაშორებით;  
ენის სიგანე აღწევდა 450—500 მ, ხოლო სისქე — 40—50 მ.

ყინვარის ენის 1890 წ. არსებული მდებარეობის შედარებამ, რუკების მიხედვით, 1937 წლის მდებარეობასთან გვიჩვენა, რომ 40—50 წლის მანძილზე ყინვარი შემცირებულია 800—850 მ(21), ხოლო 1937—1957 წ. შორის ყინვარს უკან დაუხვევია 475 მ. სეროო შემცირების ჯამი 1890 წლიდან დღემდე 1275—1335 მ. აოშევს.

ამჟამად ყინვარის სისქე ენის დაბოლოებასთან 10—15 მ არ აღემატება. გაშიშვლებულს კლდოვანი შვერილები პირველი ყინვარდნილის ქვემოთ, „ნუნატაკების“ სახით, რომლებიც ანაწევრებენ ყინვარის ენას ცალკეულ ტოტებით.

ყინვარი ზოფხიტო წარმოადგენს მეორე უდიდეს ყინვარს რიცნის ხეობაში. ყინვარი ორი მთავარი ნაკადისაგან შეღება: მარჯვენა ნაკადს სათავე აქვს მწ. გეზეს აღმოსავლეთ კალთაზე და სუსტი დაჭანებით მიერართება აღმოსავლეთით. მარცხენა ნაკადი ჩამოედინება ყინვარდნილის სახით მწ. წითელიდან და დასავლეთით მიემართება. ჩრდილო მხრიდან მას უერთდება ორი ყინვარდნილი 1 და 1,5 კმ სიგრძისა. შეერთების შემდეგ ყინვარი ზოფხიტო სამხ.-სამხ.-აღმოსავლეთით მიემართება.

ყინვარის ენა ბოლოვდება ქარაფად, (დახრილია 50—60°) 2340 მ აბს. სიმაღლეზე. ყინვარული მღვიმე გადანაცვლებულია მარცხენა მხარეზე, ხოლო ენის საერთო მოხაზულობა მცირდე არის შეცვლილი 1937 წ. შემდეგ.

1937 წ. ყინვარი ბოლოვდებოდა 2240 მ სიმაღლეზე. მარკა ტოპოგრაფიული რეპერით 1937 ტოპოგარალების დროს გაკეთებული იყო 2230 მ სიმაღლეზე, ყინვარის ენიდან 120 მ დაშორებით.

1937 წლიდან 1957 წლამდე ყინვარს 280 მეტრით დაუხევდა.

ალსანიშნავია, რომ ყინვარი ზოფხიტოს ცვალებადობაზე დაკვირვებები, თუმცა ხანგამშეებით, მაგრამ შედარებით სისტემატურად წარმოებს 1937 წლიდან, კიდევ კავკასიონის სამხრეთ კალთის სხვა რომელიმე ყინვარზე. 1942 წ. ყინვარ ზოფხიტოზე დაკვირვებას აწარმოებდა ამ სტრიქონების ავტორი, ხოლო შემდეგ ჩენინი თხოვნით ყინვარზე დაკვირვებებს განაგრძობდა ინკ. გეოლოგი პ. წილოსანი.

9 წლის მანძილზე ჩატარებული დაკვირვებები ყინ. ზოფხიტოს რყევადობის შესახებ შემდეგ სურათს იძლევა (იხ. ცხრილი).

როგორც ამ ცხრილიდანაც ჩანს, ყინვარის შემცირება 20—25 წლის მანძილზე არათანაბრად მიმდინარეობდა: 1937 წლიდან 1942 წლამდე საშუალო წლიური დახევა 20 მ აღწევს. 1942—1951 წლებს შორის წლიური დახევა 9 მ არ აღმატება, ხოლო 1951—1957 წ. მანძილზე მსევ იზრდება.

სეთი მოვლენა, — ყინვარის მოღნიბის შემცირება და გაძლიერება ამავე წლებისათვის შეიმჩნევა კავკასიონის სამხრეთი კალთის თითქმის ყველა ყანვარზე.

დაკვირვების დრო	მანძილი ყინვარის ბოლოვდან 1937 წ. დარკამდე	ყინვარის შემცირება მეტრობით	დამკვირვებელი
1937. წ. 20—VIII	120 მ	—	დ. წერეთელი
1940. 6—IX	180	60	პ. წილოსანი
1942. 28—VIII	220	100	დ. წერეთელი
1942. 15—IX	225	105	„
1951. 19—VIII	306	186	პ. წილოსანი
1953. 24—VIII	345	225	
1954. 29—VII	352	232	თ. დოლაბერიძე
1955. 11—X	364	244	პ. წილოსანი
1956. 23—VIII	380	260	
1957. 28—IX	400	280	დ. წერეთელი

შეიძლება აღინიშნოს, რომ ყინვარ ზოფხიტოზე შეიმჩნევა სისტემატური უკან დახევა XIX საუკ. 90 წლებში ჩატარებული სამხედრო ტოპორუკებას გადაღების შემდეგ. 1890 წლიდან 1937 წლამდე ყინვარმა დაიხია 720—800 მ,

ხოლო 60—70 წ. მანძილზე (1937—1957 წ.) ყინვარი შემცირებულია 1000—1100 მ-ით.

ასანიშნავია ის გარემოება, რომ ყინვარების ცვალებადობა დიდიხანია ცნობილია. ალპებისა და კავკასიონის მკვლევარები (აბითა, ღინივი და სხვები) აღნიშნავდნენ როგორც ყინვარების უკან დახევას, ისე მათ პერიოდულ წინსვლას. გაუკეთა რა ნალიზი ალპების ყინვარებზე ჩატარებული დაკვირვებების მასალებს, ცნობილმა მკვლევრმა ფორელმა გამოიქვა აზრი, წომ არსებობს 10—25 წ. პერიოდები ყინვარების წინსვლისა და უკან დახევისა. მართლაც, თუ ჩვენ გადავხედავთ მასალებს ალპების რეევის შესახებ 1595 წლიდან 1860 წლებმდე, აშკარად ჩანს, რომ ყინვარების წინსვლის პერიოდები მერყეობს 4—25 წლის ფარგლებში, ხოლო უკან დახევის — 7—25 წლის მანძილზე.

ცხადია, ძნელია ვიქონიოთ მსჯელობა კავკასიონის სამხრეთ კალთის ყინვარების პერიოდული ცვალებადობის ხასიათის შესახებ და გამოვიტანოთ მის შესახებ რაიმე განზოგადებული დასკვნები მისი გამო, რომ 1932—1933 წლამდე არ მოვალეობებოდა სპეციალური, კომპლექსური დაკვირვების მასალები ყინვართა რეევის შესახებ კავკასიონზე, მაგრამ თუ დავეყრდნობით XIX საუკუნის დამლევს შედგენილ ტოპორუკებს და კავკასიონის ყინვარებზე ჩატარებულ საეციალურ გამოკვლევებს 1932, 1933, 1937, 1940 და 1957 წწ., ძეიილება გარკვეულად ითქვას, რომ უკანასკნელი 60—70 წ. მანძილზე კავკასიონის სამხრეთ კალთის ყინვარები განიცდია (თუმცა სხვადასხვა მასშტაბით) სისტემატურ შემცირებას უმნიშვნელო შეჩერების მომენტებით.

ზოგიერთი მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ ხნის მანძილზე ადგილი ჰქონდა წინსვლით მოძრაობას რამდენიმე ყინვარზე (ჭალათი, ჰალიში და სხვ), დაქტიობრივი მასალებით არ დასტურდება.

ამრიგად, ფორელის კანონი ყინვართა რეევადობის 10—25 წ. პერიოდების შესახებ უკანასწერი 60—70 წ. მანძილზე არ პოულობს გამოსახულების კავკასიონის ყრნვარზე, თუ მხედველობაში არ მივიღებო ყინვარების წინსვლას, გამოწვეულს გრანდიოზულთ ზვავებით ჩამოტანილი თოვლით და თოვლ-ქვიანზვავებს. დევლორაკის, შენელდაადილ-სუს ყინვარებზე და სხვაგან.

ამასთანავე შეიძლება აღინიშნოს, რომ ყინვარების შემცირებასთან ერთად შესამჩნევი ხდება მარატიული თოვლის ხაზის ვერტიკალური გადანაცვლება. ა. რეინარდის გამოანგრიშებით [4], კავკასიონის სახერეთ კალთაზე ამ საუკუნის 20-იან წლებში თოვლის ხაზის დეპრესია დასავლეთ კავკასიონზე 2700—2800 მ სიმაღლემდე ჩამოდიოდა, ცენტრალურ კავკასიონზე (ენგურის აუზი) —3000—3050 მ, ხოლო რიონის აუზში — 3100 მ. ენგურისა და რიონის აუზებში მარატიული თოვლის ხაზის დეპრესიის ადგილზე შესწავლით 1957 წ. აღმოჩნდა რომ 60—70 წ. მანძილზე მარატიული თოვლის ზღვარმა ენგურის ხეობაში საშუალოდ 3075 მ გადაინაცვლა, ხოლო რიონის აუზში — 3150 მ სიმაღლემდე. გეფერისა და ჰესის მეთოდებით თოვლის ხაზის თანამედროვე მდებარეობის გამოანგარიშებაში ენგურის აუზისათვის გვიჩვენა 3025—3040 მ, ხოლო რიონის აუზისათვის — 3100 — 3120 მ.

მთავარი მხარის (სვანეთი, ასკა) ადგილობრივი უხუცესების გადმოცემით, ერთი საუკუნის მანძილზე თოვლის ხაზის მაღლა გადანაცვლება შემჩნეულია 75—100 მეტრამდე; ამასთან დაკავშირებით შეიმჩნევა კულტურულ-ლანდშაფტური ზონების ვერტიკალური განაღნაცვლებაც (ჭერის, ხორბლის, კარტოფილის ნათესები) მდ. მდ. ენგურისა და რიონის ხეობებში და თუშეთში. სვანეთ-

სა და ზემო რაჭაში იქ, სადაც აღრე ას ხარობდა ხეხილი, ამჟამად უკვე ჩარგად ხარობს და მწიფდება.

დასასრულ, შეიძლება გამოითქვას აზრი, რომ ყინვარების შემცირების სერთო ტენდენცია და ბევრი მათგანის სრულიად გაქრობა კავკასიონზე, ისევე, როგორც ევრაზიის სხვა მთიან მხარეებსა და პოლარულ ჩვეულებში, დაკავშირებული უნდა იყოს პლანეტარული მასშტაბის საერთო მოვლენებთან, რაც გვიოხატება გაყინვარების შემდგომ პაგის საერთო გათბობით და საშუალო ატმოსფერული ნალექების შემცირებით უკანასკნელი 6—7 ათეული წლის მანძილზე.

გამოკვლევები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს საბჭოთა და უცხოელი მეცნიერების მიერ საერთომორისო გიოგიზიაურ წელთან დაკავშირებით; საშუალებას მოვცემს აისხნას მთიან მხარეებში ყინვარების სწრაფი შემცირების მიზეზები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

განუშტის სახელობის

გეორგიულის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 18.12.1958)

### დამომხმარებლი ლიტერატურა

1. Г. А б и х. Исследование настоящих и древних ледников Кавказа. „Сборник сведений о Кавказе“, т. 1, 1878.
2. Н. Динник. Современные и древние ледники Кавказа. Зап. Кавк. Отдела Русск. Геогр. Общ. кн. XIV, вып. I, Тифлис, 1890.
3. В. Михайловский. Горные группы и ледники Центрального Кавказа. „Землеведение“, т. I, 1894.
4. А. Л. Рейнгард. Снеговая граница в среднем Кавказа во верховьях уроха, Ардона и Риони. Изв. Кавк. Отд. Русск. Геогр. Общ. т. XXV, № 2—3, Тифлис, 1917.
5. В. А. Рутковская. Ледники Верхней Сванетии, Кавказ. Ледниковые районы, Тр. ледниковых экспедиций, вып. I, Л., 1936.
6. Д. Церетели. Современные ледники и признаки древнего оледенения бассейнов р. р. Риони и Джеджори. Вестник Гос. Музея Грузии, т. XII—A, Тбилиси, 1936 (на груз. яз.).

გილოზის

ჭ. ოთხეზური

ამთხელის ტყვია-თუთის მაღლეული ველის მაღლეული  
სხეულების ფორმირების თავისებურები

(ჭარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. გამყრელიძემ 2.3.1958)

ამთხელის ტყვია-თუთის მაღნეული ველი ცენტრალურ აფხაზეთშია მდინარეების — კელასურისა და ამთხელის აუზების წყალგამყოფზე. მაღნეული ველი შედგება ითი ერთმანეთისაგან მეტნაკლებად იზოლირებული უბნისაგან<sup>1</sup> და რამდენიმე მაღნეული ლინზისაგან, რომლებიც სიცრცობრივად ბათური ასაკის კელასურის გრანიტოდულ ინტრუზივთანა დაკავშირებულა.

ამთხელის მაღნეული უბნები წარმოდგენილია გრანიტოდებთან დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე მაღნეული სხეულით. ექვსი უბნის მაღნეული სხეულები ორიენტირებულია ჩრდილო—ჩრდილო-დასავლეთური მიმართულებით, სამ უბანზე განლაგებული სხეულები ხესიათდება ჩრდილო-აღმოსავლური, სუბმერიდიანული მიმართულებით, ხოლო ერთი მაღნეული სხეული ორიენტირებულია ჩრდილო-დასავლეთური, დაახლოებით განედური მიმართულებით.

ამთხელის მაღნები წარმოდგენილია თუთისა და ტყვიის სულფიდებით და, რკინის დისულფიდებით, რომლებიც წარმოქმნიან ძარღვებს, ჩანაწინწყლებსა და ლინზებს ჰიდროთერმულად შეცვლილ გრანიტოდებსა და კვარც-კარბონატულ ძარღვულ მასაში.

მაღნის ფორმირება, ჩვენი დაკვირვებით [3], ხდებოდა მინერალიზაციის თრ სტადიაში, რომლებიც ერთმანეთისაგან გათიშული იყო შიდამინერალიზაციური ტექტონიკური ძვრით. პირველ სტადიაში გამოიყოფოდა: სფალერიტი, რკინის დისულფიდები, ანკერიტი, ბარიტი, კვარცი, გალენიტი და რიგი სხვა მინერალები, რომლებიც ამთხელის მაღნებში მცირედაა გავრცელებული. მინერალიზაციის მეორე სტადიაში, როგორც დაკვირვებები გვიჩვენებს, გამოიყოფოდა გალენიტი და კალციტი. გამაღნებს ასაკი აღოინდელი მკვლევრების მერქ პირობითად განსაზღვრული როგორც მესამეული.

ამთხელის მაღნეულ სხეულებში მორფოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება გამაღნების ორი ტიპი გამოიყოს — მაღნეული ძარღვები და მინერალიზებული ზონები. მაღნეული ძარღვები წარმოდგენილია კვარც-კარბონატული ძარღვული მასით, რომლებშიაც მაღნეული მინერალები გვხედება ძარღვების, ბუდეებისა და ჩანაწინწყლების სახით. ძარღვული სხეულების დამახასიათებელ თავისებურების წარმოადგენს მკვეთრი ზალბანდების არსებობა და შემთხვევაში უფრო ინტენსიურია.

<sup>1</sup> ამთხელის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის გეოლოგები თავის ანგარიშებში ამ უბნებს მაღნეულ ზონებს უწოდებენ.

მიუხედავად გამაღნების ამ ორი ტიპის სხვადასხვაობისა, ზოგ უბანში ერთია იმავე მაღნეული სხეულის ფარგლებში აღინიშნება მინერალიზებული ზონის გადასვლა მაღნეულ სარღვში და პირუქუ.

მინერალიზებულ ზონებში გავრცელებულია უმთავრესად ძარღვული. ჩაწინებულ-ძარღვული, ჩაწინებული და, იშვიათად, მასიური ტექსტურის მაღნები ძარღვულ სხეულებში აღინიშნება მხოლოდ ჩაწინებული, იშვიათად ზოლებრივი და ბრექჩიული ტექსტურის მაღნები. მაღნეული ძარღვების მინერალიზებულ ზონებში გარდამავალ უბნებთან დაკავშირებულია კოკარდული ტექსტურის მაღნები.

ძარღვული ტექსტურის მაღნებს ჩვეულებრივ სფალერიტი წარმოქმნის და ამ ტიპის მაღნები მხოლოდ ჰიდროთერმულად შეცვლილ გრანიტოდებში აღინიშნება. სფალერიტის ძარღვები ზოგან ხშირი ქსელის სახით კვეთებანიტოდებს და იწვევენ მათ ინტენსიურ ჰიდროთერმულ შეცვლას. ძარღვული მაღნების წარმოქმნა, როგორც ჩანს, გაარობებულია გამაღნების პროცესი ნაპრალების უფრო სწრაფი გაფართოებით, ვიდრე ამ უკანასკნელთა ამოვზება ჰიდროთერმული სნარებიდან გამოკრისტალებული ნივთიერებებით; ამით აისწერა ძარღვული ტექსტურის მაღნების ცალკეული ძარღვების მკვეთრი ზალბანდების არსებობა.

ნაპრალების უფრო ნელი გაფართოების შემთხვევაში მაღნეული მასის ნაწილი ავსებს მათ, ხოლო ნაწილი იყონება გვერდით ქანებში და წარმოქმნის იქ ჩანაწინებულებს. ამ შემთხვევაში აღინიშნება სფალერიტის ჩაწინებულ-ძარღვული ტექსტურის მაღნების წარმოქმნა. ჩაწინებულ-ძარღვული მაღნების ნიმუშებში, ძარღვული ტექსტურის მაღნებისაგან განსხვავებით, მაღნეული მინერალების ძარღვისებრ გამონაყოფებს მკვეთრი ზალბანდები არ გააჩნია, მათ პერიფერიულ ნაწილებში აღინიშნება სფალერიტის ხშირი ჩანაწინებულები.

გრანიტოდებსა და კვარც-კარბონატულ ძარღვულ მასაში ნაპრალების არ არსებობს შემთხვევაში ჰიდროთერმული სნარები მოძრაობს ფორებში, სადაც გამოყოფს მაღნეულ ნივთიერებას და წარმოქმნის ჩაწინებული ტექსტურის მაღნებს.


ამთხელის მაღნეული ველის შესწავლის პროცესში ჩატარებულმა გეოლოგიურმა დაკვირვებებმა საშუალება მოგვცა დაგვეღგინა მაღნეული ველის ფარგლებში ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ-აღმოსავლეთური მიმართულების გამაღნებისწინა ტექტონიკური მოძრაობები [4].

გამაღნებისწინ, ტექტონიკური მოძრაობების არსებობამ თავისი გამოხატულება, პოვა როგორც მაღნეული სხეულების აგებულებაში [4], ისე მაღნის ტექსტურებშიც.


გამაღნებისწინა ტექტონიკური მოძრაობებითაა გაპირობებული მაღნეულ ძარღვებში ბრექჩიული ტექსტურის მაღნების არსებობა, ხოლო მინერალიზებული ზონებისა და მაღნეულ ძარღვების გარდამვალ უბნებში კოკარდული ტექსტურის მაღნები. ბრექჩიული ტექსტურის მაღნები ჩვეულებრივ წარმოზენილია შეცვლილი გრანიტოდების ნამსხვრევებით, რომლებიც შეცემენტებულია რკინის დისულფილებით, გალენიტით, იშვიათად სფალერიტით და ძარღვული მინერალებით (სურ. 1).

კოკარდული ტექსტურის მაღნები წარმოადგენენ კვარც-კარბონატულ ძარღვულ მასას გრანიტოდების ნამსხვრევებით, რომელთაც გარს ერტყმის სფალერიტის არშეიბი. ზოგჯერ ამ არშეიბში მონაწილეობას იღებს ზონა-ლურ-კონცენტრული აგებულების კვარციც (სურ. 2).

ცალკეული მაღნეული სხეულების აგებულების დეტალურმა შესწავლამ საშუალება მოგვცა დაგვეღგინა მაღნეული სხეულების ფორმირების პროცესში შიდამინერალიზაციული ტექტონიკური ძვრის არსებობა. ეს შიდამინერალიზაციული ძვრა ყოფს მაღანტარმოქმნის პროცესს ორ სტადიად, და ნაპრალების მიმართულება, რომლებიც ამ ძვრითაა გამოწვეული, სუბპარალელურია ჩრდილო-დასავლეთური შიდამართულების მაღნეული სხეულებისა.



სურ. 1. ბრექჩიული ტექსტურა. გრანიტოიდების ნამსხრევები შეცემებულებული სულფიდებით. ნატურალური სიდიდის დაახლოებით 0,5



სურ. 2. კოკარდული ტექსტურა. გრანიტოიდების ნამსხრევები სფალერიტისა და კვარცის არშიებით. ნატურალური სიდიდის 0,25

შიდამინერალიზაციური ძვრის არსებობა ჩვენ მიერ დადგენილია ერთ-ერთ სამთო გამონამუშევარში, სადაც 60 სმ სიმძლავრისა და ჩრდილო-დასავლეთური (330°) მიმართულების კვარც-კარბონატულ-სულფიდური ძარღვა იკვეთება 8—10 სმ სიგანის სუბპარალელური ნაპრალით.

ამ ნაპრალის გასწვრივ აღინიშნება მაღნეული ძარღვის გადაადგილება ერთ მეტრამდე, ამასთანავე ნაკაწრები ნაპრალის კედლებზე მიგვითითებენ დაახლოებით ჰორიზონტული მიმართულების გადაადგილებაზე. ნაპრალი ზოგ ადგილას შევსებულია კალციტით, გალენიტის გამონაყოფებით ზალბანდებში (სურ. 3).

ამგაძარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ეს ნაპრალი, ისე ტექტონიკური ძვრაც შიდამინერალიზაციურია.


ტექტონიკური ძვრის არსებობა მაღნის საბოლოო ჩამოყალიბებამდე მაღნების მიეროსკოპული შესწავლითაც მტკიცდება.

განედური მიმართულების მაღნეულ სხეულში, რომელიც დაახლოებით მართობულია შიდამინერალიზაციური ძვრის მიმართულებისა, აღინიშნება თავისებური ტექსტურები, რომელთა წარმოქმნა დაკავშირებულია მაღნის მეტამორფიზმთან.

მეტამორფიზებულ მაღნებში გალენიტის ნაწილი და სფალერიტი კვარც-კარბონატულ-სულფიდური ძარღვების ზარღვანდების პარალელურად წარმოქმნიან ძარღვისებრ, ზოლებრივ გამონაყოფებს. გარდა ძარღვაკისებრი გამონაყოფებისა, გალენიტი იმავე მაღნებში გვხვდება აგრეთვე ბუდეებისა და ჩანაწინებების სახით (სურ. 4). გალენიტის ძარღვისებრ გამონაყოფს წვრილმარცვლოვანი აგებულება და მქრქალი ელვარება ახასიათებს.

წვრილმარცვლოვანი გალენიტი სტრუქტურული ამოჭმით გრანობლასტურ სტრუქტურას ამჟღვნებს—გალენიტის ცალკეული მცირე ზომის გარცვლებია

წაგრძელებულია სფალერიტის და გალენიტის ძარღვაკისებრი გამონაყოფების პარალელურად. გალენიტის ჩანაწერში ჭლებისა და ბუდეების ზედაპირის სტრუქტურული ამოჭმა გვიჩვენებს, რომ გალენიტი აქ შედგება მსხვილი მარცვლე-



სურ. 3. ჩაღნეული ძარღვის შიდამინერალიზაციური ნაპრალით გაკვეთი. შტოლნის ჟერის ჩინახატი. მასშტაბი 1 : 200

3 ი რ ა ბ ი თ ი ნ ი შ ნ ე ბ ი :

1— მაღნეული ძარღვი, 2—შიდამინერალიზაციური ნაპრალი, შესებული თიხით და მაღნით, 3—გრანიტები

ბისაგან, მეტამორფიზმის ყოველგვარი ნიშნების გარეშე. სფალერიტის ძარღვაკისებრი გამონაყოფების სტრუქტურული ამოჭმა მის წვრილმარცვლოვან აგებულებას ანულავნებს.



სურ. 4. გალენიტი (თეთრი) და სფალერიტი (მუქი-ნაცრისფერი) ძარღვის კარბონატში (ლია ნაცრისფერი) ძარღვისებრი გალენიტი სურათის ქვედა არაწილში წარმოდგენილია მყვრივი წვრილმარცვლოვანი სახესწაობით, რომელიც სტრუქტურული აპოფიტი (HCl — 1 : 1) გრანიტლასტურ სტრუქტურას ამქლავნებს. გალენიტი სურათის ცენტრალურ და ზემო ნაწილებში წარმოდგენილია მსხვილმარცვლი სახესწაობით და ამოჭმით მსხვილმარცვლოვან აგებულებას ამქლავნებს. სფალერიტი წვრილმარცვლოვანია (ნატურალური სიდიდის 0,5)

კოლჩედანური მაღნების შესწავლისას ტ. შადლუნმა [5] ექსპერიმენტულად აჩვენა, რომ ცალმხრივი წნევის პირობებში აღვილი აქვს დაბალი სიმაგრის მინერალების არა მარტო პლასტიკურ დეფორმაციას და გადაკრისტალებას მყარ მდგომარეობაში, არამედ მათ დენაფილასაც. ამ დროს დაბალი სიმაგრის მქონე მინერალებში წარმოქმნება წნევის მიმართულების მართობულად ორიენტირებული წვრილი წაგრძელებული მარცვლები.

მაშასადამე, ჩვენს შემთხვევაში სწორედ ჩრდილო-დასაცლეთ—სამხრეულოსადამოსაცლეთური მიმართულების ტექტონიკური მოძრაობითაა გამოწვეული მაღნის მეტამორფიზმი. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ

გალენიტის მხოლოდ ერთმა ნაწილმა განიცალა მეტამორფიზმი, შეიძლება დაუასკვნათ, რომ მეტამორფიზმის გამომწვევი ტექტონიკური ძვრა შიდა-მინერალზაკური იყო — ზემოთ აღწერილის ანალოგიური.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამთხელის მაღნეული სხეულების ფორმი-  
რების პროცესი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: მაღნების ფორ-  
მირების დაწყების წინ ბათური ასაკის კელასურის ინტრუზიული მასივი უკვე  
საბოლოოდ ჩამოყალიბებული იყო. მასივის ფორმა, პეტროგრაფიული შედეგ-  
ნილობა, ქანების სტრუქტურა და სხვა გეოლოგიური მონაცემები მიგვითითე-  
ბენ ინტრუზივის ფორმირებაზე დანალექი ქანების მდლავრი საფარის ქვეშ.

მაღნეული სხეულების წარმოქმნა კი, რიგი ნიშნების მიხედვით (მინერალ-თა პარაგენეზის მაღნებში, მაღნეული სხეულების მორფოლოგია და აგებულება, მაღნების ტექსტურები და სხვა), საშუალო ან მცირე სილრმეებზე ხდებოდა. ძეგდან გამომლინარე შეიძლება დავასკვნათ კელასურის გრანიტოდების გაცილებით უფრო ადრინდელი (გეოლოგიურად) წარმოქმნა ამთხელის მაღნების ფორმირებასთან შედარებით. მათი გამთიშავი დროის მონაკვეთში, აროვორც ჩანს, ხდებოდა მასივზე განლაგებული დანალექი საფარის ინტენსიური გადარეცხვა. ამიტომ, აეტორის აზრით, გამაღნება გენერიულად დაკავშირდებული უნდა იყოს მესამეული საჟის მაგმურ აქტივობასთან.

მაღაწურმოქმნის პროცესს შინ უსწრებდა გამაღნებისწინა ტექტონიკური ძვრები, რომლებმაც გამოიწვიეს გრანიტოიდებში არსებული ნაპრალების ვა-ფართოება, ახალი ნაპრალების წარმოქმნა, შემცველი ქანების ბრექჩიორება, ასაც უშუალოდ თან სდევდა სუალერიტის გამოყოფა. მაღნის ფორმირების საჭყის ეტაპებზე ტექტონიკური ძვრები მრავალგზის მეორდებოდა, რაზედაც მიგვითითებს კოკარდული ტექსტურების არსებობა.

ნაპრალების გაფართოება, როგორც ჩანს, არათანაბრად მიმდინარეობდა. ნაპრალთა გაფართოების ხარისხი გამაღნების პროცესის მთელ მანძილზე ყველა მაღნეულ გამოსავალზე და კერძო შემთხვევებში კი ერთსა და იმავე მაღნეული სხეულების ფარგლებში თანაბარი არ იყო. ამასთან დაკავშირებით იცვლებოდა ის პირობები, რომლებშიც ხდებოდა მაღნის გამოყოფა ჰიდრო-თერმული სნარიდან.

იმ უბნებში, საღაც ნაპრალების გაფართოება უფრო სწრაფი იყო, ვიდრე მათი შეესება ხსნარიდან გამოყოფილი მინერალებით. მაღალი ფორმირება ხდებოდა უმრავერესად ნაპრალის თანმიმდევრული ამონიებით. მაღნეული სხეულები ასეთ უბნებში მკვეთრად გამოხატული ზალბანდებით და გვერდითი ქანების სუსტი შეცვლით ხსიათდება.

იბ უბნებში, სადაც ნაპრალთა გაფართოება უფრო ნელა ხდებოდა, ვიდრე მათი ამოკებდა, არსებით მნიშვნელობა ენიჭებოდა მეტასომატურ პროცესებს. პიროვნეულმული სსნარები ავსებდნენ ნაპრალთა სიცარიელეებს, ნაწილობრივ კა იურებოდნენ გვერდით ქანებში და იწვევდნენ ნაპრალებს შორის განლაგებული გრანიტონიფების შეცვლას. გვერდითი ქანების ინტენსიური შეცვლით და მათი ნაწილობრივი ჩანაცვლებით არის გაპირობებული მინერალიზებული ზონების წარმოქმნა, რომლებიც გვერდით ქანებთან დაკავშირებული არიან თანა- დათანობითი გარესაკლებით.

ఈ ఉద్భవం, సారూప అలినిష్నేధ మార్కెట్లో కార్లుసి గ్రాస్‌వ్లా మిన్గ్‌రాల్పి-  
చేబ్యుల్ నొన్‌శి, నుండి ల్యాప్‌బిస గ్రాఫార్‌టాప్‌బిస దా మాతి శ్రేష్ఠుల్ బిస నొన్-  
ల్యాప్‌బిస త్రంప్‌ఫాసి ఉన్డా ప్రంప్‌ప్రాప్‌ప్రాప్, రూప క్రెల్ ఉప్‌ప్రంప్ దా అం ఉద్భవం, క్రా-  
క్సార్‌ట్‌ల్ త్రేప్‌స్‌ట్‌చ్‌రిస మ్హ్‌న్‌ మ్హ్‌ప్రాప్‌ప్రాప్‌ప్రాప్.

მინერალიზაციის პირველი სტადიის დასასრულ ტექტონიკური პოძრა-ობები და მათ მიერ გამოწვეული ნაპრალების წარმოქმნა და გაფართოება, როგორც ჩანს, შესუსტდა, რადგან ამ სტადიის გვიანდელი მინერალები ძარღვა-კების სახით არსად არ აონიჩიშვილია.

მინერალიზაციის პირველი სტადიის ბოლოს ნაპრალები უკვე შეესტული იყო მაღნეული და ძარღვის მინერალებით. ჰიდროთერმული ხსნარი ამ ღრუს ცირკულაციას განიცდიდა ფორებში და ჩაწინეტებული ტექსტურის მაღნებს წარმოქმნიდა, როგორც ძარღვულ მასაში, ისე მაღნეულ ძარღვებთან მოსაზღვრე გრანიტოდებში.

პირველი სტადიის მინერალების საბოლოო ჩამოყალიბების შემდეგ აღინიშნება ტექტონიკური ძვრების განახლება, რომელთა მიმართულება დაახლოებით პარალელური იყო გამაღნებისწინა ტექტონიკური მოძრაობებისა, რომლებმაც წარმოქმნეს ჩრდილო-დასავლეთ—სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულების ნაპრალები. ზოგ შემთხვევაში ეს ძვრები იწვევდნენ ჩრდილო-დასავლური მიმართულების მაღისულ სხეულში გაწყვეტას. განედური მიმართულების მაღისულ სხეულში ამ ძვრამ გამოიწვია პირველ სტადიაში გამოყოფილი მინერალების ინტენსიური მეტამორფიზმი.

ამ ტექტონიკური ძერის შემდეგ, რომელიც თავისი ხასიათით შიდა-  
მინერალზაციური იყო, აღნინშება მეორე სტადიის მინერალების-გალენი-  
ტისა და კალციტის გამოყოფა.

იმ უბრებში, სადაც ამ შიდამინერალიზაციურმა ქვრებმა წარმოქმნეს ნაპ-  
რალები, აღინიშნება კალციტის ძარღვები, გალენიტის გამონაყოფებით ზალ-  
ბანდებში. სხვა უნდებში გალენიტი და ზოგან კალციტი ჩანაწინებულების სახით  
გვხვდება. კალციტის გამყოფით მთავრდება მინერალიზაციის ებდომენურია  
პროცესი.

Հ Օ Լ Յ Յ Ե Ց Ց

1 ამთხელის ტკიცა-თუთიის მაღნეული ველის მაღნეული სხეულები ჭარ-  
მოქმნის მიხედვით ჰიდროთერმულ-მეტასომატურ ტიპს მიეკუთვნება.

2. მაღნის ფორმირება ხდებოდა საშუალო ან მცირე სიღრმეებზე, ტექ-  
ტონიკურად არამატებიდ გარემოში.

3. მაღნის ფორმირება ერთმანეთისაგან შიდამინერალიზაციური ძვრით  
გათიშვლულ ორ სტადიაში მიმდინარეობდა. შიდამინერალიზაციური ძვრით არის  
გაპირობებული მაღნის ნაწილობრივი შეტაჭორიზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

გეოლოგიური ინსტიტუტი

ତଥିଲାକ୍ଷ

(რედაქციას მოუვიდა 2.3.1959)

## ଏକାନ୍ତରିକ ଲାଭାବଳୀ

1. А. Г. Бетехтин. О процессах формирования руд в жильных гидротермальных месторождениях. Сб. „Основные проблемы в учении о магматогенных рудных месторождениях“. АН СССР, 1955.
  2. А. Г. Бетехтин, А. Д. Генкин и др. Текстуры и структуры руд. 1958.
  3. ҃. өтөлөг өңү өң. 2000-жылдардың өткөрмөсүндөн кийиндең түркістандың жынысынан түзүлген жаңа түрлөрдөн көрнеки мөндер. ҚазАГУ, № 3, 1958.
  4. З. В. Отхмелезури. К вопросу морфологии жильных тел Амтхельского свинцово-цинкового рудного поля. Юбилейный сборник трудов Геологического Института АН ГССР, посвященный 70-летию академика А. И. Джанелидзе, 1959.
  5. Т. Н. Шадлун и Ю. А. Розанов. Влияние одностороннего давления на структуру колчеданной руды. Изв. АН СССР, сер. геол. № 2, 1949.

პეტროგრაფია

მ. ჯავახიშვილი

უარაჩავსკის აგიონის სერპენტინიტების ასაკის შესახებ

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. ძოწენიძემ 21.10.1958)

კავკასიონის მაგმური ქანების ასაკობრივი დანაწილების საკითხი ბევრი მკვლევარის ყურადღებას იპყრობს. მეზოზოურამდელი შაგრური წაოძონაქმნების ასაკის განსაზღვრა და ამის საფუძველზე პალეოზოური და პალეოზოურისწინა ვულკანიზმის კანონზომიერებათა დადგენა კავკასიონის რთული ტექტონიკური ფებულების პირობებში იმითაც ძნელდება, რომ მაგმური სხეულების შემცველები წევებათა სტრატიგრაფიას უმეტეს შემთხვევაში მეტად პირობით ხასიათი აქვს.

ამჟამად, არგონიული მეთოდის გამოყენებით, ცდილობენ კავკასიონის ზოგიერთი მაგმური ქანის ასაკის განსაზღვრას. ეს მეთოდი გამოიყენება, მხოლოდ კალიუმის შემცველი მინერალების შემთხვევაში და ამიტომ გამოსადეგია მხოლოდ განსაზღვრული ჭგუფის ქანებისათვის.

პირველი შედეგები, რომელიც აღნიშნული მეთოდის გამოყენებამ მოგვკიცება [2, 3, 7], თუმცა წინასწარი ხასიათის არის და მოითხოვს შემდგომ დაზუსტებასა და შემოწმებას, მაინც იძლევა კავკასიონის გეოლოგიის ზოგიერთი იმ საკითხის კრიტიკული გადასინჯვის საფუძველს, რომლებიც წინათ ასე თუ ისე დადგენილად ითვლებოდა.

კავკასიონის მაგმურ ქანებს შორის ულტრაფურე ქანებს თუმცა ისეთივი დიდი გავრცელება არა აქვთ, როგორც სხვა ჭგუფის ქანებს. მათ მაინც დიდი ყურადღება ექცევა და ზოგჯერ სხვა ქანების ასაკის განსაზღვრისას ერთგვარ კრიტიკული მაღალაც კი იყენებენ.

კავკასიონის გეოლოგიის თითქმის ყველა მკვლევარი შეეხო სერპენტინტების ასაკის საკითხს, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა სპეციალური გამოკვლეული მიუღინა ამ ულტრაფურე წარმონაქმნებს. მიუხედავად ამისა, სერპენტინტების ასაკი ჭერ კიდევ არ შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს. თუმცა ჩრდილო კავკასიონში უკვე დიდი ხანია ცნობილია სერპენტინტების მიერ კარბონული ქანების გავრცელის დაწერება, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს ამ ფაქტებს სხვაგვარი ახსნა მისცეს.

ჭერ კიდევ 1929 წელს გ. ავალიშვილი [1] აღნიშნა სერპენტინტიული სხეული ხუდესის ზელაკარბონულ კონგლომერატებში, რის გამო ფერობდნენ, რომ უფრო ძველი სერპენტინტების გარდა კავკასიონზე გვქონდა ზედაპალეოზოური სერპენტინტებიც. უფრო გვიან აღნიშნეს [6], რომ ხუდესის რაიონში ეს სერპენტინტები რთულ ტექტონიკურ კონტაქტშია შემცველ ქანებთან.

უკანასკნელ დრომდე გეოლოგიურ ლიტერატურაში არსებითად დარჩენა იყო მხოლოდ შევერდის სერპენტინტების მიერ ყარაბაის წყების (ქვედა კარბონ) გავრცელის ფაქტი, რომელიც აღიარებული იყო ყველა წინათ ას მომუშავე გეოლოგის მიერ. მაგრამ გ. ავანას ივ ვის აზრით [3], აქაც სერპენტინტები ტექტონიკურ შეხებაშია აღნიშნული წყების ქანებთან.

ყარაჩაევსკის რაიონში მეზოზოურამდელი წარმონაქმნები სამ გეოტექნიკურ ზონაშია გაშიშვლებული. ესენია—მთავარი ქედის ზონა, წარმოდგენილი ძირითადად გრანიტონიფებით და ძლიერ მეტამორფული კრისტალური ფაქლებით; პალეოზოური წყებების გაცრცელების ზონა (შუალედი ზონა), აგებული ქვედაპალეოზოური, დევონური და ქვედაკარბონული წარმონაქმნებით, და წინა ქედის ზონა, წარმოდგენილი ქვედაპალეოზოური მეტამორფული ფიქლებით და ამათთან დაკავშირებული მარმური სხეულებით.

ორ უკანასკნელ ზონაში მონაწილეობენ შუა და ზედაკარბონული და აგრეთვე ქვედაპერმული უხეშმარცვლოვანი დანალექი წყებები.

აღნიშვნული ზონები ერთმანეთისაგან განსხვავდებინ, როგორც სტრატიგრაფიულად და ტექტონიკურად, ისევე მაგმური წარმონაქმნების ხასიათით. საერთო ამ ზონებისათვის არის დაზუნჯტიური ტექტონიკის ხასიათი და მცარე სიდიდის სერპენტინიტული სხეულების არსებობა.

ყარაჩაევსკის რაიონის სერპენტინიტების შესწავლისას ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სერპენტინიტები კვეთენ ძლიერ დისლოცირებულ პალეოზოურ წყებებს, მაგრამ თვითონ დანაოჭებაში თითქმის არ მონაწილეობენ, თითქმის ცველთვის განლაგებულნი არიან რღვევის ზონებთან, უშუალოდ მათში, ან მათ მახლობლად.

ანალოგიური სურათი ჩანს ჩრდილო კავკასიის სხვა რაიონებშიც; ამიტომ ვფიქრობთ, რომ მართალი უნდა იყოს ნ. ს. ობოლევი [6], რომელიც ულტრაფურები მაგმის შემოჭრას დაზუნჯტიურ ტექტონიკას უკავშირებს.

რღვევის ხაზები ჩვენ მიერ შესწავლილ რაიონში უმეტეს შემთხვევაში გაჩენილია დანაოჭების ბოლო ეტაპზე, მაშინ, როდესაც ამ მხარემ დაკარგა ლაბილობა და საკმაოდ გამაგრდა. ეს კი მოხდა ქვედა კარბონის დასასრულს. ამიტომ ჩვენ ვფიქრობით, რომ ჩრდილო კავკასიში ულტრაფურები მაგმის აქტივობას ქვედა კარბონულის შემდეგაც უნდა პქონოდა ადგილი. მაგრამ სოფელ ქვემთ ტებერდასთან სერპენტინიტებით ქვედა კარბონული ნალექების გაცვეთის დღემდე ცნობილი ერთადერთი შემთხვევა ერთგვარი გამონაკლისივით გამოიყურებოდა.

1954 წლის ზაფხულში მდინარე დაუთის ხეობაში (ყუბანის მარცხნა შენაკადი) შევისწავლეთ გასერპენტინიტებული მცირე სხეული, რომელიც ყარაჩაის წყების ქვიშაქვებში იყო შექრილი.

1955 წლის ზაფხულში მდინარეების ჩეჩენის და კონუშკოლის წყალგამყოფი ყოაზე (მდ. ხუდესას სათავეები) შეგვიცვდა ზედა კალბონულ კონგლომერატებში წერტილი ირი პატარა სერპენტინიტული მასივი. ერთი ამ მასივთაგანი აღნიშნულია რ. პ. ტ. რ. ვ. ი. შრომაში [5]. სადაც ავტორი აღწერს სერპენტინიტების გავლენით კონგლომერატებში კვარცის ქვარგვალების გატალებას შემთხვევას.

გეოლოგიური სურათი აქ ასეთია: მდ. ჩუჩხერის ხეობაში და ზევით წყალგამყოფამდე გაშიშვლებულია ყარაჩაის სერის თიხაფილები, რომლებიც აქ ერთ ანტიკლინურ ნაოჭებს ქმნიან. ანტიკლინის ღერძის დაახლოებით განედური მიმართულება აქვთ, ფრთხები დაქანებულია  $55-60^{\circ}$  კუთხით. ჩრდილოეთი წყალგამყოფის რაიონში თიხაფილებს ტექტონიკურად ეხება ზედაკარბონული კონგლომერატების და ქვიშაქვების წყება.

გადასასვლელიდან, რომელიც ამ მდინარეთა შორის წყალგამყოფზეა, სამასიდე მეტრზე დასავლეთით, ყარაჩაის სერის ფიქლებისა და ზედაკარბონული კონგლომერატების შეხების ზონაში გაშიშვლებულია განედურად წაგრ-

ძელებული სერპენტინიტული სხეული. ამ სხეულის სიგრძე დაახლოებით 0,5 კმ-ია. სიგანგი კი 200—250 მეტრი.

სერპენტინიტები დაფიქლების სიბრტყეებს განედური მიმართულება აქვთ, ხოლო მათი დაქანების კუთხეები ძლიერ ცვალებადაა. აღნიშნულ სერპენტინიტულ სხეულს სამხრეთიდან ჭვედაკარბონული ორქლები საზღვრავს, დანარჩენი სამი მხრიდან კი ის კონტაქტშია სამხრეთისაკენ 40—45° კუთხით დაჭანებულ ზედაკარბონულ კონგლომერატებთან. თვით სერპენტინიტებში ჯერდება კონგლომერატების საკმაოდ დიდი ქსენოლითები. აქ სერპენტინიტების მიერ კონგლომერატების გაკვეთა ეჭვს არ იწვევს.

აღნიშნული სერპენტინიტებიდან დასავლეთით 0,5 კმ გაშიშვლებულია მცირე სიდიდის მეორე სერპენტინიტული მასივი. ამ მასივსაც განედური წაგრძელება აქვს, სიგრძით 800 მეტრს აღწევს, სიგანგი კი დაახლოებით 400 მ აქვს. სამხრეთიდან მასივს ყარაჩას სერის ფიქლები ესაზღვრება, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან კონტაქტშია ზედაკარბონულ კონგლომერატებთან. ამ სერპენტინიტებშიც კონგლომერატები გვხვდება ქსენოლითების სახით. ამრიგად, სერპენტინიტების მიერ კონგლომერატების გაკვეთა აქაც გარკვევით ჩანს.

კონგლომერატების წყების ზედაკარბონული ასაკი ეჭვს არ იწვევს, რაღაც ის ანალოგიურია ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რაიონების ზედაკარბონული ნალექებისა და ამასთან (კოტა დასავლეთით ამ წყებას სრული თანდათანობით მისდევს ქვედაპერმული წითელი ფერის კონგლომერატებისა და ქვიშაქვების წყება).

ამრიგად, სერპენტინიტების მიერ ზედაკარბონული ნალექების გაგვეთა მდინარეების ჩუჩხეურისა და კონუშკოლის წყალგამყოფზე შეიძლება დაგვენილ ფაქტად ჩაეფაროთ.

ჩვენი რაიონის სერპენტინიტების ასაკის დასადგენად ამჟამად ხელთა გავაქს ასეთი ფაქტები: სერპენტინიტები კვეთენ დევონურ და კარბონულ წარმოებებს, ხოლო ზემო ტებერდის რაიონში ტრანსგრესიულად იფარებიან პერმული ნალექებით. გვაქვს სხვა ფაქტებიც. სერპენტინიტები კვეთენ ქვედალეოზოურ ფიქლებს ყუბანისა და ხუდესის ხეობებში და ზედასილურულ ნალექებს მალკასა და მუშტას ხეობებში.

მეორე მხრივ, ჩვენს რაიონში, ისევე, როგორც ჩრდილო კავკასიის სხვა რაიონებშიც სერპენტინიტის ქსენოლითები გვხვდება კავკასიონის გრანიტებში, ხოლო მდ. კიაფარის ხეობაში სერპენტინიტებს ტრანსგრესიულად აღევს შუაკარბონული წყება, რომლის ფუძეში სერპენტინიტის ნაგორები ქვებიც გვხვდება. გრანიტებისა და სერპენტინიტების დამოკიდებულება არსებითად ერთადერთი ნიშანი იყო, რომლის მიხედვით კავკასიონის სერპენტინიტებს კამბრიულის წინა ასაკს მიაწერდნენ. ამჟამად, როცა აღნიშნული გრანიტების ასაკი არგონული მეთოდის მონაცემების მიხედვით შუაკარბონულად ითვლება, ეს კრიტერიუმი კარგას თავის ძელ მნიშვნელობას.

სერპენტინიტების ქსენოლითები გრანიტებში გვიჩვენებენ, რომ კავკასიონში არსებობენ შუაკარბონულზე უფრო ძველი სერპენტინიტები. რაც დასტურდება მდ. კიაფარის აუზში შუაკარბონული ნალექებისა და სერპენტინიტების ურთიერთობითაც.

ამასთან ცნობილია სერპენტინიტებით გრანიტების გაქვეთის ფაქტებიც. მდ. დიდი ლაბას ხეობაში ჩვენ ვნახეთ სერპენტინიტები, რომლებიც კვეთენ გრანიტებს და მის გამკვეთ კავკასიონი ალბოტოფირის ძარღვს. ეს ფაქტიც განილული უნდა იქნეს, როგორც სერპენტინიტებით. შუაკარბონული ასაკის



წარმონაშენების გაკვეთა, რაც სრულ თანხმობაშია მდ. ხუდესის სათავეებზე კარბონული ქანების სერპენტინიტებით გაკვეთასთან.

მხედველობაში უნდა მიყიდოთ ისიც რომ დიდი ღიზუნქტი იური აშლილობები, რომლებსაც სერპენტინიტები ხშირად უკავშირდება. ძირითადად ჩნდება დაწყებული ქვედა კარბონის დასასრულდან და, მაშასადამე, მათთან დაკავშირებული სერპენტინიტების ასაკი ხვდება შუალედში ქვედა კარბონული დანარჩენილობის მერმულადმდე. რაოდ ასაკი ხანს, სერპენტინიტების მომცემი ულტრაფურე მაგმის შემოჭრა რამდენიმე ჯერ მოხდა და აძირომ შესაძლოა, რომ დროის ამ შუალედში გაქმნდეს სერპენტინიტების არამდენიმე ასაკობრივი გუფი. ჯერჯერობით სერპენტინიტების დამოკიდებულების მიხედვით კავკასიონის გრანიტო-ილებთან და კარბონულ ნალექებთან შეიძლება გავარჩიოთ პალეოზოური სერპენტინიტების ორი გუფი — შუაკარბონულად და შუაკარბონულის შემდგრადი.

ზემოთ აღწერილი ფაქტები საფუძველს იძლევა ვითიქროთ, რომ ჩრდილ კავკასიაში ულტრაფუტე მაგმის ატივობას აღვილო ჰქონდა არა მარტო ამ მხარის გეოსინკლინური განვითარების აღრეულ სტადიებში, არამედ მას შემდეგაც, რაც ამ მხარემ კონსოლიდაცია განიცადა. ამ დროს ოროგენეტული ძალების მოქმედება იწვევდა დიდი რღვევების გაჩენას, რომლითაც ზევით ამოსვლისათვის სარგებლობდა ულტრაფუტე მაგმა.

ეს დასკვნა კარგად ეთანხმება ვ. ლოდოს ნიკოლას [4] შეხედულებას, რომლის მიხედვითაც სერპენტინიტები ნაოჭა მხარეების ტიპიური წაროვნებისა და მათი გაჩენა ხდება დანაოჭების დროს ან ცოტა გვითხ.

კამპრიულისტებინა სერბენტინიტების აჩსებობა ჩრდილო კავკასიაში არ დასტურდება, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, გრანიტოლდები, რომლის მიხედვით თვლილნენ მათ კომბრიულზე ძველად, ბევრად უფრო ახალგაზრდა აღმოჩნდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

გეოლოგიის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 23.10.1958)

ଭାରତୀୟଭାଷାର ପରିଚୟ

1. Г. П. Агалин. Краткий геологический очерк центральной части Большого Кавказа. Известия Геологического комитета, т. 48, № 4, 1929.
  2. Г. Д. Афанасьев. Магматические комплексы и геологическое картирование. Известия АН СССР, серия геологическая, № 5, 1953.
  3. Г. Д. Афанасьев. Проблема возраста магматических пород Северного Кавказа. Известия АН СССР, серия геологическая, № 4, 1954.
  4. В. Н. Лодочников. Серпентиниты и серпентины ильчинские и другие. Тр. ЦНИГРИ, вып. 38.
  5. П. Р. Петров. Об одном случае замещения тальком кварцевой гальки в Центральном Кавказе. Сборник посвященный акад. К. С. Белянкину. АН СССР, 1946.
  6. Н. Д. Соболев. Ультрабазиты Большого Кавказа. Госгеолиздат, 1952.
  7. მუბინ შტეინი. საქართველოს ზოგიერთი მაგმური წარმონაქვენის აბსოლუტური ასკის შესახებ. საქართველოს სსრ მცცინერებათა აკადემიის მომენტი, ტ. XVI, № 6, 1955.

მთავრობა

## ა. ჭავაშვილი

ჰაერის ბუშტულების ჰიდრავლიკური სიმსხვილე მათი  
ურთიერთშემვების პირობებში

(ჭარმოადგინა აკადემიკოსმა კ. ზავრივება 16.9.1958)

ორფაზიან სითხეთა მოძრაობის ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მინარევთა გეომეტრიულ და ჰიდრავლიკურ მახასიათებლებს. ერთერთი ასეთი მახასიათებლისა ჰიდრავლიკური სიმსხვილე, რომელიც ჭარმოადგინა იზოლირებული ნაწილაკის უძრავ თხიერ გარემოში თანაბარი ვარდნის ან ატივტივების სიჩქარეს.

იზოლირებულ ნაწილაკთა ჰიდრავლიკური სიმსხვილე დამოკიდებულია მათ ზომებზე, ფორმებსა და სიმკვრივეზე, აგრეთვე გარემოს სიმკვრივესა და რეჟიმის და გარშემოდენის პირობების განმსაზღვრელ სხვა ფიზიკურ თვისებებზე.

ყველაზე კარგად იგი შესწავლილია გარემოზე უფრო მძიმე მყარი ნაწილაკებისათვის.

წყალში ჰაერის ბუშტულების მოძრაობის პირობები ხასიათდება ზოგიერთ თავისებურებით, რომლებიც ჰიდრავლიკურ სიმსხვილეს ხდიან დამოკიდებულია სასაზღვრო ზედაპირის ფიზიკური და ქიმიური თვისებებისაგან. დაბასტურებულია, რომ ზედაპირულ-აქტიურ ნივთიერებათა აღსორბცია წყლის და ჰაერის გამყოფი ზედაპირით, ბუშტულების მცირე ზომების დროს ძლიერ მოქმედებს ატივტივების სიჩქარეზე. ბუშტულების ზომების ზრდასთან ერთად ეს მოქმედება სუსტდება [1]. ამის გარდა წნევის გავლენით ბუშტული განიცდის დეფორმაციას და მოძრაობის დროს არ ინარჩუნებს მუდმივ ფორმას.

ამ მიზეზების გამო ჰაერის ბუშტულების ჰიდრავლიკურ სიმსხვილესა და მათი თავდაპირველ ზომებს შორის დამოკიდებულებას საეციფიკური ხასიათი ქვეს. ცდების მონაცემების მიხედვით [1—4], იზოლირებულ ნაწილაკთა ატივტივების სიჩქარე იზრდება ბუშტულის დიამეტრის ზრდასთან ერთად 2—3 მმ-დეგ, რის შედეგე დიამეტრის ცვლის დიდ დიაპაზონში ინარჩუნებს მუდმივ მნიშვნელობას, ტოლს, სხვადასხვა ავტორის მიხედვით. 25—30 სმ/სეკ.

იზოლირებულ ნაწილაკსა და თხიერ გარემოს შორის ურთიერთქმედების თვალისაზრისით ნათელი სურათი საგრძნობლად რთულდება ნარევის დიდი კონცენტრაციის დროს, როდესაც სიჩქარის კელთა ინტერფერენციის გამო ნაწილაკები შედიან დინამიკურ ურთიერთქმედებაში.

ამ პირობებში ნაწილაკთა ჰიდრავლიკური სიმსხვილის ცნება რამდენიმედ განუსაზღვრელი ხდება, რამდენადაც აბსოლუტური სიჩქარის მნიშვნელობა უკვე აღარ თანხვდება ნაწილაკთა და სიონებს შორის ფარდობით სიჩქარეს.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ჰიდრავლიკური სიმსხვილის ცნება მჭიდროდ დასის დაკავშირებული შეტივტივების (შეწონის) მუშაობის განსაზღვრასთან, მიზანშეწონილ უნდა ჩავთვალოთ ამ ცნების აზრი დაქვემდებაროს შეტივტივების მუშაობის სწორი აღრიცხვის თვალსაზრისის.

ამ შემთხვევაში ჰიდრავლიკური სიმსხვილე შეზღუდულ პირობებში განისაზღვრება დამოკიდებულებით

$$w = v_{ws} - v_s \quad (1)$$

ან, თუ ვიქონიებთ მხედველობაში, რომ

$$w_{ws} = mv_w + (1 - m) v_s,$$

მივიღებთ

სადაც

$$w = m(v_w - v_s), \quad (2)$$

$$v_{ws} = \frac{Q_w + Q_s}{w}$$

ნარევის დაყვანილი სიჩქარეა,  $v_w$  და  $v_s$  თხიერი ფაზისა და მინარევთა ვერტიკალური მოძრაობის სიჩქარეებია.

ეს გამოსახულება უზრუნველყოფს შეტივტივების მუშაობის სწორედ შეფასებას ფაზებს შორის სხლეტის როგორც არსებობის, ისე არარსებობის პირობები.

ცდებით დადგენილია, რომ კონცენტრაციის მატება იწვევს მძიმე მინარევთა დალექვის სიჩქარის შეცირებას იზოლირებული ნაწილაკების ვარდნის ათ სიჩქარესთან შედარებით. მაგრამ ავტორთა უმრავლესობა არასწორად ხსნის ამ მოვლენის ფიზიკურ-მექანიკურ არსს და იძლევა ფარდობითი ჰიდრავლიკური

სიმსხვილის  $\kappa = \frac{w}{w_0}$  რაოდენობრივი ცვლილების არასაკმარისად სწორ შეფასებას [5—8].

შეზღუდულ პირობებში ჰიდრავლიკური სიმსხვილის განსაზღვრის ყველაზე სწორი სქემა, რომელიც უზრუნველყოფს ფაზათა და ცალკეულ ნაწილაკთა შორის ურთიერთქმედების ნამდვილ პირობებთან მატების მიხლობებას, გამოყვანილი იყო ლიაშჩენკოს [5], ხოლო შემდეგ მინცისა და შუბერტის [9] მიერ.

ამ სქემის მიხედვით ჰიდრავლიკური სიმსხვილე განისაზღვრება აღმაგალი ნეტადით შეტივტივებულ მარცვლოვანი შრის დინამიკური წონასწორობის დროს, როგორც თხიერი ფაზის დაყვანილი სიჩქარე (რომელიც შეესაბამება მარცვლოვან გისლეში ფილტრაციის სიჩქარეს).

ეს მეთოდითა საშუალებას იძლევა მოგიბოვოთ სანდო ექსპერიმენტული მონაცემები ნაწილაკთა გეომეტრიული ზომებისა და კონცენტრაციის ცვლას დიდ დიაპაზონში.

ამ მეთოდის მოდიფიკაციამ საშუალება მოგვცა ექსპერიმენტულად დაგვიდგინა ჰაერის ბუშტულების ამოტივტივების სიჩქარისა და ფარდობითი ჰიდრავლიკური სიმსხვილის ცვალებადობა აერაციის ხარისხთან დამოკიდებულებით.

ამ მიზნით გამოვიყენეთ(1) ლაბორატორიულ პირობებში ექსპერიმენტულად დაგვიდგინა ჰაერის ბუშტულების აერირებული ნაკადების ზოგიერთი თვისება, რაც სპეციფიკური ხასიათის შეთოდიკურ და ტექნიკურ სიძნელეთა გადალახვის საშუალებას იძლევა.

(1) ვინტერის სახ. თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ეს თვისებები იმაში მდგომარეობს, რომ შესაბამისი პირობების შესრულების შემთხვევაში დაძირულ გამოსავალზევრეტიან ვერტიკალურ მიღწეულში მყარდება აერიზებული ნაკადის თანაბარი მოძრაობა ნაკადში ბუშტულების თანაბარი (ამ სიტყვის სტატისტიკური აზრით) განაწილებით (ფიგ. 1). ბუშტულების ზომები იცვლება 5—7 მმ ზღვრებში და 1-დან 15 მ/სეკ დიაპაზონში თითქმის არარის დამოკიდებული ვარდნილი ჭავლის სიჩქარისაგან.



ფიგ. 1. დალმავალი აერიორებული ნაკადის სტრუქტურა თანაბარი  
მოძრაობის დროს

ამგვარად, განსახილებულ პირობებში იზოლირებული ბუშტულების ჰილ-ჩავლიკური სიმსხვილე შეიძლება მუდმივად ჩაითვალოს, ხოლო წყალ-ჰერის ნარევი — ჰიდრაგლო-კურად ერთგვაროვნება.

ექსპრესიონისტული დანადგარი ჰიდრავლიკური სიმსხვილის განსასაზღვრავად წარმოადგენდა (ფიგ. 2) გამჭვირვალე ვერტიკალურ მილს (3), დამეტრით 10 სე და სიმაღლით 3 მ. ღარის (1) შემწეობით მილში ვარღებოდა წყლის ნაკადი, რომლის ერთინება ხდებოდა საპარო მილის (2) შემწეობით.

რომლის აეროინგა ზღვიონდა სააკუთრივ მარტინ (2) აეროინგა  
წყალი მის მიერ შატაცებულ ბუშტულებთან ერთად მოძრაობდა მილში  
ზევიდან ქვევით და გადადიოდა ჰაერდამშერში (6), სადაც ხდებოდა დეზაერა-  
ცია. გამოყოფილი ჰაერი გადიოდა წნევაზე გრალუირებულ შტვილში (5). რო-  
მელიც იძლეოდა ხარჭის განსაზღვრის საშუალებას. მილში დონისა და შასთან


დამოკიდებულებით ნაკადის ჰაერით გაჭერების ხარისხის რეგულირება ხდებოდა საკეტის (8) შემწეობით.

ცდები მდგომარეობდა  $Z=50$  სმ უბანზე წნევის ვარღნისა და ჰაერის ხარჯის გაზომვაში დალმავალი აერირებული ნაკადის თანაბარი მოძრაობის პირაბებში წყლის მოცემული ხარჯის დროს.

ბუშტულების დინამიკური წონასწორობის რეჟიმის დროს ჰაერის ხარჯი  $Q_a=0$  და პილრავლიკური სიმსხვილე ისაზღვრებოდა როგორც საშუალო დაყვანილი სიჩქარე

$$w = v_w = \frac{Q_w}{\omega}.$$

აერაციის მოცულობითი კოეფიციენტის განსასაზღვრავად გამოყენებული რყოფ შეტივტივებულ მარცვლოვან შრეებზე ჩატარებული ცდებით კარგად და-



ფიგ. 2. ურთიერთქმედების პირობებში ბუშტულების პილრავლიკური სიმსხვილის შესასწავლი ექსპერიმენტული დანადგარის სქემა: 1—მომყვნი ღარი; 2—საერაციო მილი; 3—გერტიკალური მილი  $D=10$  სმ.; 5—გამზომი შრევილი; 6—ჰაერშემცრები; 7—მუშა უბანი; 8—მარცვლის რეგულირებელი საკეტი

დასტურაბული [9] განსაზღვრა, რომლის მიხედვით წნევის ვარღნა  $Z$  სიმაღლის უბანზე ტოლია მინარევთა ერთეულ განვივეთანი სვეტის წყალში, ამ შემთხვევაში გვექნება

$$A = 1 - m = \frac{H_{wa}}{Z},$$

სადაც  $H_{wa}$  ვარღნაა, გაზომილი წყლის სვეტის სიმაღლით.

ეს მეთოდიკა გამოყენებულ იქნა იმ შემთხვევაშიც, როცა  $Q_a \neq 0$ , ამას-თან დამატებით ისაზღვრებოდა ნარჩის ხარჯი და სიჩქარე.


$$Q_{wa} = Q_w + Q_a$$

და

$$v_{wa} = -\frac{Q_{wa}}{\omega},$$

აგრეთვე პარტიულების სიჩქარე  $v_a = \frac{Q_a}{A\omega}$ , რის შეიდეგ პილავლიური სიმსხვილე გამოითვლებოდა (1) ან (2) ფორმულის შემწეობით.

ცდები ტარდებოდა მოდელზე წყლის ხარჯის 1-დან 2,85 ლიტ./სეკ, პარტის ხარჯის 0-დან 650 სმ<sup>3</sup>/სეკ და აერაციის კოეფიციენტის 0,05-დან 0,30 ცვალება-დობის დიაპაზონში.



ფიგ. 3. ექსპერიმენტული მრუდები: 1— $w = \varphi(A)$  ( $w$  მოცე-მულია სმ/სეკ-ად)

$$2-z=\frac{w}{w_0}=f(A)$$

ცდების შედეგები (ფიგ. 3) გვიჩვენებს, რომ მცირე კონცენტრაციის დროს პილავლიური სიმსხვილე ისწრაფვის 27 სმ/სეკ-ის რიგის სიდიდისაკენ, რაც კარგად ეთანხმება სხვა გამოკვლევათა მონაცემებს.

აერაციის კოეფიციენტის ცვალებადობის ცდებით შემოფარგლულ ზღვრებში პილავლიური სიმსხვილე მცირდება მეტად, ვიდრე ორგერ, და  $A=0,30$ -ის დროს აღწევს სიდიდეს  $w \approx 12$  სმ/სეკ.

პილავლიური სიმსხვილის ასეთი შემცირების მიზეზს, როგორც იყო ალ-ნიშნული, წარმოადგენს ბუშტულთა შორის დინამიკური ურთიერთშედება,



გამოწვეული სიჩქარის ველთა ინტერფერენციით და გარშემოდინების კოეფიციენტის კვლებადობით.

იმავე ფიგ. 3-ზე დატანილია ცლისეური მრუდი, რომელიც განსაზღვრავს კავშირს ფარდობით ჰიდრავლიკურ სიმსხვილეს  $\kappa = \frac{w}{w_0}$  და იერაციის კოეფიციენტს შორის. თუ მივიღებთ  $w_0 = 27$  სმ/სეკ., მრუდს დამაკაყოფილებლად დღწეს განტოლება

$$x = 6,17 A^2 - 3,72 A + 1.$$

ତେଣୁରୀଙ୍ଗାଲ୍ପିକୁଳ ନିମ୍ନଲିଖିତ ଉପରେ ଦେଇଲୁ ଅଧିକାରୀଙ୍କ ପରିଚୟ ଓ ପରିଷକାର କାର୍ଯ୍ୟଙ୍କ ବିବରଣୀ ଆବଶ୍ୟକ ହେଉଥିଲା ।

ამ პირობებში აერაციასთან დაკავშირებული პრატიკული საკითხების მო-  
დელებზე შესასწავლად გრავიტაციული მოდელირების წესებთან შეხამებით  
უკიძღება გამოყენებულ იქნას ფრაგმენტული მოდელირების წესი, რომელიც  
მდგრადარებს მოდელზე ცოდლენათა განსაზღვრული ჯგუფის უზრუნველყოფ  
პირობათა შექმნაში, სხვა მოვლენათა დამასინჯების ხარჯზე.

## ნაგებობათა და ჰიდროენერგიული კიბის

## თბილისის სამეცნიერო-კვლევითი

ନିର୍ମାଣ

(ରେଡାଯିପ୍ରିଣ୍ଟିଂ ମନ୍ତ୍ରସମ୍ମାନ ଦିନ 16.9.1958)

ଦ୍ୱାରା ପରିଚୟ କରିବାକୁ ପରିପାଲନ କରିବାକୁ ପରିଚୟ କରିବାକୁ

1. В. Г. Левич. Физико-химическая гидродинамика. Академия Наук СССР, М., 1952.
  2. Т. Hasegawa. РЖ Механика, № 4, 1957.
  3. В. К. Козлов и М. А. Мологин. Известия Академии Наук СССР, № 8 1951.
  4. Р. М. Лалыженский. ЖПХ, т. XXVII, № 1, 1950.
  5. П. В. Ляшенко. Гравитационные методы обогащения. Гостоптехиздат, М.—Л., 1940.
  6. А. В. Карапашев. Гидравлика рек и водохранилиш. Речный транспорт. Ленинград, 1955.
  7. А. М. Великанов. Динамика русловых потоков, т. II. Гос. изд. техн. теорет. литерат. М., 1955.
  8. А. Н. Палчевский. Гидротехн. стр-во, № 2, 1953.
  9. Д. М. Минц и С. А. Шуберт. Гидравлика зернистых материалов. Изд. Мин. Комун. хоз-ва РСФСР, М., 1955.

୪୮୬୦୫

8. የዕለትወዳደሪያ, 8. ክበቅጠበር ፊል ተ. የባሕግክበሮችን

• სიტყვათა როგორც გათვალისწინებული თვალიდის გამოყენება  
ჩატარებული ენისათვის

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ო. ონიაშვილმა 19.8.1958)

## ଓଡ଼ିଆ ଶବ୍ଦାଳ୍ପନ

გარცვლებისაგან სიტყვების წარმოქმნის პროცესი და მარცვლების წარმოქმნა ცალკეული ბეგერებისაგან შეიძლება აღწერილ იქნეს მათემატიკურად. ამ პროცესს აღწერს სტატისტიკური განაწილების ფუნქცია, რომელიც გამოყენილი იყო ვ. ფუქსის [1] მიერ. გარდა აღნიშნული პრობლემებისა, ეს განაწილება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ლინგვისტური პრობლემების გადასაწყვეტილ.

ფუქსის განაწილების არსი შეიძლება აღწერილ იქნეს შემდეგი მოდელის საშუალებით. წარმოგიდგინოთ სტატისტიკური განმანაწილებელი, რომელიც შეღება სამი ნაწილისაგან: შესავალი უჯრედები, ოვითონ სტატისტიკური განმანაწილებელი და გამოსავალი უჯრედები.

შესავალ უჯრედებში მოთაცხებულია გარკვეული რაოდენობა ბირთვებისა, რომელთა განაწილებაც ხდება სტატისტიკური განმანაწილებლის საშუალებით. ექსპერიმენტის ბოლოს გამოსავალ უჯრედებში ვღებულობა ბირთვების გარკვეულ განაწილებას: 1-ლ უჯრედში  $n_1$  რაოდენობას ბირთვებისას, მე-2-ში— $n_2$ -ს და ა. შ.

შესაბამის ალბათობათა განაწილებას იძლევა ფუნქცია

$$F(i) = e^{-\left(\sum_{k=1}^{\infty} \varepsilon_k\right)} \sum_{v=0}^{\infty} (\varepsilon_v - \varepsilon_{v+1}) \frac{\left(\sum_{k=1}^{\infty} \varepsilon_k\right)^{1-v}}{(i-v)!}, \quad (1)$$

სადაც  $\tilde{\epsilon}$  წარმოადგენს  $\tilde{\epsilon}$ -ს საშუალო მნიშვნელობას, ხოლო  $(\varepsilon_v - \varepsilon_{v+1})$  წარმოადგენს უჯრედთა იმ ნაწილს, რომელშიც ექსპერიმენტის დაწყებამდე მოთავსებული იყო  $v$  ბირთვი. (1)-ში შემთხვევალი სიღილეები აკმაყოფილებს პირობებს

$$\bar{i} \geq \sum_{k=1}^{\infty} \varepsilon_k, \quad \varepsilon_0 = 1, \quad \varepsilon_y \geq \varepsilon_{y+1}.$$

ფუქსის განაწილების შესაბამის მაწარმოებელ ფუნქციას აქვთ სახე.

$$G(i; x) = e^{\left(\bar{i} - \sum_{k=1}^{\infty} \varepsilon_k\right)(x-1)} \sum_{v=0}^{\infty} (\varepsilon_v - \varepsilon_{v+1}) x^v, \quad (2)$$

ხოლო შესაბამისი მომენტების გამოსახულებანი ასეთი იქნება:

$$M_1 = \left( \frac{\partial G}{\partial x} \right)_{x=1} = i, \quad (31)$$

$$M_2 = \left( \frac{\partial^2 G}{\partial x^2} \right)_{x=1} + \left( \frac{\partial G}{\partial x} \right)_{x=1} = i^2 + i - \left( \sum_{k=1}^{\infty} \varepsilon_k \right)^2 - 2 \sum_{k=1}^{\infty} \varepsilon_k + 2 \sum_{k=1}^{\infty} k \varepsilon_k, \quad (3_2)$$

$$M_3 = \left( \frac{\partial^3 G}{\partial x^3} \right)_{x=1} + 3 \left( \frac{\partial^2 G}{\partial x^2} \right)_{x=1} + \left( \frac{\partial G}{\partial x} \right)_{x=1} = \bar{i}^3 + 3\bar{i}^2 + \bar{i} + 2 \left( \sum_{k=1}^{\infty} \varepsilon_k \right)^3 + \\ + 3 \left( \sum_{k=1}^{\infty} \varepsilon_k \right)^2 - 2 \sum_{k=1}^{\infty} \varepsilon_k - 3\bar{i} \left( \sum_{k=1}^{\infty} \varepsilon_k \right)^2 - 6\bar{i} \sum_{k=1}^{\infty} \varepsilon_k + 3 \sum_{k=1}^{\infty} k^2 \varepsilon_k + \\ + \left[ 6 \left( \bar{i} - \sum_{k=1}^{\infty} \varepsilon_k \right) + 1 \right] \sum_{k=1}^{\infty} k \varepsilon_k, \quad \text{сост. 3.} \quad (3_3)$$

[1] შრომაში მოყვანილია მარცვლებისაგან სიტყვების წარმოქმნისა და ბგერებისაგან მარცვალთწარმოქმნის ალბათობების გამოთვლის შედეგები 9 წლისათვის: ინგლისურისა, გერმანულისა, ესპერანტოსი, არაბულისა, ბერძნულისა, იაპონურისა, ლათინურისა, თურქულისა და რუსულისათვის.

მარკვალთა განაწილება სიტყვების მიხედვით

სიტყვები შეიძლება შედგებოდეს ერთი, ორი და ა. შ. მარცვლებისაგან.  
 (1) ფორმულის საშუალებით შეიძლება მიღებულ იქნეს ერთ სიტყვაზე მო-  
 სულ მარცვალთა რაოდენობის ალბათობათა განაწილება (მოკლედ — მარცვალთა  
 განაწილება სიტყვების მიხედვით), მხოლოდ შედეველობაში მიღებულ უნდა  
 იქნეს ის გარემოება, რომ ქართულ ენაში სიტყვები ერთი მარცვლისაგან  
 მაინც შედგება. ამ გარემოების გასათვალისწინებლად (1) ფორმულაში უნდა  
 დაგუშვათ  $\varepsilon_1=1$ ,  $\varepsilon_2=\varepsilon_3=\dots=0$ . ამ შემთხვევაში განაწილებას ექნება შემდე-  
 გი სახე:

$$F(i) = \frac{e^{-(i-1)} (i-1)^{i-1}}{(i-1)!}, \quad \text{for } i > 1 \quad (4)$$

სტატისტიკური ანალიზისათვის პლებული იყო შემდეგი ნაწარმობები: ი. ქავჭაბაძის „ოთარაანთ ქვრივი“, ი. წერეთლის „ბაში-აჩუქი“, ჭ. ლომთათიძის „სახრჩობელის წინაშე“ და ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“. ანალიზის

ვეცვავი მოყვანილია 1 ცხრილში. ამავე ცხრილში მოყვანილია ავტორების ძირიცხვით გასაშუალოებული ჟღედეგები

$$P(i) = \frac{1}{A} \sum_{\text{A}} P_i^{(\text{A})}$$

ცხრილი 1

ნაწარმოები		I	2	3	4	5	6	7	8	9
ოთარანთ ქვრივი	$P_i$ (მ. ქ.)	0,2355	0,3354	0,2099	0,1465	0,0534	0,0160	0,0025	0,0007	0,0003
ბაში-აჩუკი . . .	$P_i$ (გ. ა.)	0,2330	0,3013	0,2194	0,1519	0,0722	0,0160	0,0047	0,0012	0,0002
სახრჩობელას წინაშე . . . .	$P_i$ (ც. ვ.)	0,2688	0,2870	0,2284	0,1411	0,0565	0,0149	0,0027	0,0003	0,0003
პვალი-ბიგვა .	$P_i$ (გ. ბ.)	0,2155	0,3242	0,2384	0,1432	0,0607	0,0148	0,0025	0,0006	0,0000
საშუალო . . .	$P_i$	0,2382	0,3120	0,2240	0,1457	0,0607	0,0154	0,0031	0,0007	0,0002

*i ამ განაწილებისათვის გამოვიდა*

$$\sum_{k=1}^9 i P_i = 2,5420,$$

ე. ი. ქართულ ენაში სიტყვები  
შედგება საშუალოდ 2,5 მარც-  
ვლისაგან.

$$S = - \sum_{i=1}^9 P_i \log P_i = 0,6862 \text{ s. j.}$$

= 2,2797 bit

ენტრიპია შეგვიძლია განვიხილოთ როგორც უს ფუნქცია. შესაბამისი მრავდი მოყვანილია ნახ. 1-ზე.

# შედარების მიზნით მოგვყავს


1 ცხრილის ანალოგიური ცხრილი ზემოაღნიშნული 9 ენისათვის.

თუ (4) ფორმულაში ჩავსვამთ  $i=2,5420$ , მაშინ მივიღებთ თეორიულ განაწილებას:

$$F(i) = \frac{e^{-1,5420}}{(i-1)!} (1,5420)^{i-1}$$

ამ ფორმულის საშუალებით გამოთვლილი ალბათობები მოყვანილია მე-3 ცხრილში.

ნახ. 2-ზე მოყვანილია თეორიული და ექსპერიმენტული გრაფიკები. როგორც ამ ნახაზიდან ჩანს, თანხვდენა თეორიას და ექსპერიმენტს შორის კარგია. ნახ. 3-ზე მოყვანილია მარტვალთა განაწილებები კალებული აგტორისათვის.




ცხრილი 2  
მარცხენა ფარდობითი სიხშირეები, ენტროპიები და ერთ სიტყვაზე მოსულ მარცხენა საშუალო რაოდენობა 10 ენისათვის


	ენტროპიის სულ	გეოგრაფიული	ნებულის განვითარების	ერთი არა	ენტროპიის განვითარების	იდენტი	ენტროპიის განვითარების	რაოდენობის საშუალო	თურქული	ქართული
$P_1$	0,7152	0,5560	0,4040	0,2270	0,3760	0,3620	0,3390	0,2420	0,1838	0,2382
$P_2$	0,1940	0,3080	0,3610	0,4970	0,3210	0,3440	0,3030	0,3210	0,3784	0,3120
$P_3$	0,0680	0,0938	0,1770	0,2239	0,1680	0,1780	0,2140	0,2870	0,2704	0,2240
$P_4$	0,0160	0,0335	0,0476	0,0506	0,0889	0,0868	0,0975	0,1168	0,1208	0,1457
$P_5$	0,0056	0,0071	0,0082	0,0017	0,0346	0,0232	0,0358	0,0282	0,0360	0,0607
$P_6$	0,0012	0,0014	0,0011	0,0000	0,0083	0,0124	0,0101	0,0055	0,0056	0,0154
$P_7$	0,0000	0,0002	0,0000	0,0000	0,0007	0,0040	0,0015	0,0007	0,0004	0,0031
$P_8$	0,0000	0,0001	0,0000	0,0000	0,0000	0,0004	0,0003	0,0002	0,0004	0,0007
$P_9$	0,0000	0,0000	0,0000	0,0000	0,0000	0,0004	0,0000	0,0000	0,0000	0,0002
$\bar{i}$	1,351	1,634	1,859	2,104	2,105	2,137	2,228	2,392	2,455	2,542
$S$	0,367	0,456	0,535	0,513	0,611	0,622	0,647	0,631	0,629	0,686

ცხრილი 3

$i$	1	2	3	4	5	6	7	8	9
$F(i)$	0,2144	0,3306	0,2549	0,1310	0,0505	0,0156	0,0040	0,0009	0,0002



ნახ. 2



ნახ. 3

ბგერათა განაწილება მარცვლების მიხედვით

ბგერათა ალბათობების განაწილების გამოყვანისას ბუნებრივია მხედველობაში მივიღოთ პირობა, რომელიც ანალოგიურია ზემოთ განხილული პირობისა ( $\varepsilon_1 = 1, \varepsilon_2 = \varepsilon_3 = \dots = 0$ ), სახელდობრ, რომ მარცვალი ერთი ბგერისაგან მაინც შედგება. მაგრამ როგორც გამოთვლები გვიჩვენებს (იხ. აგრეთვე ნახ. 4), ამ შემთხვევაში ოცნებიული განაწილება არ აღწერს რეალურ სურათს. ბგერათა განაწილების ზუსტი აღწერისათვის საჭიროა (1) განაწილების სრული ე-სპექტრის ცოდნა. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, კარგ მიახლოებას იძლევა ე-სპექტრის პირველი სამი წევრი.

ე-პარამეტრების განსაზღვრა ხდება (1) განაწილების მომენტების საშუალებით. რადგანაც ჩვენ შემოვისაზრეთ შემთხვევით  $\varepsilon_1 = 1, \varepsilon_2, \varepsilon_3 \neq 0$  და  $\varepsilon_4 = \varepsilon_5 = \dots = 0$ , ამიტომ საკმარისია პირველი სამი მომენტის ცოდნა. მომენტების ექსპერიმენტული მნიშვნელობა ასეთია:

$$M_1 = 2,3283$$

$$M_2 = 6,0739$$

$$M_3 = 17,6697.$$

თუ ვისარგებლებთ მომენტების ამ მნიშვნელობებით, (3) განტოლებათა სისტემიდან მივიღებთ ორ განტოლებას  $\varepsilon_2$ -სა და  $\varepsilon_3$ -ის გამოსათვლელად.

$$\varepsilon_2^2 + 2\varepsilon_3\varepsilon_2 + (\varepsilon_3^2 - 2\varepsilon_3 - 0,6754) = 0$$

$$\varepsilon_2^2 + (3\varepsilon_3 - 4,9924) \varepsilon_2^2 + (3\varepsilon_3^2 - 12,9849\varepsilon_3 + 6)\varepsilon_2 +$$

$$+ (3\varepsilon_3^3 - 7,9924\varepsilon_3^2 + 14,9849\varepsilon_3 + 3,7642) = 0. \quad (5)$$

ამ განტოლებათა სისტემის რეზულტანტს აქვს შემდეგი სახე:

$$R(\varepsilon_3) = \begin{vmatrix} 0 & 2\varepsilon_3 & (\varepsilon_3^2 - 2\varepsilon_3 - 0,6754) & 0 & \dots \\ I & I & 2\varepsilon_3 & (\varepsilon_3^2 - 2\varepsilon_3 - 0,6754) & 0 \\ 0 & 0 & I & 2\varepsilon_3 & (\varepsilon_3^2 - 2\varepsilon_3 - 0,6754) \\ \vdots & \vdots & \vdots & \vdots & \vdots \\ I & (3\varepsilon_3 - (3\varepsilon_3^2 - 12,9849\varepsilon_3)(\varepsilon_3^2 - 7,9924\varepsilon_3^2 + 14,9849\varepsilon_3 + 3,7642)) & 0 & \dots \\ & 4,9924 + 6) & & & = 0 \\ 0 & I & (3\varepsilon_3 - 4,9924) & (3\varepsilon_3^2 - 12,9849\varepsilon_3)(\varepsilon_3^2 - 1,9924\varepsilon_3^2 + 14,9849\varepsilon_3 + 3,7642) & \end{vmatrix} \quad (6)$$

ამ განტოლების ამოხსნებიდან უნდა ავიღოთ მხოლოდ  $\varepsilon_3 = 0,2036$ , (3) სისტემაში  $\varepsilon_2$ -ის ამ მნიშვნელობის ჩასმის შემდეგ ვლებულობა  $\varepsilon_2 = 0,8362$ .


ბგერათა განაწილებას მარცვლების მიხედვით ექნება სახე

$$F(i) = e^{-0,2885} \left[ 0,1638 \frac{(0,2885)^{i-2}}{(i-1)!} + 0,6326 \frac{(0,2885)^{i-2}}{(i-2)!} + \right.$$

$$\left. + 0,2036 \frac{(0,2885)^{i-3}}{(i-3)!} \right] \quad (7)$$

ಬಗ್ಗೆರ್ಹಿಬಿಸಾಗಾನ ಮಾರ್ಪಾಲಿಕ್ಟಿಕ್‌ಇಂಫ್ರಾರೆಡ್‌ನಿನ್ನ ಕ್ಯಾಪಿಟಲ್‌ಎಂಬ್ರಿಸ್‌ ಅಳಸೆಬಂಧ ಮಿಗ್‌ಗೊ-  
ಟಿಂಟ್‌ಬೆಸ್, ರೋಡ್ ಮಾರ್ಪಾಲಿಕ್‌ಬೆಸ್ (ಬಗ್ಗೆರ್ಹಿಬಿಸಾಗಾನ ಮಾತಿ ಪ್ರಾರ್ಥಿಕ್‌ನಿನ್ನ ತ್ವಾಲ್‌ಸಾಂಕ್ರಾಸಿತ)  
ಐಪಿಎ ಪಾಲ್‌ಪ್ರೈಸ್‌ ಖಚುಷ್‌ಬಾಡ್, ಹೈನ್‌ ಶೆಮತ್‌ಬ್ರೆಗ್‌ಎಂಬ್ ಸಾಮಿ ಖಚುಷ್‌ಬಾಡ್:

ი. პაკლოვის [5], ა. სპერანსკის [8] და მათი თანამშრომლების მიერ დადგენილია ნერგული სისტემის ფუნქციის მოშლის მნიშვნელობა სხვადასხვა პათოლოგიურ პროცესთა და დაავადებათა, მათ შორის სიმსივნეთა, აღმოცენებაში. სიმსივნეთა აღმოცენებასა და განვითარებაში ნერგული სისტემის როლის საკითხი მცირდო კავშირშია სიმსივნეების ინერვაციისა და სიმსივნური დაავადების დროს ნერგული სისტემის სტრუქტურის მდგომარეობის საკითხებთან. სადაც არ არის დადგენილი. შინაგანი ორგანოების, კერძოდ ცვილის, კიბოს დროს იმ სტრუქტურულ ცვლილებათა ხასიათი. რომლებიც ვითარდება ნერგული სისტემის უმდაბლესა და უმაღლეს ნაწილებში.

შინაგანი ორგანოების, კერძოდ ცვილის, კიბოს დროს ნერგული სისტემის სტრუქტურის მდგომარეობის შესახებ ლიტერატურაში არსებული მონაცემები [1, 2, 3, 7, 9, 10] დაფუძნებულია ნერგული სისტემის მხოლოდ ზოგიურთო და ცალკეული ნაწილების შესწავლაზე. სხვადასხვა დაავადების, მათ შორის ცვილის კიბოს დროს ნერგული სისტემის სტრუქტურულ ცვლილებების სრულყოფილი ცოდნისათვის კი საჭიროა ნერგული სისტემის სხვადასხვა ნაწილების პათომორფოლოგიური გამოყვლევის ფართო მასშტაბით ჩატარება.

ნერგული სისტემის გამოყვლევის მხოლოდ ე. შ. „ტოტალური“ მეთოდი მოგვცემს სრული და მთლიანი წარმოდგენის საშუალებას ღვიძლის კიბოს დროს ნერგული სისტემის სხვადასხვა ნაწილებში სტრუქტურულ ცვლილებათა ტოპოგრაფიულ განლაგება — გავრცელებაზე. მათი განვითარების კანონური მიერ თანამდინდევრობასა და რეფლექსური გზების სხვადასხვა რგოლების მორფოლოგიური დაზიანების ხასიათზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიზნად დავისახეთ ლვიძლის კიბოს დროს დაგვედგინა: 1) რა ხასიათის სტრუქტურული ცვლილებანი ვითარდება ნერგულ სისტემაში; 2) მის რომელ ნაწილშია უფრო ძეტად გამოხატული ეს ცვლილებანი და 3) რა კავშირი არსებობს, ერთი მხრივ, ნერგული სისტემის სტრუქტურულ ცვლილებათა ხასიათსა და სიძლიერეს და, მეორე მხრივ, სიმსივნის თავისებურებებს შორის.

ლვიძლის კიბოს 10 შემთხვევაში ჩვენ მიერ შესწავლილია: სიმსივნური ჯვანები, ორივე ცოდნილი ნერვი და მათი კვანძოვანი განგლია, ორივე სიმპათიკური წველის ცულ-მკერდის მე-3, მე-4, მე-5 კვანძები, გულ-მკერდის მარჯვენა და მარცხენა მე-3, მე-4, მე-5 მალთაშუა კვანძები, ზურგის ტვინის გულ-მკერდის მე-3, მე-4, მე-5 სეგმენტები, მოგრძო ტვინი, მარჯვენა და მარცხენა მხედველობის ბორცვები, თავის ტვინის ორივე დიდი ჰემისფეროს წინა და უკანა ცენტრალური ხელები.

მასალის შიკრიპათომორფოლოგიური დამუშავებისათვის გამოყენებულია ნერგულ ელემენტთა შეღებვის სპეციალური — ბილშოვსკის, ბილშოვსკი-

გროს-ლავრენტიევის, კამპოსის, ნისლის, შპილმეიერის შეთოდები, აგრეთვე ჩეცულებრივი მეთოდები: შელებვა ჰემატოქსილინ-ერზინთა და პიკროფუქ-სინით.

ღვიძლის კიბოს ჩვენ მიერ შესწავლილ შემთხვევებში სტრუქტურულ ცვლილებებს აღგილი აქვს ნერვული სისტემის ყველა ნაწილში.

კერძოდ, ცოორის ნერვებში აღინიშნება ღერძცილინდრთა სიგრძეზე ვარიაციული შემსხვილებანი, დაკლაკვნა, ზოგჯერ ნეიროპლაზმის ნაგუბარების არსებობა. ვაკუოლიზაცია, იშვიათად ფრაგმენტაცია. ამასთან ერთად ადგილი აქვს მიელინის გარსის გაჭირვებას და იშვიათად დაშლას.

ცოორის ნერვების კვანძოვან განგლიებში, სიმპათიკური წველის და მალთაშუა კვანძებში აღინიშნება ნერვულ უჯრედთა შესიება, ქრომატოლიზი, ვაკუოლიზაცია და ლიპოფუსცინით ჭარბი დაბიგმენტება. ზოგჯერ გვხვდება ნერვულ უჯრედთა ჰიპერქრომატოზი, შეჭმუხვნა და იშვიათად დალუპვა სატელიტების გარსის გაჭირვებითა და ნეირონოფაგიით (სურ. 1 და სურ. 2). ამასთან



სურ. 1. ორბირთვიანი ნერვული უჯრედის ჰიპერქრო-  
მატოზი გულ-მკერდის III მარჯვენა სიმპათიკურ კვან-  
ძებში. მიკროფოტოგრამა. გად. 300-ჯერ.

ერთად აღგილი აქვს ნერვულ უჯრედთა დენდრიტული მორჩების ბოლოებზე ბურთობისებრ შემსხვილებებს (სურ. 3), ღერძცილინდრთა ვარიაციულ შემსხვი-  
ლებებს, დაკლაკვნას, იშვიათად ვაკუოლიზაციას. არაიშვიათად აღინიშნება მიელინის გარსის გაჭირვება და იშვიათად დაშლა.

ზურგის ტვინში გვხვდება ნერვულ უჯრედთა ქრომატოლიზი, ვაკუოლიზაცია (სურ. 4) და ჰიპერქრომატოზი, იშვიათად მათი დალუპვა ნეირონოფა-  
გიით. ზურგის ტვინის უკანა და გვერდით რქებში უფრო მეტი სტრუქტურული ცვლილებანია, ვიდრე მის წინა რქებში.

მოგრძო ტვინში აღგილი აქვს ნეირონთა ისეთივე ხასიათის მიკრომორ-  
ფოლოგიურ ცვლილებებს, როგორსაც ზურგის ტვინის ნეირონებში. აქ მგრძნო-  
ბიარე ნერვების ბირთვებში უფრო მძიმე ცვლილებანია, ვიდრე მამოძრავებე-  
ლი ნერვების ბირთვებში. ცოორის ნერვების უკანა ბირთვების ნეირონებში უფრო მეტი დაზიანება აღინიშნება, ვიდრე მათი წინა ბირთვების ნეირონებ-  
ში (სურ. 5).

მხედველობის ბორცვებში ჩვენ მიერ ნანახია უფრო ნაკლები სტრუქტუ-  
რული ცვლილებანი, ვიდრე ნერვული სისტემის ქვემდებარე ნაწილებში. აქ

ნერვული სისტემის სრვადასხევა ნაწილების სტრუქტურული ცვლილებანი...

იშვიათად გვხვდება ნერვულ უჯრედთა ჰიპერქრომატოზი და შეჭმუხვნა, უფრო იშვიათად — ქრომატოლიზი და ვაკუოლიზაცია, განსაკუთრებით იშვიათად — დაღუბვა ნეირონოფაგიით.



სურ. 2. ნეირონოფაგია გულ-მკერდის IV მარჯვენა მაღლთაშუა კვანძში. მიკროფოტოგრამა. გად. 300-ჯერ

თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების წინა და უკანა ცენტრალურ ხვეულებში მიკრომორფოლოგიური ცვლილებანი კიდევ უფრო იშვიათად გვხვდება. აქ ქერქის მე-2, მე-3 და მე-4, იშვიათად აგრეთვე დანარჩენ შრეებში აღინიშ-



სურ. 3. ნერვული უჯრედის დენდრიტული მორჩის ბოლოზე ბურთობისებრი შემსხვილება გულ-მკერდის III მარცხენა სიმპათიკურ კვანძში. მიკროფოტოგრამა. გად. 300-ჯერ

ნება ნერვულ უჯრედთა ჰიპერქრომატოზი და შეჭმუხვნა, არა ყველა შემთხვევაში — დაღუბვა ნეირონოფაგიით. უკანა ცენტრალურ ხვეულებში უფრო შეიმე ცვლილებანია, ვიდრე წინა ცენტრალურ ხვეულებში.

ნერვული სისტემების ზემოთ აღნიშნულ ნაწილებში ნერვულ ელემენტთა დასახელებულ ცვლილებებთან ერთად ამა თუ იმ ინტენსივობით გვხვდება წერილი სისხლის შილების გაგანიერება, ჰიპერემია, პერივასკულური და პერიცელულური სივრცეების გაფართოება, მრგვალ- და ჰისტიოციტურულ-რედოვანი ინფილტრაციების კერების არსებობა და სხვ.



სურ. 4. ნერვული უჯრედის გაკუთლითაცია ზურგის ტეინის გულ-შეკრდის III სეგმენტის მარჯვენა გვერდით ოქაში. მიკროფორმატოგრამა. გად. 300-ჯერ

საკუთარი მასალის შესწოვლისას შეეძლიერება, რომ ნერვული სისტემის სტრუქტურულ ცვლილებათა სიმძიმე და გავრცელება პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაშია დაავადების ხანდაზულობასთან. სიმსივნის დი-



სურ. 5. ნერვულ უჯრედთა ჰიპერქრომატოზი ცოორილი ნერვის მარჯვენა დორზულ ბირთვში. მიკროფორმატოგრამა. გად. 300-ჯერ

დი ხნით არსებობისას ორგანიზმის კომპენსაციის უნარი თანდათანიბით ქვეითდება და, ბოლოს, სავსებით ილევა, დგება სრული დეკომპენსაცია, ასე რომ

ღვიძლის კიბოს ღროს ნერვულ სისტემაში სტრუქტურულ ცვლილებათა სიმძიმისა და გავრცელების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებიდან ერთ-ერთი არის ღროს ფაქტორი: რაც უფრო მეტი ღროს გასული ავთვისებიანი სიმსივნის აღმოცენებიდან, ე. ი. რაც უფრო დიდი ხანდაზმულობისაა დაავადება, მით უფრო მეტი ცვლილებანია ნერვულ სისტემაში და, პირიქით.

ღვიძლის კიბოს ჩვენ მიერ შესწავლილ შემთხვევებში ნერვული სისტემის სხვადასხვა ნაწილებში გვხვდება ნერვული ქსოვილის როგორც მწვავე, ისე ქრონიკული დაზიანების ფორმები. ეს უკანასკნელი უფრო ხშირად გვხვდება ღვიძლის კიბოს ხანდაზმულ შემთხვევებში.

ნერვული სისტემის სხვადასხვა ნაწილებში სტრუქტურულ ცვლილებათა სიმძიმე კლებულობს რეფლექსური რკალის აფერენტული რეფლექსიდან ეფერენტულის მიმართულებით. ასე, მაგალითად, შედარებით მძიმე ცვლილებანია ცოორილ ნერვებში, მალთაშუა კვანძებში, ზურგის ტვინის უკანა რქებში. შედარებით ნაკლები ცვლილებანია ზურგის ტვინის გვერდით რქებსა და სიმპათიკურ კვანძებში.

ნერვულ სისტემაში სტრუქტურულ ცვლილებათა სიმძიმის შემცირებას ზემოაღნიშნული თანამიმდევრობა იმითაც მტკიცდება, რომ უფრო მეტ ცვლილებებს განიცდის მსხვილი ყალიბის მიელინის ნერვული გამტარებლები (მგრძნობიარე ანუ აფერენტული), შედარებით მსუბუქს — საშუალო ყალიბის მიელინიანი ნერვული გამტარებლები (ცენტრული ანუ პრეგაზგლიური) და უფრო მსუბუქს — წვრილი ყალიბის მიელინიანი და უმიელინო ნერვული გამტარებლები (პრერიფერიული ანუ პოსტგაზგლიური).

ნერვულ სისტემაში სტრუქტურულ ცვლილებათა განვითარების გარკვეული ზემოაღნიშნული თანამიმდევრობა იმითაც მტკიცდება, რომ ნერვული სისტემის ერთსა და იმავე ნაწილებში მგრძნობიარე ნეირონები უფრო მეტად ზიანდება, ვიდრე მოტონეირონები.

ზურგის ტვინში უკანა რქების ნეირონებში უფრო მეტი ცვლილებანია, ვიდრე წინა რქების ნეირონებში. მოგრძო ტვინში ცოორილი ნერვების უკანა ზირთვების ნერვულ უჯრედებში დაზიანება უფრო მეტად არის გამოხატული, ვიდრე წინა ბირთვების ნერვულ უჯრედებში. თავის ტვინის უკანა ცენტრალური ხვეულების ნეირონებში უფრო მეტი ცვლილებანია, ვიდრე წინა ცენტრალური ხვეულების ნეირონებში. ცენტრალურ ხვეულებში უფრო მეტი დაზიანება ჟერქის მე-2, მე-3 და მე-4 შრეების ნერვულ უჯრედებში, ვიდრე დანარჩენი შრეების ნერვულ უჯრედებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ღვიძლის კიბოს ღროს სტრუქტურულ ცვლილებათა ინტენსივობა კლებულობს ნერვული სისტემის უძღაბლესი ნაწილებიდან უმაღლესის მიმართულებით. ასე, მაგალითად, ცველაზე მეტი ცვლილებანია ცოორილ ნერვებში, მათ კვანძოვან განგლიობსა და მალთაშუა კვანძებში, შემდეგ — ზურგის ტვინსა და მოგრძო ტვინში; უფრო მსუბუქი ცვლილებანია მხედველობის ბორცვებში და კიდვე უფრო მსუბუქი — თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქში.

ღვიძლის კიბოს ღროს რეფლექსური გზების აფერენტულ და ეფერენტულ რგოლებში, ნერვული სისტემის უძღაბლესა და უმაღლეს ნაწილებში სტრუქტურულ ცვლილებათა გავრცელების ზემოაღნიშნული თანამიმდევრობა და ნერვული სისტემების ნეირონთა ანატომიურ-ფუნქციური კავშირი ლაპარაკობენ ამ ცვლილებათა განვითარების ნერვულრეფლექსური ბუნების შესხებ.

ჩვენი მასალა არ გვაძლევს საშუალებას დავიდგინოთ, ნერვულ სისტემაში ჩვენ მიერ ნანაზი სტრუქტურული ცვლილებანი წარმოადგენს პირველადს,

რომლებიც განაპირობებენ ღვიძლის კიბოს განვითარებას, თუ მეორადს, რომლებიც ვითარდება ამ უკანასკნელის შედეგად.

ი. პავლოვის სკოლის წარმომადგენელთა [6] მონაცემებიდან გამომდინარე, რომელთა მიხედვითაც ავთვისებანი სიმსივნე შეიძლება განვითარდეს უმაღლესი ნერვული მოქმედების, ნერვული სისტემის ტროფიკული ფუნქციის ძოშლის შედეგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ღვიძლის კიბოს ღრმოს ნერვულ სისტემაში განვითარებულ სტრუქტურულ ცვლილებათა ნაწილი წინ უსწრებს სიმსივნის აღმოცენებას. ცვლილებათა ნაწილი კი განპირობდება, უპირველეს ყყვალისა, სიმსივნით გამოწვეული აფერენტული გზების ორადეკვატური გაღიზიანებით, რომელიც შეძლგომ ღრმავდება გაღიზიანების ქრონიკული კერიდან — სიმსივნიდან — მიმავალი ჭარბი პათოლოგიური იმპულსაციით.

#### დასკვნები

1. ღვიძლის კიბოს ღრმოს რეაქტული და დისტროფიული ცვლილებებით გამოხატული სტრუქტურული ბერები აღინიშნება ნერვული სისტემის როგორც უმდაბლეს, ისე უმაღლეს ნაწილებში, რეფლექსური გზების როგორც აფერენტულ, ისე ეფერენტულ რგოლებში.

2. ნერვული სისტემის სტრუქტურულ ცვლილებათა სიმძიმე და ხასიათი პირდაპირ პროცესულ დამოკიდებულებაშია დავადების ხანდაზმულობასთან.

3. სტრუქტურული ცვლილებანი ნერვული სისტემის სხვადასხვა ნაწილებში სხვადასხვა სიძლიერითა გამოხატული.

4. სტრუქტურულ ცვლილებათა სიძლიერე კლებულობს რეფლექსური რკალის აფერენტული გზებიდან ეფერენტულისკენ, ნერვული სისტემის უმდაბლესი ნაწილებიდან უმაღლესის მიმართულებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 25.8.1958)

#### დამოუმართული ლიტერატურა

1. М. М. Александровская. Микроскопические изменения мозга при раковом источении. Архив патологии, в. 3, 1949, стр. 70—78.
2. Е. И. Беляев. Морфологические изменения шееочно-вагинальных ганглиев при раке шейки матки. Акушерство и гинекология, № 6, 1946, стр. 42—46.
3. М. Л. Боровский. К вопросу о гистопатологии периферической вегетативной нервной системы при туберкулезе и раке. Архив биологических наук, т. 33, в. 5/6, 1933, стр. 823—839.
4. Ю. М. Гришаева. Морфологические изменения нервной системы в желудке при раковом поражении его. XV научная сессия медицинского института. Тезисы докладов, Куйбышев, 1954.
5. И. П. Павлов. Протоколы научного совещания врачей Обуховской больницы, посвященного памяти проф. А. А. Нечаева. Врачебная газета, № 3, 1925, стр. 85.
6. М. К. Петрова. О роли функционально-ослабленной коры головного мозга в возникновении различных патологических процессов в организме. Ленинград, Медгиз, 1946.
7. С. Н. Савенко. Об изменениях нервной системы при внемозговом раке. „Родянська медицина“ № 3, 1938, стр. 15—24.
8. А. Д. Сперанский. Об одном из механизмов возникновения и течения злокачественных новообразований. Труды IV сессии АМН СССР, 1948, стр. 168—174.
9. А. Т. Хазанов. Об изменениях вегетативной нервной системы при раке желудка. Архив патологической анатомии и патологической физиологии. в. 3, 1937, стр. 38—48.
10. Ц. Хайме. Раковая кахексия и межточный мозг. Советская невропатология, психиатрия и психогиена, в. 2—3, 1934, стр. 327—321.

ქლინიკური მდგრადი

ლ. მესხი

ადამიანის ზოგადი გაზთაცვლის შედარებითი შესწავლა „ძლის განვითარების“ და „დოზირებული სუნთქვის“ შეთოვთით  
(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. გედევანიშვილმა 29.8.1958)

ცნობილია, რომ ადამიანის ზოგადი გაზთაცვლის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს კლინიკური მედიცინისათვის, ამიტომ გასაგებია, რომ ზოგადი გაზთაცვლის განსაზღვრისათვის მოწოდებულია სხვადასხვა მეთოდი. თუმცა სრულყოფილად არც ერთი არ შეიძლება ჩათვალოს [1]. დ. გედევანიშვილის ილის [2,3] აზრით, მათ საქართო ნაკლებ წარმოადგენს ის, რომ გაზთაცვლის გამოკვლევა ხდება ფილტვების თავისუფალი ვენტილაციის პირობებში (როცა ადამიანი ნებისმიერად ცვლის როგორც სუნთქვის სიხშირეს, ისე მის სიღრმეს), რის გამოც განმეორებითი გამოკვლევისას სუსტად თანხვდენილი რიცხვების მიღება არ ხერხდება. სხვადასხვა ავტორთა მონაცემების მიხედვით მერყეობის საზღვრებია ± 20 [4], ± 15 [5], ± 8 [6].

ზემოთ აღნიშნული ნაკლებ შეიძლება აცილებულ იქნეს ზოგადი გაზთაცვლის განსაზღვრით „დოზირებული სუნთქვის“ მეთოდით, რომელიც მოწოდებულია 1937 წელს დ. გედევანიშვილის მიერ [2, 3]. აღნიშნული მეთოდის პრინციპს წარმოადგენს მიაწოდოს გამოსაკვლევ პირს თეოთური ჩასუნთქვის წინასწარ გამოთვლილი ჰაერის ზუსტი მოცულობა, განსაზღვრული რიტმით. მეგვარად, გამოკვლევის მთელ მანძილზე ფილტვების ვენტილაცია უცვლელა.

უკანასკნელ წლებში „დოზირებული სუნთქვის“ მეთოდს „კონტროლირებული სუნთქვა“ დასაქმეს და ის ფართოდ გამოიყენება უცხოეთშიც [7,8,9,10]. საზღვარგარეთული ფილტვების მიერ გამოშვებულია სუნთქვის სარეგულაციო სხვადასხვა კონსტრუქციის აპარატები.

დ. გედევანიშვილის სისტემის „დოზირებული სუნთქვის აპარატი“ ამ მიზანისათვის განკუთვნილ პირველ ორიგინალურ აპარატს წარმოადგენს. გარდა ამისა, უცხოეთის აპარატებისაგან განსხვავებით, ის გამოიყენება არა მარტო სუნთქვის „კონტროლირებისათვის“, არამედ გაზთაცვლის განსაზღვრისათვისაც და გაზთაცვლის განსაზღვრის არსებულ მეთოდთა შორის ყველაზე ზუსტია. ამ მეთოდის გამოყენებით უკვე შესრულებულია შრომები, რომლებითაც შესწავლილია ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი [2, 3, 11, 12, 13, 14, 15].

ჩვენ მიზანად დავისახეთ შეგვესწავლა ადამიანებზე (რომელთა შორის იყვნენ როგორც პრატიკულად ჭანმრთელი პირები, ისე თირეოტიკული და ჰიპოთორიზმით დაავალებულნი) ზოგადი გაზთაცვლა ორი მეთოდით: „კლასიკური“ დუგლას-ჰოლდენის მეთოდით და დ. გედევანიშვილის „დოზირებული სუნთქვის“ მეთოდით. პარალელურად ორი მეთოდით ჩატარებულ გამოკვლევას უნდა დაედგინა, თუ რამდენად შეიძლება მიეწეროს ფიზიოლოგიურ ძვრებს ძირითადი ცვლის ის რეევალობა, რომელიც მცირე ინტერვალებში განმეორებით გაზომვისას აღინიშნება სხვადასხვა ავტორის მიერ, თუ ეს რეევალობა „ცლასიკური“ მეთოდის არასიზუსტით აისხნება. მეორე მხრივ, ამ გამოკვლევათ გამოიკვლეოდა, ჭეშმარიტად რა ფარგლებში ცვალებაღობს ძირითადი ცვლა დღითიდებე. უნდა აონიშნოს, რომ ეს საკითხი დ. გედევანიშვილისა და მისი თანამშრომლების შრომებში [3] წინათაც იყო განხილული, მაგრამ მცირე მასალაზე. წინამდებარე შრომა კი ამ მხრივ პირველია, სადაც ეს საკითხი გამჭერულია შედარებით დიდ მასალაზე (გამოკვლევა ჩატარებულია სულ 50 პირზე).

ძირითადი ცვლის გამოკვლევა დუგლას-პოლდენის გამოკვლევაზე

1. გამოკვლევათა შორის ინტერვალი—15 წუთი. ძირითადი ცვლის გამოკვლევა დუგლას-პოლდენის მეთოდით ჩავატარეთ 19—65 წლის ასაკის 40 პირზე. აქედან მამაკაცი იყო 8 და ქალი 32. სულ ჩატარებულია 500 ანალიზი. გამოკვლევის ვახდენით დილით უზმოდ, საკვების უკანასკნელად მიღებიდან 14—16 საათის შემდეგ. პირველად ავადმყოფს ესინჯებოდა სხეულის t<sup>1</sup>, პულსი, სუნქეცა, სისხლის წენევა, სიმალლე, წონა; ვიწერდით აგრეტვე გარემოს t<sup>2</sup> და ბარომეტრულ წენევას, რის შემდეგ გამოსაკვლევი პირი 30 წუთის განმავლობაში ისვენებდა რბილ სავარძელში. მისთვის მოხერხებულ ნახევრად მჯდომარე მდგომარეობაში. ნახევრად შეჯდომარე მდგომარეობის უპირატესობა ძირითადი ცვლის გამოკვლევისას დადგენილია დელკურ-ბერნარდისა და მეიერის მიერ [16]. გამოკვლევის მთელ მანძილზე ავადმყოფის სუნთქვა ნებისმიერი ციც. ავადმყოფი სუნთქვდა ზოგჯერ ცხვირით (რეზინის ნახევარნილაბით) და ზოგჯერ პირით (მუნდშტუკით). მუნდშტუკი (ან ნახევრადნილაბი) დაკავშირებული იყო სასუნთქვენტილთან, რომელიც ელასტიკური სარქველების მეშვეობით, ერთმანეთისაგან ყოფდა შესუნთქულ და ამოსუნთქულ ჰაერს. ამოსუნთქული ჰაერი 10 წუთის გახმავლობაში გროვდებოდა ტისოს სპირომეტრში. დ. გედევანიშვილის მოლიფიკაციით სპირომეტრს დამატებული აქვს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც გაზის საათის დანიშნულებას ასრულებდა და ამოსუნთქული ჰაერის მოცულობის ზუსტი გაზომვის საშუალებას იძლევა მთელი ციდის განმავლობაში, ე. ი. იზომება თვითეული ამოსუნთქვის სიდიდე, რასაც ის მნიშვნელობა აქვს, რომ შეგვიძლია თვალყური ვადევნოთ, თუ რამდენად დანაბარია თვითეულ ამოსუნთქვათ რდენობა. სპირომეტრიდან ჰაერის სინჟებს რეზინის კამერებით ვიღებდით მათი წინასწარ რამდენჯერმე ამოსუნთქული ჰაერით უბარირეცხვის “შემდეგ. ჰაერის ანალიზს ვაწარმოებდით პოლაფინის აპარატში. აალიზის მსვლელობისას ოთახის t<sup>3</sup> მუდმივი იყო.

პოლდენის მეთოდით მიღებული ძირითადი ცვლისა და მისი მაჩვენებლების მონაცემები წარმოდგენილია 1 ცხრილში.

როგორც 1 ცხრილიდან ჩანს, ძირითადი ცვლის განსაზღვრა ჩვეულებრივი შეთოდით (ე. ი. ნებისმიერი სუნთქვის პირობებში) ერთსა და იმავე პირზე, რჩერადად, 15 წუთის ინტერვალით, გვაძლევს როგორც ძირითადი ცვლის მაჩვენებლების, ისე თვით თიოთადი ცვლის ცვალებად რიცხვებს.

ძირითადი ცვლის მეტყეობას 1—5%-მდე დაგილი ჰქონდა 20 უემთხვევაში, —10%—მდე —10-ში, 11—15%—მდე —5-ში, 16—20%—მდე —ერთ და 21%—ზე ევით —4 შემთხვევაში.

მერყეობის საზღვარია 1-დან 33%—მდე. ძნელია გადაწყვეტა, თუ როგორია, სინამდვილეში ვადმყოფის ძირითადი ცვლა, როცა ვიღებთ ისეთ განსხვავეულ რიცხვებს. როგორც არის, მაგალითად, 125% და 116%, 85% და 118%, 146% და 95%, 127% და 105%, 113% და 119% და ა. შ.

აქვთ უნდა აღინიშნოს, რომ ერთ ვადმყოფზე ჩვენ მივიღეთ ძირითადი ცვლის რიცხვების სრული დამთხვევა, ე. ი. როგორც პირველი, ისე მეორე გამოკვლევის დროს ძირითადი ცვლა იყო + 39%, ამასთან გამოკვლევის ორივე უემთხვევაში ვენტილაციაც თანაბარი იყო — 58,60 — 58,40 ლ. და ავადმყოფი მთელი 10 წუთის განმავლობაში სუნთქვავდა თანასწორზომიერად, ე. ი. ორივე უემთხვევაში თანაბარი იყო როგორც სუნთქვის სისტორე, ისე თვითეული ამოსუნთქვის დროს ჰაერის მოცულობა. ეს მეტად იშვიათი და შემთხვევითი მოვლენა და აქ მოგვყავს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანაბარ სუნთქვას და ვენტილაციის მუდმივობას ძირითადი ცვლის უცვლელი რიცხვების მისაღებად.

ცტრილი 1

ძირითადი ცვლის გამოკვლევა დუგლას-ჰოლდენის მეთოდით (ინტერვალი I და II გამოკვლევას შორის 15 წუთი)

№№ რიცხვი	გვარი, სახე- ლო. მამის სახელი	ასაკი	ობები	გავაზნებულის დრო	CO <sub>2</sub> %	O <sub>2</sub> %	სუნთქვითი გავაზნება	ინდი	I და II შესაბამისი გამოკვლევების სუნთქვითი გავაზნებულის განვითარებული მაჩვენებელი	
									დრო	შესაბამისი გამოკვლევების დრო
1.	გ. ი. ბ.	46	დ.	I	4,70	3,60	5,16	0,69	7	108
				II	4,60	3,50	4,68	0,74		97
2.	ს. გ. ვ.	47	დ.	I	5,88	2,97	4,18	0,71	8	125
				II	5,74	2,97	3,93	0,77		116
3.	ბ. რ. ბ.	27	დ.	I	4,17	3,07	4,04	0,75	10	85
				II	5,49	3,47	4,19	0,83		118
4.	ბ. ნ. კ.	60	დ.	I	9,30	2,72	4,07	0,66		160
				II	8,50	2,67	3,76	0,71	7	139
5.	ვ. თ. ნ.	32	დ.	I	6,76	3,67	4,76	0,77	0	165
				II	6,04	3,67	4,76	0,77		148

შენიშვნა: მე-10 გრაფაში მოცემულია სხვაობა პირველად და მეორედ გამოკვლეულ სუნთქვით კოეფიციენტებს შორის. ამასთან, პირველად გამოკვლეული სუნთქვის კოეფიციენტი მიღებულია 100 პროცენტად.

როგორც ცნობილია, სუნთქვითი კოეფიციენტის მაჩვენებელი რიცხვებას მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის თვისობრივ მხრეზე (ცხიმებისა და ნახშირწყლების ცვლაზე). მაგალითად, თუ სუნთქვის კოეფიციენტი უდრის 0,7-ს, შეიძლება ვთქვათ, რომ იქვას ცხიმები, თუ — 1,0%-ს — ნახშირწყლები. გარდამავალი რიცხვები მიუთითებს ორივე ნივთიერების ხარჯვაზე ამა თუ იმ პროპორციით.

ძირითადი ცვლის დეგლას-ჰოლდენის მეთოდით განსაზღვრისას ვიღებთ სუნთქვითი კოეფიციენტის უაღრესად ცვალებად რიცხვებს. სხვაობა ზოგჯერ 25%-საც კი აღწევს, მაგალითად, 0,67 და 0,64. ასეთ შექმნებაში ძნელია გადაწყვეტა, თუ რა ნივთიერებების წვის ხარჯზე ხდება ენერგიის წარმოქმნა გამოკვლეულ ორგანიზმში.

2. პირველ და მეორე გამოკვლევას შორის ინტერვალი იყო 24 საათი და მეტი. ძირითადი ცვლის გამოკვლევა ჰოლდენის მეთოდით, ორგერადად, 24 საათის (და მეტი) ინტერვალით. გამოკვლევა ჩატარდა 21 პირზე. სულ ჩატარებულია 240 ანალიზი.

გამოკვლევის მეთოდი ისეთივე იყო, როგორც ზემოთ აღწერეთ, მხოლოდ ინტერვალი გამოკვლევათა შორის 15 წუთის ნაცვლად 24 საათს შეადგინდა.

ჰოლდენის მეთოდით ძირითადი ცვლის ორგერადი გამოკვლევის მონაცემები, 24 საათის ინტერვალით, ხარჯვენებია ზე-2 ცხრილში.

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, ძირითადი ცვლის მერყეობას 0,55%-მდე აღვილი ჰქონდა 10 შემთხვევაში, 6—10% -მდე—5-ში, 11—15% -მდე—2-ში, 16—20% -მდე—3-ში, 21% -ზე ზევით—2-ში, მერყეობის საზღვაორია 0,5—29% -მდე.

გამოკვლევის ასეთ პირობებში მიღებული ძირითადი ცვლის ცვალებადი რიცხვების მიხედვით შეუძლებელია დაგენა ძირითადი ცვლის ფიზიოლოგური, ყოველდღიური მერყეობის ნამდვილი სურათისა, რადგან ასეთსავე ცვა-

ლებად რიცხვებს ვიღებდით განმეორებითი გასინჯვისას, როდესაც ინტერვალი მათ შორის 15 წუთი იყო.

ძირითადი ცვლის გამოკვლევა დუგლას-ჰოლდენის მეთოდით (ინტერვალი I და II გამოკვლევას შორის 24 საათი და მეტიც)

№ № რიცხვი	გვარი, სახე-ლი, მამის სახელი	ასევე	სჭირდებული გამოკვლევითი გარეული გარეული	CO <sub>2</sub> %	O <sub>2</sub> %	სუნთქვითი ცენტრი	კაცვა	სუნთქვითი ცენტრი	სუნთქვითი ცენტრი	სარიცხვო გარეული	ცვლილების დანართი	დანართი
1.	ჩ. ქ. დ.	30	Ж	I	6,64	3,10	4,35	0,71	7	132		3
2.	ა. ნ. დ.	30	Ж	II	6,72	3,10	4,66	0,66		135		
3.	ნ. თ. კ.	25	Ж	I	6,65	2,87	4,09	0,70	11	124	16	
4.	ა. ლ. ვ.	25	Ж	II	5,88	3,07	3,91	0,78		108		
5.	პ. ა. ა.	40	Ж	I	5,71	4,00	5,06	0,79	6	121		
				II	5,53	3,50	4,68	0,74		107	14	
				I	5,84	3,10	4,92	0,63	16	128		
				II	8,34	3,10	4,16	0,74		157	29	
				I	5,50	3,20	4,26	0,75	14	118		
				II	4,21	3,20	4,89	0,65		101	7	

როგორც ცხრილიდან ჩანს, აქაც სუნთქვის კოეფიციენტის მეტად ცვალები რიცხვები მივიღეთ. სხვაობა ზოგჯერ 21%-საც კი აღწევს. ასეთ პირობებში, რასაცვირველია, ძნელია ზუსტად დადგინდეს ნივთიერებათა ცვლის ოვალობი მხარე.

ძირითადი ცვლის გამოკვლევა დ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი - ლის „დოზირებული სუნთქვის“ მეთოდით

1. ინტერვალი გამოკვლევათა შორის — 15 ან 30 წუთი. ძირითადი ცვლის გამოკვლევა „დოზირებული სუნთქვის“ მეთოდით ჩვენ ჩავატარეთ იმავე პარარებულია 708 ანალიზი.

„დოზირებული სუნთქვის“ მეთოდით გამოკვლევის დაწყებამდე საჭირო გამოსაკვლევი პირისათვის მისაწოდებელი პარის რაოდენობის გამოთვლა დაუბუას ცხრილების მიხედვით. ამ დროს მხედველობაში მიიღება ავალმყოფის სქესი, ასკა, სხეულის ზედაპირი (სიმაღლისა და წონის მიხედვით).

ძირითადი ცვლის გამოკვლევა „დოზირებული სუნთქვის“ მეთოდით ხდება დილით, უზმოდ, 14—18 საათის შემდეგ უკანასკნელად საკვების მიღებიდან. ავალმყოფს პირველად ესინჯებოდა სხეულის ტემპერატურა, პულსი, სუნთქვა, სისხლის წნევა, წონა, სიბალლე. იზომებოდა გარეშოთ ტემპერატურა და ბარომეტრული წნევა. შემდეგ გამოკვლევის დაწყებამდე 1/2 საათის განმავლობაში ავალმყოფი ისვენებდა რბილ სავარძელში, ნახევრად მზღვომარე მღღომარეობაში. ავალმყოფი სუნთქვადა ცხვირით (რეზინის ნახევრადნიღაბით) ან პარამუნდულით. ნიღაბი ღავავშირებული იყო სასუნთქვენილთან, ხოლო კენტილი, გოფრირებული მიღებით— „დოზირებული სუნთქვის“ პარატან, რომელიც ავალმყოფს აწვდიდა მისთვის საჭირო პარატან რაოდენობას გარკვეული რიტმით. ამოსუნთქული პარატან, რომლის რაოდენობა აგრეთვე იზომება „დოზირებულ სუნთქვის“ პარატან, გროვდებოდა, ტისოს სპირომეტრში 1

წუთის განმავლობაში. ამოსუნთქული ჰაერის ანალიზის ვაწარმოებდით პოლდენის აპარატით. ანალიზის მსვლელობისას ოთახის ტემპერატურა მუდმივი იყო.

· გამოანგარიშების მაგალითი:

ასაკი—39 წ., წონა—5,1 კგ,	} სხეულის ზედაპირი სქესი—დედრობითი, სიმაღლე—155 სმ.	} 1,480 მ <sup>2</sup> .
---------------------------	--	--------------------------

5302 ძირითადი ცვლა 1 მ<sup>2</sup> სხეულის ზედაპირზე 1 საათში.

+ 1703 სხეულის ზედაპირი—1.480 მ<sup>2</sup>.

— 7005 სუბიექტის ძირითადი ცვლა.

4650 სუნთქვითი კოეფიციენტი 0,85 (ლოგარითმი შეიცავს გადასვლას 1 საათიდან 1 წუთზე).

2355

— 5441 მოხმარებული O<sub>2</sub> პროცენტობით.

6914

9722 გადაყვანა ოთახის ტემპერატურის მიხედვით.

7192

— 9795 წნევის არსებული პირობების მხედველობაში მიღება.

7397—ანტილოგარითმი 5,492 მლ 1 წუთში შესასუნთქი ჰაერის რაოდენობა.

54.92 | 15

45 | 365 მლ თითოეულ შესუნთქვაზე მისაღები ჰაერის რაოდენობა

99

90

92

90

გამოკვლევით მიღებული მონაცემები ნაჩვენებია მე-3 ცხრილში.

როგორც აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, გამოკვლევის ყველა შემთხვევაში ძირითადი ცვლის მაჩვენებლებისა და თვით ძირითადი ცვლის რიცხვების სრული დამთხვევა მივიღეთ. ამგარად, შერყეობა 0-ს უდრის.

ორჯერადი გამოკვლევისას 1/2 საათის მანძილზე „დოზირებული სუნთქვას“ მეთოდით მიღებული ძირითადი ცვლის ზუსტი რიცხვების დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ნათელია, თუ ძივიღებთ მხედველობაში, რომ მუდმივი ვენტილაციის ასეთ პირობებში საშუალება ვაკენება დავადგინოთ ძირითადი ცვლის მცირედ გამოხატული ძვრები როგორც ფიზიოლოგიური, ისე პათოლოგიური ხასიათისა.

გარდა ამისა, როგორც ცხრილიდან ჩანს, აღნიშნული მეთოდით ძირითადი ცვლის გამოკვლევისას სუნთქვითი კოეფიციენტის მაჩვენებელი რიცხვების ზუსტ დამთხვევას ვიღებთ. განსხვავება აქაც 0-ს უდრის; ეს კი საშუალებას გვაძლევს ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ ძირითადი ცვლის თვისობრივ მხრეზე. ამ მიმართულებით აღნიშნული საკითხის შესწავლა დიდ დახმარებას გავიწევს ნივთიერებათა ცვლის ჭერ კიდევ გაურკვეველი ოიგი საკითხების ზუსტ დადგენაში.

ბ) გამოკვლევათა შორის ინტერვალი — 24 საათი და მეტიც. ძირითადი ცვლის გამოკვლევა „დოზირებული სუნთქვის მეთოდით 2 -ჯერადად, 24 საათის ინტერვალით, ჩატარდა 24 გამოსაკვლევ პირზე (სულ ჩატარდა 320 ანალიზი).

გამოკვლევის მეთოდი ისეთივე იყო, როგორც აღწერილია წინა თავში, მხოლოდ ინტერვალი გამოკვლევათა შორის ხაცვლად 1/2 საათისა, 24 საათი იყო (და შეტიც). 24 საათის მანძილზე განმეორებით ჩატარებულ გამოკვლევათა მო-

## ცხრილი 3

ძირითადი ცვლის გამოკვლევა „დოზირებული სუნთქვის“ დ. გეღვევანიშვილის მეთოდით  
(ინტერვალი I და II გამოკვლევას შორის 30 წუთი)

ნებელი	გვარი, სახე-ლი, მამის სახელი	ასები	სეჭი	გამოკვლევითი გარეულობის ფაზი	CO <sub>2</sub> %	O <sub>2</sub> %	სუნთქვის ციცვა	კუტების სუნთქვის ციცვა	სუნთქვის გადანერც- ტის მაჩვენებელი	ცხრილი I და II გადანერც- ტის მაჩვენებელი	ცხრილი I და II გადანერც- ტის მაჩვენებელი	ცხრილი I და II გადანერც- ტის მაჩვენებელი
1.	ს. მ. ვ.	47	დ.	I	5,40	3,37	4,84	0,69	0	130	0	130
2.	ნ. ნ. ზ.	39	დ.	I	5,55	3,97	5,70	0,69	0	153	0	153
3.	ა. ნ. დ.	30	დ.	II	5,85	3,17	4,39	0,72	0	118	0	118
4.	ჭ. ვ. ა.	31	დ.	I	7,80	4,42	5,89	0,75	0	158	0	158
5.	ბ. რ. მ.	27	დ.	II	5,40	3,07	3,79	0,81	0	105	0	105

ნაცემები ნაჩვენებია მე-4 ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ 24 საათის მანძილზე  
ძირითადი ცვლა მერყეობას განიცდილა. მერყეობის საზღვარი იყო 1—16 %;  
აქედან:

1—5% მერყეობას აღილი ჰქონდა 11 შემთხვევაში.

6—10% „ „ „ „ 8 „ „  
11—16% „ „ „ „ 5 „ „

მაგრამ ამა თუ იმ დღეს განმეორებით გაზომილი ძირითადი ცვლა, რო-  
გორც ზემოთ აღნიშნეთ, სრულ თანადამთხვევას იძლეოდა (განსხვავება 0-ს  
ეყდრიდა). ამგვარად, 24 საათის განმავლობაში ორჯერადი გასინჯვით მიღებული  
მერყეობა ძირითადი ცვლისა ფიზიოლოგიური მერყეობას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ჩვენი ავადმყოფები არ იმყოფებოდ-  
ნენ გამოკვლევის ისეთ პირობებში, როდესაც გარეგან ფაქტორთა ზეგავ-  
ლენა დაყვანილია მინიმუმადე ე. ი. გამოკვლევიდას გარეულებული ისინი საა-  
ვადმყოფოს თუ ოჯახის ჩვეულებრივი გარემოცვის პირობებში იყვნენ.

ასევე სუნთქვის კოეფიციენტის მაჩვენებელი რიცხვის მერყეობაც (0—16%) „დოზირებული სუნთქვის“ მეთოდით გამოკვლევისას, ნივთერება-  
თა ცვლის თვისობრივი მხარის ჭეშმარიტი ცვლილებების გამომხატველია, ვინ-  
იდან 15 წუთი ან ინტერვალით ჩატარებული ორჯერადი გამოკვლევისას ალ-  
ნიშნული მაჩვენებელის ზუსტი დამთხვევა მივიღეთ (განსხვავება 0).

შეიძლება დაისვას კითხვა: თუ 24 საათის მანძილზე ხდება ძირითადი  
ცვლის ცვალებადობა, რატომ არ ვლინდება ის 15—30 წუთის მანძილზე 2-ჯე-  
რადად ჩატარებულ გამოკვლევისას?. ეს გასაგები გახდება, თუ მხედველობაში  
მივიღებთ, რომ ძირითადი ცვლის შეცვლა დღე-ლამის განმავლობაში ხდება  
იანდათანბით, ხოლო თუ ჩვენ მიერ მიღებულ ძირითადი ცვლის მერყეობის  
რიცხვებს თანაბრად გავანაწილებთ 48-ჯერ აღებულ 30 წუთზე (რაც შეადგენს  
1 დღე-ლამეს), მაგსიმალურად 0,3% მივიღებთ, ეს კი იმდენად მცირე რიცხვია,  
რომლის განსაზღვრა არსებული მეთოდებით გერჯერობით შეუძლებელია.

ძირითადი ცვლის გამოკვლევა „დოზირებული სუნთქვის“ მეთოდით (ინტერვალი I და II გა-  
მოკვლევას შორის 24 საათი და მეტი)

ნორი	გარი, სახე- ლი, მამის სახელი	ასაფ საქართველო	საქართველო	CO <sub>2</sub> %	O <sub>2</sub> %	სუნთქვის დრო	კონკრეტული მდგრადი გამოკვლევის დრო	კონკრეტული მდგრადი გამოკვლევის დრო	მდგრადი გამოკვლევის დრო	მდგრადი გამოკვლევის დრო	
							II	I	II	I	
1.	ბ. ბ. ბ.	39	დ.	I II	5,70 5,70	3,57 3,57	5,42 4,66	0,65 0,76	16	143 127	16
2.	ჩ. ჟ. დ.	30	დ.	I II	6,00 6,00	3,10 3,40	4,49 4,96	0,64 0,68	6	131 135	4
3.	პ. ვ. ა.	31	მ	I II	7,80 7,80	4,42 4,57	5,89 6,17	0,75 0,74	2	158 164	6
4.	ტ. ს. ო.	51	დ.	I II	5,25 5,25	3,47 3,57	5,19 5,29	0,66 0,67	1	137 141	4
5.	ა. ბ. გ.	32	დ.	I II	5,85 5,85	3,77 3,67	5,87 5,89	0,64 0,62	4	153 157	4

### დასკვნები

ჯანმრთელ და ავადმყოფ პირთა ძირითადი ცვლის გამოკვლევისას, გაზთაცლის განსაზღვრის არსებული მეთოდებიდან ყველაზე უფრო ზუსტი პოლდების მეთოდით ვიღებთ ძირითადი ცვლის მაჩვენებლების (ვენტილაცია, მონმარტრებული O<sub>2</sub>-სა და გამოყოფილ CO<sub>2</sub>%, სუნთქვითი კოეფიციენტი) საგრძნობლად ცვალებად რიცხვებს, რაც ვლინდება განმეორებით (15 წუთის შემდეგ) ჩატარებული გამოკვლევების დროს. ამის გამო ძლიერ იცვლება თვით ძირითადი ცვლის გამომხატველი რიცხვებიც; სხვაობა 1—33%-მდეა. ამიტომ ჩვეულებრივი (კლინიკური მიღებული) მეთოდებით შეუძლებელია დადგინდეს ნამდვილი სიღიდე ძირითადი ცვლისა ± 15 % მეტი სიზუსტით. ასევე შეუძლებელია სუნთქვითი კოეფიციენტის ზუსტი რიცხვების მიღება, ვინაიდან ამ კოეფიციენტის რყევადობა 25%-ს აღწევს. მაშასადმე, არ შეიძლება სწორი წარმოგენერირდეს ნივთიერებათა ცვლის ოვისობრივ მხარეზე (ცხიმებისა და ნახშირწყლების ცვლაზე).

ამავე მეთოდით ძირითადი ცვლის განმეორებით გასინჯვისას 24 საათის შემდეგ აგრეთვე აღვითო აქვთ როგორც ძირითადი ცვლის მაჩვენებლების, ისე ი. ვით ძირითადი ცვლის საგრძნობ რყევებს (სხვაობა 0,5—29%-მდე). ვინაიდან ძირითადი ცვლის რყევადობა ასეთსავე დიდ ფარგლებში აღინიშნება ერთსა და ინვერს დღეს ჩატარებული განმეორებითი გამოკვლევისას, ისიც დროის მცირე ინტერვალებში (15 წუთი), ამიტომ შეუძლებელია გიქონით ჭარბოდგენა ძირითადი ცვლის ყოველდღიური რყევადობის შემსარიტი ფარგლების შესახებ.

24-საათიანი ინტერვალით ჩატარებული გამოკვლევების დროს ასევე საქმართველ დღიდ ფარგლებში ირყევა სუნთქვითი კოეფიციენტის სიღიდე, ამიტომ შეუძლებელია დადგენა ნივთიერებათა ცვლის ოვისობრივი მხარის ფიზიოლოგიური მერყეობისაც.

ჯანმრთელ და ავადმყოფ პირთა ძირითადი ცვლის დ. გედევანიშვილის „დოზირებული სუნთქვის“ მეთოდით გამოკვლევისას დღიდ მასალაზე (40 პირი) დადასტურდა, რომ ძირითადი ცვლის მაჩვენებლები (მონმარტრებული O<sub>2</sub>-ისა და გამოყოფილი CO<sub>2</sub>%, სუნთქვითი კოეფიციენტი) ორგერადი გამოკვლევისას

1/2 საათის ინტერვალით ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს (განსხვავება 0-ს უდის) და, მაშასადამე, ძირითადი ცვლაც ზუსტად თანხვდება ერთმანეთს. ამიტომ გამოკვლევით მიღებული მონაცემები შეიძლება აბსოლუტურად სწორად და ძირითადი ცვლის მდგრამარეობის ზუსტ გამომხატველად ჩაითვალოს.

ამავე მეთოდით განმეორებით 24 საათის შემდეგ გამოკვლევისას აღინიშვნება ძირითადი ცვლის ცვალებადობა (1—16 %), რაც ჟეშმარიტი მაჩვენებელია ძირითადი ცვლის ყოველდღიური ცვალებადობისა. აგრეთვე სუნთქვის კოეფიციენტის ყოველდღიური რყევა ჟეშმარიტად ასახავს ცხიმებისა და ნახშირწყლების ცვლის ნამდვილ მდგრამარეობას, ვინაიდან „დოზირებული სუნთქვის“ მეთოდით მიღებული რიცხვები აბსოლუტურად ზუსტია (იხ. ზემოთ). თანდათანობით განვითარების გამო ეს რყევადობა არ ვლინდება 15 და 30 წუთის მაჩვილზე ჩატარებულ გამოკვლევებში. ამრიგად, დიდ მასალაზე (40 გამოკვლეული პირი) დადასტურდა, რომ ძირითადი ცვლის, სუნთქვითი კოეფიციენტისა და გარეგნი სუნთქვის სხვა მაჩვენებლების ზუსტი შესწავლის შესაძლებლობას კლინიკისა და ექსპერიმენტის პირობებში მხოლოდ „დოზირებული სუნთქვის“ მეთოდი იძლევა, რომელიც ფართოდ უნდა დაინერგოს მედიცინაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 29.8.1958)

#### ლაპორატური ლიტერატურა

1. Е. М. Беркович. Современные методы определения энергетических затрат человека и животных. Успехи совр. биол., т. XLV, вып. 1, 1958, стр. 46—64.
2. Д. М. Гедеванишвили. (Гедевани). О принципах измерения основного обмена и его сдвигов при различных физиологических состояниях. Сборник докладов VI всесоюзного съезда физиологов, биохимиков и фармакологов. 1937, стр. 682.
3. Д. М. Гедеванишвили. (Гедевани). Газообмен при дозированном дыхании. М., 1955.
4. F. G. Benedict. E. P. Cathoart. Muscularwork. Washington, 1915.
5. М. Лаббe и Р. Стевенин. Основной обмен. М., 1933.
6. М. В. Маршак и В. Г. Давыдов. Терморегуляция и газообмен при высокой температуре у человека в состоянии покоя. Гигиена труда, № 2, 1927,
7. G. Schöffa. Die methodischen Fehlerquellen der grundumsatz bestimmungen. Z. ges. inner. Med. 10, 1, 45—46, 1953.
8. C. F. Scurr. Controlled respiration; standartization of ventilation. Brit. J. Anaesthesia, 28, 1, 23—27, 1956.
9. E. P. Radford. J. Appl. physiol., 7, 451, 1955.
10. E. P. Radford. B. G. Ferris, B. C. Kriete. Clinical use of a nomogram to estimate proper ventilation during artificial respiration. New England J. Med., 251, 22, 877—884, 1954.
11. Д. М. Гедеванишвили (Гедевани) и А. Н. Зиркадзе. Основной обмен при остром катаре верхних дыхательных путей и вирусном гриппе. Труды Тбилисского госпита, 14, 85, 1957.
12. А. Н. Зиркадзе. Газообмен при малых физических нагрузках. Автореферат диссертации. Грузмедгиз, Тбилиси, 1955.
13. К. И. Цинцадзе. Газообмен при некоторых дерматозах. Сб. трудов, Тбилисского Кожно-венерол. Ин-та, 7, 81, 1957.
14. К. И. Цинцадзе. Механизм действия ванн на общий газообмен. Сообщ. 1 и 2. Труды Ин-та клин. и экспер. кардиологии АН ГССР, 5, 82, 93, 1958.
15. А. Н. Зиркадзе. О механизме действия эфирного масла и летучих фитонцидов чеснока на организм человека. Труды тбилисского госпита, т. XVII, часть II, 1958, 95—106.
16. Г. П. Конради, А. Д. Слоними и В. С. Фарфель. Физиология труда. 1935.

მნათხმდებრიზება  
აღ. მაჟოშეტოვი

გრამატიკული კლას-კატეგორია, რომელიც ძველად იბერიულ-კავკასიურ ენათა მთელს მორფოლოგიურ სისტემას მოიცავდა, ამჟამად ამ ზოჯანის ზოგ ენაში სულ მოშლილა და სათანადო კლასის ნიშნები გაქვავებული სახით ფუნქციების შეხორცებია ან მნიშვნელობა უცვლია. ასეა, მაგალითად, ქართველურ ენებში, ადილურ ენებში [1,2,3].

დაღესტნური ჯგუფის ენებში გრამატიკული კლას-კატეგორიის მხრივ სურათი ერთნაირია არ არის: ენათა უმრავლესობაში ეს კატეგორია ამჟამად ცოცხალ მორფოლოგიურ კატეგორიას წარმოადგენს, თუმცა კლასების რაოდენობის შემცირების ტენდენცია, რაც ზოგ ენაში მათ სრულ მოშლას იძლევა, აქაც თვალსაჩინოა [4].

გრამატიკული კლას-კატეგორია ყველაზე უკეთ დაცულია ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში, ლაკურსა და დარგულში, ზოგ ამ ენაში კლასების რაოდენობა 4-მდის აღწევს. სულ დაუკარგავს ეს კატეგორია ლეზგიური ჯგუფის ზოგ ენას (ლეზგიურს, უდურს, ალულურს).

გარდამავალი — და ამდენად საინტერესო — საფეხური განვითარებისა წარმოდგენილია ლეზგიური ჯგუფის ერთ-ერთ ენაში, — ტაბასარანულ ენაში, — რომელსაც ჩრდილოეთით ესაზღვრება ენები, რომლებშიც კარგადაა გარჩეული კლასები, ხოლო სამხრეთით (და სამხრეთ-დასავლეთით) ენები, რომელთაც დაუკარგავთ ეს კატეგორია.

ამჟამად ტაბასარანულში გარჩეულია ორი გრამატიკული კლასი: ადამიანისა (პიროვნებისა) და ნივთისა.

ადამიანის კლასის ნიშნებია: დ, რ, ხ (დ → || რ → || ხ); ნივთის კლასის ნიშნებია: ბ, უ, ჭ (ბ → || უ → || ჭ).

მრავლობით რიცხვში კლასები გარჩეულია არაა. მრავლობით რიცხვში გამოიყენება ადამიანის კლასის ნიშნები — ზოგადი მნიშვნელობით (რიცხვის ნიშნად) [5,6,7].

ტაბასარანულში გრამატიკული კლასების კატეგორია უკეთაა დაცული ჩრდილოურ დაღესტნურ ცილინდრის, ვინემ სამხრულ დიალექტში, რომელიც ტერიტორიულად კლასების არმქონე ლეზგიურ ენას ესაზღვრება.

გრამატიკულ კლასებს განარჩევენ რიცხვითი სახელები, ზედსართავი სახლები და ზღვები. არსებით სახელებში კლას-ნიშნები წარმოდგენილია გაქვავებული სახით.

რიცხვითი სახელები, როგორც დამოუკიდებლად ხმარებული, ისე მსაზღვრელად გამოყენებული, იცვლებიან კლასების (და რიცხვის) მიხედვით:

საბ / საჭ „ერთი“ (ნივთის კლასი, მხ. რ.)

სარ „ „ (ადამ. კლასი, მხ. რ.)

საღარ / სარარ / სევ (← სარარ) - მრ. რ.

საბ (საშ) ჰავაზუან „ერთი ცხენი“

სარ ერმი „ერთი კაცი“.

საღარ (სარარ, სევ) დაცარ „ერთნი ხარნი“

საღარ (სარარ, სევ) ერმიძარ „ერთნი კაცნი“

მაგრამ რიცხვით სახელებში შეიმჩნევა კლასების მოშლის ტენდენცია: ათეულობითი თველის სისტემაში ათეულებს — დაწყებული „30“-დან — აქვთ გაქვავებული კლას-ნიშანი რ.

სიმჭურ ჰავაზუან „30 ცხენი“

სიმჭურ ბავ „30 ბიჭი“

ასევე: დაღჭიურ — 40, ხურურ — 50, ხირხურ — 60, ურგურურ — 70, მირეკურ — 80, ურკურ — 90.

ოცეულობითი თველის სისტემის დროს კი კლას-ნიშნები გარჩეულია (რამდენადაც რიცხვით სახელებში მიწუბ — „10“ და წაბ — „20“ ცვალებადი კლას-ნიშნები გვაქვს).

შიბუბ წაბ ჰავაზუან „60 ცხენი“

შიბუბ წარ ერმი „60 კაცი“

იქ, საღაც გვაქვს თველის ნარევი სისტემა (ოცეულ-ათეულობითი), ათეულობის აღმნიშვნელ რიცხვით სახელებში 30-დან დაწყებული კლას-ნიშანი რ გაქვავებულია, ხოლო რიცხვით სახელებში, რომლებიც ნაწარმოებია ოცეულობითი სისტემის მიხედვით, კლას-ნიშნები ცვალებადია (ცოცხალია): ხურურ — „50“ (საერთო ნივთისა და ადამიანის კლასებისათვის), შიბუბ წაბ — „60“ (ნივთის კლასი), შიბუბ წარ — „60“ (ადამიანის კლასი).

ზედსართავი სახელი არსებითის წინ არ იცვლება კლასების მიხედვით<sup>(1)</sup>.

ბიჭი თაბა „პატარა კვიცი“

ბიჭი ბავ „პატარა ბიჭი“

ბიჭი თახარა „პატარა კვიცები“

ბიჭი ბახარ „პატარა ბიჭები“

დამოუკიდებლად ხმარებული ზედსართავი სახელი ან ზედსართავი ხმარებული შემასმენლის როლში იცვლება კლასების (და რიცხვის) მიხედვით.

<sup>(1)</sup> მოქმედი (ცოცხალი) კლას-ნიშანი შემოინახა მხოლოდ ზედსართავმა უჯუბ „კარგი“ და რიგ თქმაში უჩიავს „ლამაზი“

უჯუბ ჰავაზუან „კარგი ცხენი“

უჯუბ ბავ „კარგი ბიჭი“

უჯუდარ (იჯურარ, იჯარ) ჰავაზუან / ბაჟარ „კარგი ცხენები/ ბიჭები“. შეიძლება პარალელური ფორმებიც: იჩიუშუ (|| იჩიში) ჰავაზუან „ლამაზი ცხენი“, იჩიმურ (|| იჩიში) რიშ „ლამაზი ქალიშვილი“.



მს. რ. დაქ „ლური „მაღალი“ (ნივთ. კლ.) დაქ „ლური „მაღალი“ (ადამ. კლ.) ხას პაბურან დაქ „ლურიას „ჩემი ცხენი მაღალია“ ხას ჩინ დაქ „ლურიას „ჩემი ძმა მაღალია“	მს. რ. დაქ „ლურარ „მაღლები“ ხას პაბურარ დაქ „ლურარას „ჩემი ცხენები მაღლებია“
--	--

კიდევ უფრო თვალსაჩინოა გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლის ტენდენცია ტაბასარანულ ზმნაში.

ჩრდილოურ დიალექტებში ზმნამ უკეთ შემოინახა ეს კატეგორია. კლას-ნიშნები ზმნაში შეიძლება გვქონდეს ფუძის თავში ან შიგნით (ძირეული თანხმოვნის წინ).

გარდაუკიდისა და ზმნა: ბიძუს „შეშინება“ („испугаться“) (რეალური სუბიექტი ნივთის კლასისა, მს. რ.)

დირქოუს „“ (რეალური სუბიექტი ადამ. კლ., მს. რ.)

დირქოუს „“ (რეალური სუბიექტი მრ. რიცხვში)

აქ ბ პრეფიქსი მიუთითებს ნივთის კლასზე, ადამიანის კლასზე მიუთითებს ორი მაჩვენებელი: და და რ; მრ. რიცხვი გამოხატულია და პრეფიქსით ტიტუს „ფრენა“ („лететь“) რეალური სუბიექტი ნივთ. კლ., მს. რ.)

ტიტუს „“ (რეალური სუბიექტი ადამ. კლ., მს. რ.)

ტიტუს „“ (რეალური სუბიექტი მრ. რიცხვში)

აქ კლას-ნიშანი უ აღნიშნავს ნივთის კლასის რეალურ სუბიექტს, ადამიანის კლასის (და ორივე კლასისათვის მრავლობით რიცხვში დასტულ) რეალურ სუბიექტს აღნიშნავს კლას-ნიშანი რ.

ლიტერუს „შრომა“ („трудиться“) (რეალური სუბიექტი ნივთ. კლ., მს. რ.)

ლიტერუს „“ (რეალური სუბიექტი ადამ. კლ. ან მრ. რ.)

აქ ადამიანის კლასი (ან მრ. რიცხვი) აღნიშნულია კლასის ნიშნის უქონლობით.

გარდამ. ზმნა: ბისუს „დაჭრა“ (რეალური ობიექტი ნივთ. კლ., მს. რ.)

დისუს „“ (რეალური ობიექტი ადამ. კლ. ან მრ. რ.)

ცატრუს „ავსება“ (რეალური ობიექტი ნივთ. კლ., მს. რ.)

ცატრუს „“ (რეალური ობიექტი მრ. რ.)

იზუ ბიკიდიზა აგეს კაჯა „მე მივწერ მამას წერილს“

იზუ დიკიდიზა აგეს კაჯარ „მე მივწერ მამას წერილებს“

იზუ დირკიდიზა ბაა ქარულუკდის „მე ჩავწერ წრეში ბავშვებს“

იზუ დიკიდიზა ბაა ქარულუკდის „მე ჩავწერ წრეში ბავშვებს“

პრეფიქსი კლასის ნიშანი ბ მიუთითებს ნივთთა კლასზე მს. რიცხვისა, ადამიანის კლასი (ან მრ. რიცხვი ორივე კლასისა) გამოიხატება სათანადო ნიშნით (ადამიანის კლას-ნიშნით).

რაც შეეხება ზმნებს სამხრული დიალექტის ოქმებში, აქ გრამატიკული კლასის აღნიშნის მხრივ გვაქვს სამგარი მდგომარეობა:



- ა) ზმნაში კლას-ნიშნები იცვლება ჩრდილო დიალექტის ანალოგიურად,  
ბ) კლას-ნიშნები ზმნის ფუძის თავში გაქვავებულია მაშინ, როდესაც  
ფუძის შიგნით მოქმედია (ცოცხალია) ისევე, როგორც ჩრდილოურ დია-  
ლექტში<sup>(1)</sup>.

კაჯ ბიკუზ „წერილის წერა“

კაჯარ ბიკუზ „წერილების წერა“

- ბაჟ ქარულუზიზ „ბიკუზ „ბავშვის ჩაწერა წრეში“ — ობიექტის კლასის  
(ან რიცხვის) ცვლილება ზმნაში (ბიკუზ „წერა“) არ აისახა.

ჰავადეტან ჯაშულუზ „ცხენის რბენა“ („ნეკატე“)

ბაჟ ჯარლუს „ბიჭის რბენა“

ჯაყუზ ტიონუზ „ჩიტის ფრენა“ („ლეთეტე“)

ედმი ტიონუზ „კაცის ფრენა“

- აქ სუბიექტის გრამატიკულ კლასში ცვლის მიხედვით ზმნა იცვლის  
კლას-ნიშნებს.

- გ) გრამატიკული კლას-ნიშნები მთლიანად გაქვავებულია (ან დაკარგუ-  
ლია) (აულ ხივის, ხორჯის, სირტიჩის მეტყველება).

ბიკუზ „მოხახვა“ (რეალური ობიექტი ნივთ. კლ. ან ადამ. კლ.)

ბირხუზ „კერვა“ (რეალური ობიექტი მხ. რ. ან მრ. რ.)

ქარხუზ „ანთება (რეალური ობიექტი მხ. რ. ან მრ. რ.)

ქაუზუზ „დასხმა“ (რეალური ობიექტი მხ. რ. ან მრ. რ.)

ჯაყუზ ტიონუზ „ჩიტის ფრენა“ („ლეთეტე“)

ედმი ტიონუზ „კაცის ფრენა“

ჯაყუზ ტიონუზ „ჩიტების ფრენა“

უზუ ბისურზა ჯაყუზ „მე დავიჭრ ჩიტს“

უზუ ბისურზა ბაჟ „მე დავიჭრ ბავშვს“

უზუ ბისურზა ჯაყუზ „მე დავიჭრ ჩიტებს“

უზუ ბისურზა ბაჟარ „მე დავიჭრ ბავშვებს“

- სუბიექტისა და ობიექტის ცვლა კლასების მიხედვით ზმნაში არ აისა-  
ხება. კლას-ნიშანი ბ ზმნაში ბისუზ „დაჭერა“ ან კლას-ნიშანი რ ზმნაში ტიო-  
ნუზ „ფრენა“ გაქვავებულია ამჟამად <sup>(2)</sup>.

- მიმღება ეთანხმება საზღვრულ სახელს (კლასსა და რიცხვში) ზედ-  
სართავის მსგავსად.

- გარდაუვალი ზმნის მიმღება მონოპერატორისა და მიმღებაში არ არის მეტყველებაში.

- (<sup>1</sup>) ანალოგიური ვითარება დასტურდება თვით ჩრდილოურ დიალექტში აულ თათი-  
ლის მეტყველებაში.  
(<sup>2</sup>) ზოგი აულის მეტყველებაში ზმნაში ურთუზ „წაკითხვა“, „ქსოვა“ კლას-ნიშანი რ  
გაქვავებულია, როცა ამ ზმნას „წაკითხვის“ მნიშვნელობა აქვს; მაგრამ, როცა ამავე ზმნას  
ქსოვის „მნიშვნელობა აქვს, მასში რ ცოცხალი (ცვალებადი) ნიშანია;

შდრ.: ხალაჩი უბხუზ „ხალიჩის ქსოვა“

ხალაჩიდარ ურხუზ „ხალიჩის ქსოვა“

ატინ უბხუზ „წინდის ქსოვა“

ატინარ ურხუზ „წინდების ქსოვა“

ქილიცურ „бродивший“ (სუბიექტი ადამიანის კლასისა)

ქიბიცურ „ (სუბიექტი ნივთის კლასისა)

მოყვანილ მაგალითებში კლას-ნიშნები პირველში ადამიანის კლასისა (დ, რ), მეორეში ნივთის კლასის (ბ, უ) სუბიექტზე მიუთითებენ.

გარდამავალი ზმნის მიმღეობა პოლიპერია: მიმღეობაში წარმოდგენილია როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის კლას-ნიშნები, ამასთან პრეფიქსში კლას-ნიშანი მიუთითებს რეალურ ობიექტზე, სუფიქსში-სუბიექტზე, როგორც ეს ცნობილია დაღესტნის სხვა ენებიდანაც, კერძოდ ხუნძურიდან ([8], [9]).

ბაზ მესელე ბილკუნურ — დას ჩიას „ამოცანის ჩამწერი ყმაწვილი ჩემი ძმაა“.

მიმღეობის ფორმაში ბილკუნურ „ჩამწერი“ პრეფიქსი ბ აღნიშნავს რეალურ ობიექტს („ამოცანა“), სუფიქსი რ — რეალურ სუბიექტს („ყმაწვილი“).

რეალური ობიექტისა და სუბიექტის ცვლა კლასების მიხედვით შესაბამისად იქნება ასახული მიმღეობის ფორმაშიც.

გარდამავალი ზმნის მიმღეობამ შეიძლება გაგვარჩევინოს მნიშვნელობები გვარის მიხედვით: თუ მიმღეობის ფორმაში პრეფიქსი კლას-ნიშანი მიუთითებს რეალურ ობიექტზე, ხოლო სუფიქსი რეალურ სუბიექტზე, მაშინ შესაბამის მიმღეობას ექნება მოქმედებითი გვარის მნიშვნელობა:

ჩი კაჯა ბ-ი კ უ-რ... „брать, пишьмо написавший...“

თუ მიმღეობაში როგორც პრეფიქსი, ისე სუფიქსი მიუთითებს ერთსა და იმავე სახელზე, შესაბამის მიმღეობას ვნებითი გვარის მნიშვნელობა ექნება:

კაჯა [ჩიიჩიი] ბ-იკუ-რ „пишьмо написанное [братьем]“

მიმღეობის ფუძე გვარის თვალსაზრნისით ნეიტრალურია [8].

ასეა ჩრდილოურ დიალექტში.

სამხრული დიალექტის თქმებში გარდაშავალი ზმნის მიმღეობაც ერთ კლასზე მიუთითებს: მიმღეობაში კლას-ნიშანი ცოცხალია (იცვლება) მხოლოდ სუფიქსში, ხოლო პრეფიქსში — გაქვავებულია, რაღანაც სათანადო ზმნაში, რომლისაგანაც მიმღეობა იწარმოება, კლას-ნიშანი გაქვავებულია.

ჩი ქალაზ ბიკურავინ „შერილი დამწერი ძმა“  
 შდრ. ჩი ბაჟ ბიკურავინ „ბაჟვი ჩამწერი ძმა“

პრეფიქსი კლას ნიშანი ბ მიმღეობაში თუმცა გვაქვს, მაგრამ იგი გაქვავებულია (ისევე, როგორც სათანადო ზმნაში ბიკუზ „писать“); სუფიქსული კლას-ნიშანი მიმღეობის ფორმაში ცოცხალი აფიქსია (ცვალებადია), ისევე, როგორც ზედსართავ სახელებში.

რაკი აქ არ ხერხდება მიმღეობაში პრეფიქსის მეშვეობით გრამატიკული კლასების აღნიშვნა, ამიტომ გვარის მიხედვით გარჩევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ სუფიქსის მეშვეობით: თუ სუფიქსის კლას-ნიშანი მიუთითებს რეალურ სუბიექტზე, მაშინ მიმღეობას ექნება მოქმედებითი გვარის მნიშვნელობა, თუ რეალურ ობიექტზე — ვნებითი გვარის მნიშვნელობა.

ედმი ქაღაზ ბიქუ-რ „человек, письмо написавший“  
ქაღაზ ბიქუ-ბ „письмо написанное“

ადამიანისა (პიროვნების) და ნივთის კლასი „ორი ძირითადი კატეგორია, რომელიც ისტორიულად ყველა იძერიულ-კავკასიური ენისთვის იყო დარახასიათებელი (მხოლოდითს რიცხვში), შემდგომი დიფერენციაცია იძლევა ზოგ ენაში ოთხ კლასს (ორს ადამიანის კლასში, ორსაც ნივთის კლასში“ ([10], გვ. 74).

ტაბასარანულ ენაში რომ ამჟამად ორი კლასია გარჩეული ეს, ერთი შეხედვით, შეიძლება უძველესი ვითარების მოვლენად მოგვეხვენოს, ნამდვილად კი, თანამედროვე ვითარება ტაბასარანული ენისა ამ მხრივ არ არის ძველი, მეორეულია და შედეგია უფრო რთული სისტემის გამარტივებისა, — კლასების რაოდენობის შემცირებისა ([11], გვ. 93).

თვით ტაბასარანულის მონაცემების მიხედვით შეუძლებელი არ არის ვივარაულობით ამ ენისათვის კლასების შეტი რაოდენობა.

3. უსლარი „უცნაურ ანომალიად“ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ამ ენის რიცხვითი სახელები ზოგ არსებით სახელთან (ის „წელიწადი“, ხიჯ „დღე“, ხიში ღამე“) მსაზღვრეულად ხმარებისას დაირთავენ რ-ს (ნაცვლად მოსალოდნელი უ კლას-ნიშნისა): სარ ხის „ერთი წელიწადი“, ყურ ხიჯ: ორი დღე“ შიბ-ბურ ხიში „სამი ღამე“. „ეს მით უფრო უცნაურია-ო, — შენიშნავს 3. უსლარი, — რომ ითქმის იჯუში ხის „კარგი წელიწადი“, იჯუში ხიჯ „კარგი დღე“, იჯუში ხიში „კარგი ღამე“ [5]. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზედსართავი სახელი ეთანხმება ზემოაღნიშნულ არსებით სახელებს კლას-ნიშნით უ(← ბ).

სამხრული დიალექტის თქმებში რ-ს ადგილას იმავე სიტყვებში გვექნება დ: სად ხიღ „ერთი დღე“, სად ხის „ერთი წელიწადი“, სად ხიში „ერთი ღამე“, ხოლო ჩრდილოური დიალექტის დიუბეკის თქმაში — ა: სეჟი (← სე ხიში) „ერთი დღე“, სეხი ი „ერთი წელიწადი“, სეჟი ი „ერთი ღამე“...<sup>(1)</sup>.

ეს „უცნაური ანომალია“, რაზედაც 3. უსლარი მიუთითებს, ისტორიული თვალსაზრისით მეტად საგულისხმო ფაქტია. ირკვევა, რომ ძველად ტაბასარანულში გარჩეული იყო გრამატიკული კლასი რ კლას-ნიშნით, რომელიც ამჟამად სათანადო სახელებთან ხმარებისას რიცხვითმა სახელებმა შემოგვინახეს (შდრ. [7], გვ. 93); ეს რ (← დ) კლას-ნიშანი დალესტნის ენათა საერთო კუთვნილებაა, იგი ამ ენათა ნივთის ერთ-ერთი კლასის, IV კლასის, ექსპონენტად მიიჩნევა [4].

კლას-ნიშნები დ, რ, რომლებიც ტაბასარანულში ამჟამად ადამიანის კლასისთვის გამოიყენება (იხ. ზემოთ), ისტორიულად, როგორც ეს ცნობილია, ნივთის კლასის ნიშნებია, რომლებიც უფრო გვიან გამოიყენებული იყო

(1) თვით სიტყვებში ხიში „ღამე“, ხის „წელიწადი“, ხიჯ „დღე“ ა პრეფექსი გაქვავებული კლას-ნიშანა; შდრ. დარგულ ენაში: დუჩხე „ღამე“, დუს „წელიწადი“... რომლებშიც დ-ა გრეოვე ამჟამად გაქვავებული კლას-ნიშანი (ნივთის — IV კლასისა).

დაგ დუჩხე „შუაღამე“,

შდრ.: ბაგ „შუა“ (III კლ.), ხაგ (II კლ.) „წელი ქაღისა“

ტაგ (I კლ.) „წელი კაცისა“.

ქალის კლასის ნიშნებად, ოცა ეს უკანასკნელი ცალკე გამოიყო აღაშიანის (პიროვნების) კლასში [12].

შემდეგ კლასების რიცხვის შემცირების შედეგად მამაკაცისა და ქალის კლასი ისევ შეუერთდა ერთმანეთს და მივიღეთ ერთი საერთო კლასი აღაშიანისა, რომლის ნიშნად ზოგადი მნიშვნელობით გამოყენებულ იქნა ქალის კლასის ნიშანი (ისტორიულად ნივთის კლასის ნიშანი) ([13], გვ. 446).

ტაბასარანულში ნივთთა კლასის ექსპონენტად წარმოდგენილია უ მაშინ, როდესაც მეტ ნაწილ დალესტნურ ენებში (ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში, ლაკურსა და დარგულში) უ ჩვეულებრივ I კლასის ექსპონენტია, მაგრამ, ეს მაჩვენებლები სხვადასხვა წარმოშობისაა: ტაბასარანული ექსპონენტი უ დალესტნურ ენებში ნივთთა კლასის ჩვეულებრივ მაჩვენებელ ბ-ს ფონეტიკური ვარიანტია (უ ← ბ)<sup>1</sup>.

ამგვარად, ტაბასარანულ ენაში გრამატიკული კლასების რაოდენობის შემცირების ტენდენცია უფრო ძლიერია, ვიდრე ამ კატეგორიის მქონე დალესტნის სხვა რომელიმე ენაში. თუმცა ამ ტენდენციას ტაბასარანულში ჯერ კიდევ არ მოუცია კლას-კატეგორიის სრული მოშლა, მაგრამ დიალექტებში, როგორც ვნახეთ, მაინც თვალსაჩინოა ამ კატეგორიის თანდათანობით მოშლის პროცესი, რომელსაც, სხვათა შორის, შეუძლია გაგვითვალისწინოს განვითარების ის გზა, რამაც ტაბასარანულის მეზობელ ლეზგიურ და აღულურ ენებში კლას-კატეგორიის სრულ მოშლამდის მოგვიყვანა.

რაჭართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
 თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 2.2.1959)

### დამომავლული ლიტერატურა

- არ ნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი, 1942.
- Арн. Чикобава. Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, 1948.
- Г. В. Рогава. К вопросу о структуре именных основ и категории грамматических классов в адыгских (черкесских) языках. Тбилиси, 1956.
- არ ნ. ჩიქობავა. გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში. ენიმკი-ს მოამბე, I, თბილისი, 1937.
- П. К. Услар. Табасаранский язык (ხელნაწერი). 1875.
- А. Диэр. Грамматический очерк табасаранского языка, СМОМПК, XXXV. Тифлис, 1905.

<sup>1</sup> დიუბეკის თქმაში კლას-ნიშანი უ, რომელიც თავის მხრივ მიღებულია ბ-საგან გარეულ ბოზიცაში იძლევა ტ-ს (ზოგი გემინატის წინ):

უზრაუს „დაკვლა“ (ობიექტი ნივთ. კლ. მხ. რიცხვი)

უ ქ რ უ ს „დაკვლა“ (ობიექტი ადამ. კლ. ან მრ. რიცხვი)

